ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნირალდას“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—89.

ხუთშაბათი, 26 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 68 (1223)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— ეგვიპტის პარლამენტი დაითხოვეს იმიტომ რომ არჩევნებში ზაგლულ-ფაშას მომხრეებმა გაიმარჯვეს.

— იაპონიის წარმომადგენლებმა ინახულეს ამ. ლიტვინოვი.

— ბალდუინი მოითხოვს ჯარების გამოყვანას გერმანიის ოლქებიდან.

— ფინეთში მოელიან მთავრობის გადადგომას.

— შესდგა პოლონეთის კომპარტიის ყრილობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი, კერძოთ მუშები და გლეხები ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ თბილისში მრავალი და მრავალრიცხოვან დელეგაციების სახით, გამოეთხოვენ გუშინ თავიანთ დაუვიწყარ ხელმძღვანელებს, ამხანაგებს და მეგობრებს: მიასნიკოვს, ათარბეკოვს, მოგილევსკის და იმ პატიოსან მუშაკებს — პილოტებს, რომლებიც დაიღუპენ თავიანთ პოსტზე.

დიდი უბედურება დაატყდა თავს ჩვენ პარტიას, ხელისუფლებას, ჩვენი კავშირის მშრომელთ: სულ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვენ რიგებს, მებრძოლი არმიის რიგებს, მოსწყდენ დიდი მუშაკები ძველი გვარდიისა: ამხ. ნარიმანოვი, მიასნიკოვი, ათარბეკოვი, მოგილევსკი, ვლადიმიროვი და მარხლევსკი. ყველას მათ აკავშირებს მშრომელ ხალხთან და მის პარტიასთან რამოდენიმე ათეული წლები თავგანწირული დაუსვენებელი მუშაობისა. მათი სახელები განუყრელათ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გმირულ წარსულთან და აწმყოსთან, დაკავშირებულია ჩვენ დიდ რევოლუციებთან.

ამ გმირული ისტორიის მანძილზე ჩვენი კავშირის მებრძოლ პროლეტარიატს და მის პარტიას განუცდია მძიმე დღეები, გაუღია უამრავი და ხშირათ აუნაზღაურებელი მსხვერპლები. თითქოს ჩვენ ყოველ საშინელებას, ყოველ მძიმე დანაკლისს შევეჩვიეთ და არაფერი არ უნდა გვაკვირვებდეს თავისი მოულოდნელობით, მაგრამ მაინც მწვავეთ, დაუზოგავათ ურტყამს ჩვენ შეგნებას საშინელი განცდა, გამოწვეული ჩვენი ძვირფასი ამხანაგების და მეგობრების მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეკოვის ასე უეცრათ, ასე უაზროთ დაღუპვით.

და ამ განცდამ ჰპოვა უდიდესი გამოხატულება გუშინ თბილისში, როგორც მთელი კავშირის (ამ უბედურების ჟამს) და მით უმეტეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის გულში, რომელიც იბოჭავდა ძმური რესპუბლიკების მშრომელი მასების ყურადღებას, შეგნებას და გრძნობას და რომელიც ძლიერათ სცემდა, ააშკარავებდა საერთო მწვავე ტკივილს, ღრმა მწუხარებას.

მაგრამ როგორ დიდიც არ იყოს ეს დანაკლისი განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც სწარმოებს დაუღალავი აღმშენებლობითი მუშაობა, როდესაც ესოდენ საგრძნობია ნაკლებობა საჭირო ძალების და მით უმეტეს ისეთების, როგორიც იყვნენ დაღუპული ამხანაგები — ეს გარემოება მაინც ვერ შეაფერხებს ჩვენ შეუჩერებელ წინსვლას. პარტიის ძველი გვარდიის რიგებს თანდათან აკლდება ათას უბედურებას გავლილი, გამოცდილი და ხელმძღვანელი მუშაკები. მათი ადგილი უნდა დაიკავონ და დაიკავებენ ახალი ძალები იმ რეზერვიდან, რომელიც მისდევს პარტიას, როგორც მისი მემკვიდრე და მომავალი მებაირაღტრე.

ჩვენი დიადი საქმის უძლეველობაში, მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირში, მათ შეგნებაში, მათ თვითმოქმედებაში ლენინის დროშის ქვეშ ვპოვებთ ჩვენ ახალ ძალას, ენერგიას და შეუდრეკელობას ჩვენი საქმის საბოლოო გამარჯვებით დასაგვირგვინებლათ.

საკავშირო და მოკავშირეთა ბიუჯეტები
1924—1925 წ.
VIII
საქართველოს რეალური ბიუჯეტი

საქართველოს რეალურ ბიუჯეტს ჩვენ უწოდებთ ყველა იმ შემოსავალ-გასავალს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას აქვს როგორც შიგ საქართველოში, ისე გარედაც. რეალურ ბიუჯეტის გათვალისწინების დროს ჩვენ არ ვიღებთ მხედველობაში ამ შემოსავალ-გასავლის ფორმალურად დანაწილებას, ე. ი. იმას, თუ როგორ ნაწილდება საქართველოს შემოსავალი და გასავალი საქართველოს რესპუბლიკანურ, ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტებს შორის. ამ განაწილების გამოკვლევა ჩვენ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ამ გზით ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა გავითვალისწინოთ, თუ რას უდრის საქართველოს სხვადასხვა შემოსავლის და გასავლის ჯამები. აქ ჩვენ სრულიად არ შევეხებით იმ დადებითი სალდოს, რომელიც საქართველოს ხვედრია ფოსტა-ტელეგრაფის, ტრანსპორტის, საკრედიტო ოპერაციებიდან, სახელმწიფო დაზღვევიდან, ნავთსადენის მილიდან, შავიქვის წარმოებიდან და ზოგიერთი სხვა წყაროებიდან, რომლებიდან შემოსავალი, რასაკვირველია, ჩვენი მასშტაბით დიდ თანხას შეადგენს.

საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ხელმძღვანელობს რესპუბლიკანური ხელისუფლება: ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო. მაგრამ მათთან ერთად რესპუბლიკის საქმეებს შიგ რესპუბლიკაში განაგებენ გაერთიანებული უწყებები და დაწესებულებანი, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარება ფედერატიულ ხელისუფლებას. რესპუბლიკაში შემდეგი გაერთიანებული უწყებებია: ფინანსთა კომისარიატი, შინაგან ვაჭრობის კომისარიატი, შრომის კომისარიატი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატი, უმაღლესი ეკონომიური საბჭო და ცენტრ. სტატისტიკის სამმართველო. ამ გაერთიანებულ ორგანოების შესანახად საქართველოში მიმდინარე წლის ბიუჯეტით იხარჯება 1.447.217 მან. ეს თანხა უნდა მიემატოს საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტში ნავარაუდევ გასავალს—10,8 მილ. მან. ამნაირად საქართველოს ხარჯები აღწევს 12,2 მილ. მან.

გარეშე ამ ხარჯებისა საქართველომ სხვა რესპუბლიკებთან ერთად უნდა გაიღოს თავისი წილი საერთო საკავშირო ორგანოების შესანახად, როგორიც არიან: ცაკი, სახ. კომ. საბჭო, საგარეო კომისარიატი, საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, სამხედრო და საზღვაო კომისარიატი და სამხედრო - სასანიტარო სამმართველო. ამათი შენახვისათვის საჭირო ხარჯებში საქართველომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. ყველა ამ ორგანოების ხარჯები საერთო საკავშირო მასშტაბით 450 მილ. მან. უდრის. არსად არ არის გამონაგარიშებული, თუ რამდენი უნდა გაიხადოს საქართველომ ამ ხარჯების დასაფარავად, მაგრამ მისი წილის განსაზღვრა ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად. მთელი კავშირის შეერთებული ბიუჯეტით ხარჯები უდრის 2.440 მილ. მან. ამ თანხაში შედის საქართველოს ბიუჯეტიც, რომელიც შეადგენს 10,8 მილიონ მან. ანუ საკავშირო ბიუჯეტის 1 | 222 (2.440:10,8=222); მაშასადამე ზემოხსენებულ საერთო საკავშირო ხარჯებშიდაც, რომელიც უდრის 450 მილ. მანეთს, საქართველომ უნდა დაფაროს 1 | 222 ნაწილი (450:222=2,03), რაც შეადგენს 2,03 მილიონ მანეთს. ამნაირად ყოველგვარი ხარჯები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ საქართველოს ეკისრება, უდრის (10,8+1,4+2=14,2) 14,2 მილ. მანეთს. ამ თანხით ამოიწურება ის ხარჯები, რომელიც ეკისრება საქართველოს, როგორც რესპუბლიკანური ისე საერთო კავშირის მთავრობის ბიუჯეტების ფარგლებში.

ეს ხარჯები აღემატება საქართველოს სხვა და სხვა შემოსავლის ჯამს (რესპუბლიკანური 1,2 მილ. მან.+საკავშირო 12,3=13,5)—13,5 მილ. მანეთს შვიდასი ათასი მანეთით მაგრამ მოკავშირეთა შორის რთული ეკონომიური ურთიერთობაა, და ერთი რესპუბლიკა მეორეს ძმურად ხელს უწყობს და მის ეკონომიურ მდგომარეობას ამაგრებს. საქართველოც შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს რუსეთის მრეწველობას. ეს ხელის შეწყობა გამოიხატება იმაში, რომ მას კაპიტალისტურ ქვეყნებში გააქვს და ამ ქვეყნებიდან შემოაქვს მხოლოდ ის და იმ რაოდენობით, რის შემოტანა და გატანა რუსეთის (და მით მთელ კავშირის) მრეწველობის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ამ ეკონომიურ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების გამო საქართველოს საბაჟოები 4—5 მილ. მანეთის მაგიერ მხოლოდ 150 ათას მანეთს იძლევა. გარდა ამისა საქართველოს თითქმის მთელი თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ რუსეთის საქონელი შემოაქვს. მიმდინარე წლის თანახმად არსებულ ოფიციალურ გამოკვლევისა რუსეთიდან უნდა შემოვიდეს საქართველოში: მანუფაქტურა—10,3 მილ. მან., შაქარი—6,5 მილ. მან., პურეულობა—7,5 მილ. მან. და, შემდეგ, მხოლოდ ასანთი, მარილი, რეზინა, ქაღალდი, ლითონის და სელიკატის ნაწარმოები—3,8 მილ. მან., სულ 28,1 მილ. მან. სინამდვილეში გადააჭარბა გეგმას, და რუსეთიდან მეტი ღირებულების საქონელი შემოვიდა გასულ თვეებში, ვიდრე გეგმით იყო ნავარაუდევი. მეგობრული ურთიერთობა, ერთიანი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება და საერთო პოლიტიკური პირობები მოითხოვს, რომ ერთმა რესპუბლიკამ მეორე მოკავშირე რესპუბლიკიდან მაშინაც კი შეიძინოს საქონელი, როდესაც ეს საქონელი მას შედარებით უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე ის ფასობს მსოფლიო ღია ბაზარზე. მაგრამ კავშირი თავისი ეკონომიური პოლიტიკის ურყევად დაცვას იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევს, რომ მოკავშირე რესპუბლიკები ვალდებულია საერთო ინტერესებისათვის ერთნაირი მსხვერპლი გაიღონ. ეს ეკონომიური პოლიტიკა დაიცვან.

ამ გარემოებას კავშირი, რასაკვირველია, მხედველობაში იღებს, როდესაც ის საქართველოს რესპუბლიკანურ ბიუჯეტს იხილავს და მასთან ერთად საქართველოს რეალურ შემოსავალ-გასავალს, მის ფინანსიურ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ფინანსიური პოტენციალური შესაძლებლობა, უახლოვდება 27 მილ. მან.

მაგრამ საქართველოს ფინანსიური უნარი ამ 27 მილიონი მანეთით არ ამოიწურება, რასაც შემდეგი ამტკიცებს. თითქმის ყოველგვარი ხარჯები, რომელიც დღეს ადგილობრივ ორგანოების ანგარიშზეა, ომამდე სახელმწიფოს ქონდა დაკისრებული. მაშინ საქართველოში ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტების ჯამი არ აღემატებოდა დაახლოვებით ოთხ მილიონ მანეთს.

რასაკვირველია, მაშინ და დღეს ფულის ღირებულება ერთმეორესაგან დიდათ განსხვავდება, მაგრამ ჩვენ აქ ვიღებთ ჯერ ნომინალურ ღირებულებას, ომამდე თუ ადგილობრივი ორგანოების ხარჯი უდრიდა ოთხ მილ. მანეთს დღეს ეს ხარჯი უდრის 23,6 მილ. მან. და შემოსავალი 22,3 მილ. მან. მიუხედავად საქართველოს ტერიტორიის საგრძნობლად შემცირებისა. ამნაირად საერთო ჯამი ადგილობრივი და რესპუბლიკანური შემოსავლისა დღეს უდრის დარგვალებით 50 მილ. მან. რაც გარეგნულად უთანასწორდება, საქართველოს 1913 წ. შემოსავალს.

ასეთია დაახლოვებით ფინანსიური სურათი საქართველოსი და მისი ფინანსიური შესაძლებლობა. ამ თანხაში არ შედის რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და შავიქვის შემოსავალი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკანური ბიუჯეტები შესაფერათ ჩამოყალიბდება უფლებრივათ და მატერიალურათ, რისთვისაც საჭიროა სათანადო საბიუჯეტო უფლების გამომუშავება. ეს საკითხი დღეს საკავშირო მასშტაბით არის დასმული და მის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ბევრი რამ საინტერესო გამოითქვა. საჭიროა ჩვენშიაც გავაშუქოთ ეს საგანი, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოები შეუდგებოდენ საბიუჯეტო უფლებების პროექტის განხილვას. ამ მიზნით ამ წერილების სერიას ჩვენ საბიუჯეტო უფლების განხილვით დავამთავრებთ და ჩვენი ამ საგანზე შეხედულობასთან ერთად მკითხველს გავაცნობთ, თუ როგორ უყურებენ ამ საკითხს სპეციალისტები და საკავშირო ფინანსების ხელმძღვანელნი. ამ საგანზე იქნება უკანასკნელი წერილი „საკავშირო და მოკავშირეთა ბიუჯეტების“ შესახებ.

დ. თოფურიძე.

შენიშვნა: წინა წერილის მე-7 თავში მე-4 სვეტში (№ 65) ბოლოდან მე-18 სტრიქონში, გამოტოვებულია ერთი წინადადება, რომლის გამო აზრი მახინჯდება. სწერია. „საქართველოს აუცილებელი ხარჯები, რომელიც საერთო კავშირის ცაკმა სცნო მინიმალურად, უდრის 10,8 მილ. მან.“ ანუ რესპუბლიკის შემოსავალით იფარება გასავლის 42,6 პროცენტი“. უნდა იყოს: „საქართველოს აუცილებელი ხარჯები, რომელიც საერთო კავშირის ცაკმაც სცნო მინიმალურად, უდრის 10,8 მილ. მან. ხოლო შემოსავალი 4,6 მილ. მან. (3,4 მილ. მან. დროებით დათმობილი და 1,2 მილ. მან. მუდმივი შემოსავალი) ანუ რესპუბლიკის შემოსავლით იფარება გასავლის 42,6 პროცენტი“.

დ. თ.

რადიო-დეპეშები

(„საქრონტა“-ს ცნობები)

იაპონიის წარმომადგენელი მოსკოვში

მოსკოვი. 25 მარტი. მოსკოვში ჩამოსულმა იაპონიის რწმუნებულმა ხატომ ინახულა ლიტვინოვი და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი როტშტეინი.

გერმანიის „საგანგებო კომისიის“ საქმე

ლეიპციგი, 27 მარტი. სასამართლო ართმევს ჩვენებას სასამართლოს გამომძიებელს ფოხტს, რომელიც აცხადებს, რომ ზედმეტია ლაპარაკი ფელიქს ნეიმანის ჯაშუშურ მოღვაწეობაზე. ფოხტი უდგენს სასამართლოს მასალებს, რომელიც კონფისკაციით იქნა ჩამორთმეული რეიხსტაგის და ლანდტაგის კომუნისტურ ფრაქციების შენობის გაჩხრეკის დროს. ამ დოკუმენტების თანახმად ფოხტი აცხადებს, რომ „რემედასი“ წარმოადგენს, ვითომდა, კომპარტიის განყოფილებას, რომლის უმთავრეს ამოცანას შეადგენს იმ კომუნისტებისათვის ყალბი დოკუმენტების მიწოდებას, რომელნიც დევნილი არიან სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

შემდეგ ფოხტი ამბობს, რომ ერთ-ერთ დოკუმენტში ვითომდა საჭიროთ არის ცნობილი რეიხსტაგში კომპარტიის ოფიციალურ ცენტრის დატოვება, რაც აძლევს მათ დეპუტატებს ხელშეუხებლობის უფლებას. აქედან ფოხტის სიტყვით, ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ კომპარტიის ოფიციალური ცენტრი წარმოადგენს არალეგალურ ორგანიზაციის.

შემდეგ ფოხტი მოუთხრობს სასამართლოს „ყალბ პასპორტების კომუნისტურ ცენტრალურ ბიუროს“ მოქმედების შესახებ, ამასთანავე ფოხტის ჩვენება როგორც ამ საკითხში, ისე სხვა საკითხებში სავსებით ეთანხმება ნეიმანის ჩვენებებს, ფოხტი ათავებს ჩვენებას განცხადებით, რომ რამდენიმე დღის წინად „დაშლის განყოფილების“ კომუნისტ ხელმძღვანელთა დაპატიმრების დროს, მათ ვითომდა აღმოაჩინდათ დიდძალი დოკუმენტები.

ფოხტის დაკითხვის დროს დამცველები აცხადებენ ენერგიულ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ სასამართლოს გადაეცა დამცველთათვის უცნობი და შეუმოწმებელი მასალა. დამცველები აცხადებენ, რომ ისინი იძულებული იქნებიან უარი განაცხადონ პროცესში შემდეგ მონაწილეობის მიღებაზე. ერთ-ერთი დამცველთაგანი გამოსთქვამს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ფოხტი მუდამ ახსენებს ლენინის სახელს კონფისკაციაქმნილ დოკუმენტების ციტატების განმარტების დროს და ამგვარად გამოდის პოლიტიკურ ექსპერტის როლში.

შემდეგ სასამართლო ერთმანეთს უპირდაპირებს სკობლევსკის და ფოხტს.

დაპირდაპირებისას სკობლევსკი იმეორებს თავის წინანდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ ფოხტი დაკითხვაზე აცხადებდა მის დასჯას „მორალურ აუცილებლობად“.

შტრეზემანს პასუხს სთხოვენ

ბერლინი. 25 მარტი. დრეზდენში შესდგა პანგერმანელების კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუცია სასტიკად ილაშქრებს შტრეზემანის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან მოითხოვა საგარანტიო ხელშეკრულება. **რეზოლიუცია მოითხოვს შტრეზემანის პასუხისგებაში მიცემას.**

ინგლისის თემთა პალატაში

თვითონ ინანებენ

ლონდონი, 25 მარტი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა მაქს-ტონმა შეიტანა შეკითხვა, გადასწყვიტა თუ არა მთავრობამ გააუქმოს ვაჭრობის სამინისტროს განკარგულება იმის შესახებ, რომ კანონი საზღვაო ვაჭრობის და სავაჭრო შეღავათების შესახებ არ გავრცელდება რუსეთზე.

ვაჭრობის მინისტრმა გაპლაიდ ლისტერმა უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვა და განაცხადა, რომ „სანამ რუსეთი არ შეჰქმნის კრედიტისათვის მისაღებ პირობებს, არ შეიძლება ეს კანონი გავრცელდეს მასზედაც“.

პრემიერ ბალდვინის განცხადება

ლონდონი, 25 მარტი. თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის გარშემო კამათის დამთავრების შემდეგ, გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ბალდვინი, რომელმაც განაცხადა: „მთავრობამ შეიგნო, რომ ევროპაში ყოველგვარი პროგრესი შეუძლებელია, სანამ დასავლეთ ევროპაში არ შეიცვლება საერთო განწყობილება, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უიმედობის გრძნობა ადგილს დაუთმობს უშიშროების გრძნობას.

ეჭვს გარეშეა, რომ დღემდე არსებულ მდგომარეობის შემდეგშიაც დატოვება და **ყოფილი მტერის ტერიტორიის დაკავება უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ეს საჭიროა, ძლიერ გაართულებს ევროპის საქმეებს.**

ამიტომ მთავრობა ერთგვარი იმედით მიუდგა იმ წინადადებას, რომლებიც საკმაოდ მოულოდნელი იყვნენ, მაგრამ უფრო მეტ იმედს იძლევიან მდგომარეობის საბოლოო მოგვარებისათვის, ვიდრე ყველა სხვა ამბები, რომელთაც ადგილი აქვთ ევროპაში უკანასკნელ დროს“.

გერმანიის შუამდგომლობა

ბერლინი, 25 მარტი. გერმანიის მთავრობა ამ დღეებში გზავნის პარიზში დელეგაციას, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ელჩთა კონფერენციასთან იმის შესახებ, რომ გაფართოებულ იქნეს ჰაეროპლანების აშენების და ჰაეროპლანების მოტორების დამზადების უფლება. (ეს უფლება გერმანიას შეუზღუდა ლონდონის ულტიმატუმმა 1922 წელს).

საბჭოთა მაზუთი საფრანგეთისათვის

მოსკოვი. 25 მარტი. 24 მარტს ხელმოწერილი იქნა საფრანგეთის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება საზღვაო სამინისტროსათვის რუსეთიდან 5 მილიონი ფუთი მაზუთის მიწოდების შესახებ.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მოსკოვში ლომოვმა—ნავთის სინდიკატის სახელით და საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა—საფრანგეთის მთავრობის სახელით.

პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია გერმანიაში

„რესპუბლიკანელ“ კანდიდატის სასარგებლოდ

ბერლინი. 25 მარტი. კარლსრუეში შესდგა დემონსტრაცია, რომელიც მოწყობილ იქნა ბადენის ორგანიზაციის „რესპუბლიკანურ დროშის“ მიერ. დემონსტრაციაზე მონაწილეობას იღებდა 3.000 კაცი. იქვე იყო დემოკრატიულ პარტიის კანდიდატი პრეზიდენტობაზე—გელპახი, ორგანიზაცია „რესპუბლიკანურ დროშის“ თავმჯდომარე—ხერზინგი და აგრეთვე ბადენის მთავრობის წევრები. ხერზინგი ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ხელმეორე კენჭის ყრაზე წამოყენებულ იქნეს რესპუბლიკელების საერთო კანდიდატი.

იარრესის კანდიდატურა

ბერლინი. 25 მარტი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ იარრესის კანდიდატურა ლებელის კომიტეტის მიერ (მემარჯვენე პარტიების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც უნდა მოამზადოს პრეზიდენტის არჩევნები) წამოყენებული იქნება აგრეთვე ხელახალი კენჭის ყრის დროსაც. თუ პირველი კენჭის ყრის დროს არც ერთი კანდიდატი არ მიიღებს აბსოლიუტურ უმრავლესობას.

ჰიტლერის ორგანო—„ფოლკიშერ ბეობახტერი“ სწერს: „მძიმე მრეწველობას და ბანკებს სურთ იარრესის არჩევა. ჩვენთან და ჰიტლერთანაც იყვენ მათი წარმომადგენლები და **შემოგვაძლიეს დიდი თანხა, თუ ჩვენ უარს ვიტყვით ლიუდენდორფის კანდიდატურაზე და მხარს დავუჭერთ იარრესის კანდიდატურას“.**

რა ხდება პოლონეთში

გრანდიოზული დემონსტრაცია დომბროვში.

ვარშავა, 25 მარტი. დომბროვში უნდა დაესაფლავებიათ ორი სამთომადნო მუშა, რომლებმაც მოკლეს პროვოკატორი კამინსკი და რომლებიც შემდეგ დაახრჩო პოლიციამ მხრჩოლავი გაზების საშუალებით; დასაფლავების დღეს დომბროვში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. დასაფლავებაზე დილიდანვე თავი მოიყარეს სხვადასხვა **კუთხეებიდან აუარებელმა სამთომადნო მუშებმა, რიცხვით 30.000 კაცმა. პოლიციას შეეშინდა უწესოების და ამიტომ დასაფლავება გადადებული იყო; დახოცილი მუშები პოლიციამ ფარულათ დაასაფლავა ღამით.**

მაგრამ, ფარულ დასაფლავებას მაინც დაესწრო 3.000 მეტი სამთომადნო მუშა, რომლებმაც მიცვალებულები მიაცილეს სასაფლაომდი, მიუხედავათ პოლიციის ძლიერი წინააღმდეგობისა.

უნდათ დაფარონ

ვარშავა. 25 მარტი. ვარშავის პრესა სიჩუმით შეხვდა ლანცუცკის პროცესის დაწყებას; ის კმაყოფილდება მხოლოდ მოკლე შენიშვნებით. მხოლოდ ებრაელთა ორგანო „ნაშ პრშეგლონდ“-ი ხაზს უსვამს იმას, რომ ლანცუცკის ბინის დათვალიერებამ გაუცრუვა იმედები პროკურორს, რადგან საუცხოვოდ მოწყობილ ბინის მაგივრად აღმოჩნდა მეტად უბრალო ბინა.

პოლონეთის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი. 25 მარტი. ვარშავიდან მიღებული ცნობით, იქ სწარმოებდა პოლონეთის კომპარტიის მესამე ყრილობა. ყრილობამ ერთხმად დაადასტურა კომინტერნის მეხუთე კონგრესის დირექტივების სისწორე, გაიმიჯნა მემარჯვენებისაგან, აირჩია ცეკა მემარცხენეებისაგან და მიიღო მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვან რეზოლიუციებისა პოლიტიკური მდგომარეობის, პარტიის ბოლშევიზაციის, გლეხებს შორის მუშაობის და სხვა საკითხების შესახებ.

ლანცუცკის პროცესი

სიმართლის გამორკვევის ეშინიათ

ლონდონი, 24 მარტი. პოლონეთის მთავრობამ უარი განაცხადა ინგლისელ ადვოკატების თხოვნაზე ლანცუცკის პროცესზე დამცველებად დაშვების შესახებ. პოლონეთის ხელისუფლებამ განაცხადა, განაცხადა, რომ პოლონეთის პროცესუალურ კოდექსის ძალით სისხლის სამართლის საქმის დასაცავად არ შეიძლება დაშვებული იქნას არც ერთი ადვოკატი, რომელიც არ ინიშნება პოლონეთის ადვოკატთა სიაში.

ამის გამო ლანსბერიმ აღნიშნა, რომ **საბჭოთა მთავრობამ დაუშვა ვანდერველდე და სხვა საზღვარგარეთელი დამცველები ესერების პროცესზე.** ამგვარად აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ **მოსკოვს ნაკლებად ეშინია გახმაურების, ვიდრე ვარშავა.**

ადვოკატებმა, რომელნიც სცდილობდენ დაცვაში მონაწილეობის მიღებას, გაუგზავნეს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დეპეშა, რომელშიაც სთხოვდენ მას რჩევას თუ რა ზომებია საჭირო იმისათვის, რათა დაშვებული იქნან ლანცუცკის დასაცავად.

უკანასკნელი ცნობები

იაპონიის შრომის ფედერაციის დეპეშა

მოსკოვი, 28 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ იაპონიის შრომის ფედერაციიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „იაპონიის შრომის ფედერაციის მე-14 კონგრესი ესალმება იაპონიისა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განახლებას და ისურვებს მომავალში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას“.

რადიო-სადგური სპარსეთში

თეირანი. 24 მარტი. თეირანის ახლოს, 6 ვერსზე, კასრაკაჯარში ამართულ იქნა 120 მეტრის სიმაღლის რადიო-ანძა და საფუძველი ჩაეყარა ძლიერ რადიო-სადგურს, რომელსაც აშენებს საბჭოთა ელექტრო-ტრესტი. ამგვარადვე სადგურები შენდება სპარსეთის ექვს სხვა ქალაქში.

ზეიმს დაესწრენ სპარსეთის მთავრობის წევრები, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მეჯლისის დეპუტატები, ჯარები და დიდძალი ხალხი. პრემიერმა რიზა-ხანმა მხურვალე მადლობა გამოუცხადა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს სპარსეთის რადიო აღმშენებლობისათვის განსაკუთრებულ ხელის შეწყობისათვის.

დონის ოლქის სამთო-მადნო მუშათა რეზოლიუცია

არტემოვსკი, 25 მარტი. სამთო-მადნო მუშათა ყრილობამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ამხ. ლანცუცკის გასამართლების წინააღმდეგ. ყრილობა დონის ოლქის 170.000 სამთო-მადნო მუშის სახელით მოითხოვს ლანცუცკის საჯარო გასამართლებას და მოუწოდებს პოლონეთის პროლეტარიატს მოითხოვოს ეს საჯარო გასამართლება.

ღრმა მწუხარებაში

ბათომი, 25 მარტი. ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების მიასნიკოვის, ათარბეკოვის, მოგილევსკის და მფრინავ შპილისა და სალარაძის დასაფლავების დღეს, დღის 13 საათზე ბურუნ-ტაბიეს ფორტიდან ზარბაზნების გასროლით სამხედრო პატივი ეცა მათ ხსოვნას. უცხოეთის საკონსულოების შენობებსა და ნავთსადგურში მდგომ გემებზე დაშვებულ იქნა დროშები. ყველა ფაბრიკა ქარხნებში და დაწესებულებებში შესწყდა მუშაობა. ყველა მაღაზიები დაიკეტა.

სამგლოვიარო დემონსტრაცია სოხუმში

სოხუმი, 25 მარტი. მიუხედავად ძლიერი წვიმისა პროფკავშირების, პარტიის, ახალგაზრდათა კომკავშირის მრავალმა ათასმა წევრმა, წითელარმიელებმა და მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღეს სამი ამხანაგის პატივსაცემად გამართულ დემონსტრაციაში. სამხედრო და საგანგებო დანიშნულების ნაწილების მიერ სალიუტი იქნა მიცემული. დემონსტრაცია გათავდა 4 საათზე, თავისუფლების მოედანზე.

ბაქოს იარმუკაზე

მოსკოვი, 25 მარტი. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით რუსეთის სხვადასხვა ტრესტები და სინდიკატები ბაქოს იარმუკაზე აგზავნიან დიდძალ საქონელს. მაგალითად, 89 ვაგონ პურეულობას, 50,000 ცალ კალოშს, 56,000 ფუთ სახლების სახურავ რკინას და სხვ.

იტალიას მეტად ესაჭიროება დონის ნახშირი

ხარკოვი, 25 მარტი. იტალიაში გასატანად დონის ნახშირის დიდი პარტიის შესყიდვის გამო, ხარკოვში მყოფმა იტალიის ელჩმა რატაუმ განაცხადა: თუ ეს ნახშირი შესაფერისი გამოდგება იტალიის მრეწველობისათვის, იმ შემთხვევაში დონის ნახშირის მოთხოვნილება იტალიის მხრივ მეტად დიდი იქნებაო.

რ. კ. პ. მოსკოვის პლენუმი

მოსკოვი. 25 მარტი. დასრულდა რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საზოგადო სამუშაოებისა და შრომის კოლექტივების ქსელის გასაფართოებლად სახელმწიფოს მიერ დამატებით ასიგნობების გაცემის საჭიროების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მიზნად აქვს მისცეს სამუშაო რაც შეიძლება მეტ უმუშევარს. პლენუმმა ყურადღება მიაქცია თავისუფლად დაქირავების დროს საკავშირო ორგანიზაციების მიერ კონტროლის გაძლიერების საჭიროებას, აგრეთვე საბინაო საკითხს. წელს საალმშენებლო კამპანიისათვის გადადებული იქნება 60 მილ. მანეთი.

პლენუმმა გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს ღარიბეს გლეხებს სათესლე ხორბლეულობის შეძენაში.

პლენუმმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკულ წინადადებისა საქონლის ბრუნვისა და მომხმარებელთა კოოპერაციის გაჯანსაღების შესახებ.

პლენუმმა საჭიროდ აღიარა პარტიულ ორგანიზაციების შემადგენლობის მოწესრიგებაზე ყურადღების მიქცევა, წევრთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და რამდენიმე ათასი გლეხის პარტიაში მიღების საჭიროება. პროპაგანდა-აგიტაციის საქმეში პლენუმმა საჭიროდ აღიარა ლენინიზმის შესწავლის გაძლიერება.

საბჭოთა პავილიონი პარიზის გამოფენაზე

მოსკოვი. 25 მარტი. სახალხო განათლების კომ. სახელოვნო საბჭოში მოისმინეს მოხსენებანი პარიზის გამოფენაზე საბჭოთა კავშირის პავილიონის მოსაწყობ მუშაობის მსვლელობის შესახებ.

ექსპონატების უმთავრესი ნაწილი უკვე გაგზავნილია პარიზში. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი პავილიონში აწყობს საჩაიეს.

გამოითქვა სურვილი ყვავილებისაგან გაკეთებული ლენინის სურათის გამოფენის შესახებ და სხვ.

საერთოდ საბჭოთა კავშირის სამხატვრო პავილიონმა ექსპონატების სიმდიდრით და ორიგინალობით ერთერთი პირველი ადგილთაგანი უნდა დაიჭიროს ამ გამოფენაზე.

მთავრობის კრიზისი ფინეთში

ჰელსინგფორსი. 25 მარტი. გრძელდება მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ. განზრახულია შედგენილ იქნეს ეგრედწოდებული „შრომის მთავრობა“ იმ პირებისაგან, რომლებიც ახლო სდგანან პოლიტიკურ მუშაობასთან და ეყრდნობიან სეიმის უმრავლესობას.

პროგრესისტები ამტკიცებენ, რომ „შრომის მთავრობა“ მანევრია, იმ მიზნით, რომ განხორციელებულიყო **ფართო ბურჟუაზიული კოალიცია მასში შევიდეს და პროგრესისტების ჩაბმით.**

ამხ. მარხლევსკის გარდაცვალება

მოსკოვი. 24 მარტი. 22 მარტს იტალიაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ (თირკმლების სკლეროზი) გარდაიცვალა ერთ-ერთი უხუცესი პოლონელი კომუნისტი—მარხლევსკი.

ამხ. მარხლევსკი რევოლიუციონურ მუშაობაში ჩაება 90-იან წლებში, პირველად დაპატიმრებული იყო 1891 წელს ლოძში, შემდეგ კი გადასახლებული იქნა ყოფ. რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან.

ემიგრანტად ყოფნის დროს მარხლევსკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში; ის ემხრობოდა მემარცხენე ფრთას და თანამშრომლობდა საზღვარგარეთელ კომუნისტურ გამოცემებში.

1905 წელს მარხლევსკი მიდის ვარშავაში, სადაც მას ხელახლა აპატიმრებენ.

იმპერიალისტური ომის დროს მარხლევსკი როზა ლიუქსემბურგთან ერთად სოციალ-გამყიდველების შეურიგებელ მტრათ ხდება.

1919 წლიდან ამხ. მარხლევსკი მოსკოვში იყო; ის ითვლებოდა პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენლად კომინტერნში, დასავლეთის კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორად და „რემედასს“-ის ცეკას თავმჯდომარედ.

ამხ. ბუხარინი პოლიტიკური მომენტის შესახებ

სიტყვა წარმოთქმული რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე

სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტი

მოსკოვი, 24 მარტი. ერთის მხრით, ცენტრალურ ევროპაში შენელდა რევოლიუციონური მოძრაობის ტემპი და ახლო მომავალში არ შეიძლება ველოდეთ დიდ რევოლიუციონურ ამბებს. ევროპაში ამერიკის კაპიტალის შეჭრის გამო, მტკიცდება კაპიტალისტური წესწყობილება.

მეორე მხრით, უნდა აღინიშნოს ინგლისის მუშათა კლასის გამემარცხენება, რაც გამოიხატა ინგლისის და რუსეთის პროფკავშირების დაახლოვებაში, აგრეთვე კოლონიალური მოძრაობის გაძლიერება—კერძოთ აღმოსავლეთ-აზიის და პირველ ყოვლისა ჩინეთის ხალხთა მასების უაღრესად გარევოლიუციონერება.

ეს ფაქტები: რევოლიუციონური სიტუაციის გაქრობა ცენტრალურ ევროპაში, ინგლისის პროლეტარიატის გამემარცხენება და კოლონიალური ბრძოლის გამწვავება, კერძოთ შორეულ აღმოსავლეთში,—წარმოადგენენ სამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მსოფლიო პოლიტიკის სფეროში, რომლებიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომელთაგან უნდა გამოვდიოდეთ, რომლებიც განსაზღვრავენ გეზს გაცილებით უფრო გაღრმავებული მუშაობისათვის, რომელთა თვალსაზრისით განხილული უნდა იქნენ ყველა დანარჩენი საკითხები.

რა არის ბოლშევიზაცია

ევროპაში ასეთი მდგომარეობის შექმნის გამო, ჩვენ უკანასკნელ დროს განვიცადეთ მთელი რიგი კრიზისებისა კომუნისტური პარტიის შიგნით. ასეთები იყო კრიზისები შვეციის და ნორვეგიის პარტიებში, ჩვენს საკუთარ პარტიაში, ჩეხო-სლოვაკიის, გერმანიის, საფრანგეთის და მთელ რიგ სხვა პარტიებში. ამ გარემოებათაგან გამომდინარეობს ის მთავარი ამოცანა, რომელიც მდგომარეობს ჩვენი მუშაობის გაღრმავებაში. აქედან გამომდინარეობს პარტიის ბოლშევიზაციის ლოზუნგი.

შეცდომა იქნებოდა, რომ ბოლშევიზაციის ლოზუნგი გაგებული ყოფილიყო, როგორც უბრალო სიტყვიერება, რომლითაც შეიძლება თამაშო, როგორც ბურთით. ასეთი საფრთხე არის ყველგან და ყოველთვის. თუ ეხლა ყოველ საჭირო და არასაჭირო შემთხვევაში ფიცავენ ლენინიზმს და არც ესმით რა არის ის, თუ ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამენ ისე, რომ არ ახსენონ ლენინის ლოზუნგები და ანდერძი და ამავე დროს ამ საქმეს არ უდგებიან სერიოზულად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს არის თამაში ბოლშევიზაციით და არა ნამდვილი ბოლშევიზაცია. ამჟამად გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მსოფლიო მასშტაბით და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ისმება საკითხი მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის შესახებ.

მსოფლიო კურსი გლეხობაზე

არასოდეს, ჩვენი მოძრაობის მთელი ისტორიის მანძილზე, ამ საკითხს არ მიუღია ისეთი დიდი საერთაშორისო სიმწვავე, როგორც ღებულობს ეხლა. ეხლანდელი კრიზისი თითქმის შეიძლება დახასიათდეს, როგორც გაფართოებული კლასიური ბრძოლა გლეხობაზე გავლენისათვის ერთის მხრით გაბატონებულ ბურჟუაზიასა და მემამულეებსა და მეორე მხრივ მუშათა კლასს შორის.

ჩვენი ყველა ჯურის რუსი ემიგრანტები, დაწყებული პირწავარდნილ მონარქისტებით, ყოფილი დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძით, კირილე ვლადიმერის ძით და გათავებული ესერებით და მენშევიკებით—ყველანი დღეს იღებენ კურსს გლეხობაზე, რათა გათიშონ საბჭოთა რუსეთის მუშების და გლეხების კავშირი.

ამხანაგებო, იფიქრეთ ამაზე. განსაკუთრებით იმ ამხანაგებმა, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ სოფლად, უნდა შეიგნონ, იგრძნონ, უნდა ჩაუკვირდენ ამას ბოლომდე. ეხლა სწარმოებს ბრძოლა ერთის მხრით მუშათა კლასის და მეორე მხრით ბურჟუაზიისა და მემამულეების შორის გლეხთა უდიდეს მილიარდიან რეზერვისათვის. ასე განისაზღვრება ეხლანდელი მომენტი მთავარ კლასთა და მებრძოლ ძალთა განწყობილების თვალსაზრისით.

უდიდესი ყურადღება გლეხობას

სავსებით გასაგებია, რომ თუ ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობა ერთის მხრით ჩვენთვის ნიშნავს ქვეყნის საწარმოო ძალის შემდეგი განვითარების შესაძლებლობას, მეორე მხრით კი, ის ჩვენს წინაშე სვამს ამოცანებს, რომელთაც ჩვენ წინად არ ვიცნობდით და რომელთაც ეხლა პირის-პირ მივადექით. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ბრძოლა გლეხობაზე გავლენისათვის მოითხოვს ჩვენგან გაცილებით უფრო გაღრმავებულ მუშაობას და მეტ ყურადღებას პრობლემებისა და ყველა დიდ და პატარა საკითხებისადმი, ვიდრე დღემდე.

საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც წინად უშუალოდ ეხმარებოდა ჩვენს მემამულეს უკანვე დაებრუნებია გლეხისაგან მიწა, ეხლა ფიქრობს, რომ მიწის უკან დაბრუნება აღარ შეიძლება და მთავარ ყურადღებას აქცევს იმას, რომ გათიშოს საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების კავშირი. მთავარი კოზირი, რომელიც იყო ჩვენს ხელში და რომელიც ყველაზე მეტს იწონიდა ქვეყანაზე, მდგომარეობდა იმაში, რომ მუშათა კლასმა დახმარება გაუწია გლეხობას გაენადგურებია მემამულეები და წაეღო მემამულეების მიწები. ეხლა უნდა სიმართლე ითქვას, რომ ეს კოზირი უკვე ცხრა მეათედით აღარ გვაქვს, რომ ის ბარდება ისტორიულ წარსულს. ჩვენ ვიქნებოდით სულელები, რომ ეს არ გვქონდეს შეგნებული.

ჩავაბათ გლეხობა საბჭოთა აღმშენებლობაში

უნდა დავიპყროთ გლეხობა, დაუმორჩილოთ ის მუშათა კლასის გავლენას, უნდა გავაკეთოთ ის ახალი საქმე, რომელსაც ემყარება ჩვენი კავშირი, ხელახლა, ახალი მეთოდებით, რომლებიც მდგომარეობენ იმაში, რომ გლეხობის რაც შეიძლება უფრო მასების მეტი კადრები უნდა ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში.

თუ ავიღებთ ამ ამოცანას სამეურნეო ხაზით, ის უნდა მდგომარეობდეს პირველ ყოვლისა იმაში, რომ სახელმწიფოს სოციალისტურ ინდუსტრიას შეეძლოს მუშაობა გლეხურ ბაზარზე გლეხობისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელად, ვიდრე ამას სჩადიოდა კაპიტალისტური ინდუსტრია. ეს ამოცანა ძალიან ძნელი შესასრულებელია არსებულ პირობებში. ამიტომ ჩვენ უნდა დავჭიმოთ ყველა ძალები და გადავსჭრათ ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამოცანა.

ახალი მეთოდებით

ამხანაგებო. ჩვენს წინაშე სდგას აგრეთვე ჩვენი მუშაობის გაღრმავების საკითხი, რადგან ის სიმარტივე და ელემენტარობა, რომელიც ახასიათებდა ჩვენს მუშაობას გასულ პერიოდში, ჩაბარდა წარსულს. რატომ ეხლა, მიუხედავად ყველა პირობებისა, რომლებიც, თითქოს, გვაქვს, მიუხედავად ჩვენი უმაღლესი ორგანიზაციების მრავალი დირექტივებისა, მტკიცე კურსისა, რომელიც აღებული აქვს პარტიას, რეზოლიუციების, ყრილობების და კონფერენციებისა,—რატომ დღემდე ჩვენში ჯერ კიდევ არ მოწესრიგებულა მუშაობა სოფლად, როგორც ეს საჭიროა?

უმთავრესათ იმიტომ, რომ ჩვენი მუშაკების საკადრო შემადგენლობას, რომელიც სოფლათ მუშაობს და რომელიც გამოვიდა გლეხთა წრიდან და აღიზარდა თავისებური სამხედრო და სამომხმარებლო კომუნიზმის გამაერთიანებულ ამოცანებზე, არ შეუძლია ისე გარდაქმნას თავისი თავი, რომ შესძლოს მმართვა-გამგეობა და ახალი მეთოდებით მოიხვეჭოს ავტორიტეტი მასებში.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ გვინდა პროლეტარული დიქტატურის გაუქმება და მუშათა სახელმწიფოს შესუსტება, რომ ჩვენ გვინდა შევსცვალოთ ჩვენი ხელისუფლების სოციალური და კლასიური სტრუქტურა? სრულიადაც არა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა განვამტკიცოთ მუშათა სახელმწიფო (მისი განმტკიცება კი ეხლა ძველი მეთოდებით არ შეიძლება, რადგან ძველი კოზირები ჩვენ ეხლა ხელიდან გამოგვეცალა), ჩვენ ახალი გზით უნდა მოვიპოვოთ გლეხობის ნდობა. აი ამიტომ არის, რომ ჩვენ ეხლა ვანხორციელებთ მთელ რიგ რეფორმებს. და მე წინდაწინ ვამბობ, ვწინასწარმეტყველობ, რომ ჯერ კიდევ მთელი რიგი რეფორმები იქნება გატარებული ჩვენი პარტიის მიერ სოფელთან დამოკიდებულების სფეროში.

ორი საშიშროება

ორი საშიშროება იშლება ჩვენს წინ ამ ამოცანებთან დაკავშირებით. ერთი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ პარტია და კომკავშირი ანგარიშს არ გაუწევენ დროის ახალ მოთხოვნილებებს და ძველებურათ იმუშავებენ. მეორე საშიშროება მდგომარეობს არტახების სრულ მოშვებაში. სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მმართვა-გამგეობის უფრო რბილ მეთოდებს—შთაგონებას, განათლებას, დასაბუთებას არ სჭირდება დისციპლინა. ეს შემცდარი შეხედულებაა.

რომ არ დავიბნეთ ამ ორი საშიშროების შორის, ჩვენთვის საჭიროა გაღრმავებული მუშაობა. ტროცკიზმის შესახებ დაწყებულ დისკუსიის აზრი სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რომ გავაღრმავოთ პარტიის წევრების შეგნებაში ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები. რომ არ დავიბნეთ იმ რთულ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, საჭიროა ხელში გვქონდეს ერთგვარი კომპასი, რომელიც სწორ გზას გვიჩვენებს, ამიტომ საჭიროა უაღრესი ბოლშევიზაცია.

კომკავშირის დიადი ამოცანები

კომკავშირი დიდი ძალაა, ის უფრო სახელოვან როლს ითამაშებს, ვიდრე ძველი კადრები. თვითეულ ისტორიულ მოსახვევში, რომელსაც გაივლის ჩვენი რევოლიუცია, ჩვენ ხშირად იძულებული ვიქნებით გადავიდეთ სხვა ამოცანებზე და სხვა ფრონტებზე. რომლებიც თქვენ წინათ არ გინახავთ. სწორეთ აქ არის უდიდესი საშიშროება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მუშაობის რომელიმე სფეროში უეცარი მოხვევის დროს თქვენ შეიძლება დაიბნეთ. საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც საჭირო იქნება რაიმე უეცარი და მნიშვნელოვანი მოხვევა, როდესაც თქვენ იძულებული იქნებით დამოუკიდებლათ ეძიოთ ახალი გზები, თქვენ შეიძლება გზა აგებნეთ და დაიბნეთ, თუ წინდაწინ არ შეიგნებთ და შეითვისებთ პარტიის მიერ განვლილ ყველა მოხვეულ-მოხვეულ გზებს და რევოლიუციონურ-მარქსისტულ დიალექტიკას.

უდიდესი ბოროტება მდგომარეობს იმ უამრავ მუშაობაში, რომელსაც აკისრებენ კომკავშირელებს. ჩვენ უნდა გადავიდეთ მუშაობის და შრომის ისეთ განაწილებაზე, რომ კომკავშირელს მეტი საშუალება ჰქონდეს ჩასწვდეს მუშაობის შინაარსს და შეგნებულად შეასრულოს ის. ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი გაძლიერებული ზრდის პერიოდში. იზრდება აგრეთვე ბურჟუაზიის ძალაც. ისინიც აგრეთვე წინ მიდიან, ამიტომ ჩვენი განვითარების ტემპი გაძლიერებული უნდა იქნეს რამოდენიმეჯერ, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიამ წინ არ გაგვისწროს, რომ რამოდენიმე ხნით ჩვენზე ძლიერი არ აღმოჩნდეს და თავის მხარეზე არ გადაიყვანოს გლეხობის ნაწილი.

ხმაურობის გარეშე, მაგრამ მტკიცეთ და ენერგიულად

უთხრათ ჩვენს საკუთარ პარტიას: გაღრმავე მუშაობა, მოიხმარე ლენინის მოძღვრების მტკიცე საძირკველი, ნამდვილი ბოლშევიზმი შეიტანე პარტიის წევრების მასაში არა სიტყვით, არამედ საქმით, გააღრმავე მუშაობა და თვითგანვითარება ლენინის მოძღვრების საფუძვლებზე. ეს ძირითადი დირექტივა უნდა მივსცეთ ჩვენ კომკავშირელთა ორგანიზაციას ზედმეტი ხმაურობის გარეშე, მაგრამ მტკიცედ და ენერგიულად.

კომკავშირელები უნდა გახდენ ჩვენი კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებად. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს პარტია მოითხოვს თქვენგან ასკეტიზმს, მარხულობას და სხვა ამგვარ სისულელეებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ თქვენ გქონდეთ გრძნობა სრული პასუხისმგებლობისა თქვენი მუშაობისათვის, 100 პროცენტით სერიოზულათ მოეკიდოთ საქმეს და ლენინიზმის შესწავლის გაცილებით უფრო ღრმა ამოცანები დაისახოთ, ვიდრე ეს აქამდი იყო“.

დაღუპულ ამხანაგების დასაფლავება

გუშინ,—საღამოს ეროვნული გალერეის წინ მიწას მიაბარეს ტრაგიკულად დაღუპულნი რევოლიუციონერები.

შუადღის სრულს თორმეტ საათზე ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში შეწყდა მუშაობა.

რუსთაველის პროსპექტზე

მთელი ქალაქი შეუდგა სამზადისს ამიერ-კავკასიის მშრომელ მოამაგეების მიწისათვის მისაბარებლად.

ტრაურში გახვეულმა ქალაქმა კიდევ უფრო სამგლოვიარო იერი მიიღო აუარებელი შავი დროშების და პლაკატების ქუჩებზე გამოფენის გამო.

რუსთაველის პროსპექტის შუაგული ვერის დაღმართიდან სასახლის ქუჩამდე დაკალიერდა ადამიანთაგან და მასზე შეჩერდა მოძრაობა. იგი გაანთავისუფლეს პროცესიის მსვლელობისათვის.

მუშათა სასახლის წინ ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივდნენ ჯარის ნაწილები.

მთაწმინდის მაღლობიდან პროსპექტზე ჩამომავალი ქუჩები გაიჭედა ხალხით.

სახლების აივნები, კიბეები და სახურავები ავსებულია მოქალაქეებით ბავშვები აცოცებულან ხეებზე და იქიდან უმზერენ იშვიათ სამგლოვიარო სანახაობას.

მუშათა სასახლის წინ ნელ-ნელა იკრიბებიან საკავშირო რესპუბლიკებიდან და საქართველოს კუთხეებიდან ჩამოსული დელეგატები—დროშებით, პლაკატებით და გვირგვინებით.

მალე მთელი ქუჩის ორივე მხარეს პროფსაბჭოს შენობიდან დაწყებული სასახლის (სახ. კომ. საბჭოს) შენობამდე იკავებს გვირგვინების წყება და შავად მოსილი დროშების და პლაკატების განუწყვეტელი რიგები. გვირგვინებით. არის ავსებული აგრეთვე მუშათა სასახლის დიდი დარბაზი, სადაც ასვენია დაღუპულ რევოლიუციონერთა კუბოები.

სასაფლაოსთან

მუშათა სასახლიდან რამოდენიმე ნაბიჯის დაშორებით უკვე გამზადებული საფლავები მოელის ხალხის საყვარელს, უდროვოთ დაკარგულ მოამაგე ბელადებს.

ეროვნული გალერეის წინა კედელი მორთულია წითელი ფერით.

სასაფლაოს ადგილი ამაღლებულია ორი მეტრით.

სასაფლაოზე ასასვლელად გაკეთებულია კიბისებური შესასვლელი.

ხალხი სდგას უმოძრაოდ და ელის გარდაცვლილთა გამოსვენების საბედისწერო წუთს.

დაიქუხებს მუსიკა, გაისმება ინტერნაციონალის მძლავრი ჰანგები და აუარებელი ზღვა ხალხის თვალები მიაჩერდება მუშათა სასახლის ტრაურით და წითელი ფერით შემოსილ კარებს.

გამოსვენება

ორ ამხანაგს გამოაქვს სურათი ამხ. მიასნიკოვის. სურათს უკან მოსდევს მაღალი კუბო. ამ კუბოში განისვენებს ძმობის და ერთა შორის მშვიდობიანობის მქადაგებელი და მედროშე—ამხ. მიასნიკოვი. კუბო უჭირავთ მის თანამებრძოლ განუყრელ ამხანაგებს სერგო ორჯონიკიძეს, მამია ორახელაშვილს, კორკს, კიროვს და ელიავას.

ამხ. ამბარცუმიანს [illegible] სტურუას, მიხ. კახიანს და მუსაბეკოვს გამოაქვთ მეორე კუბო ამხ. ათარბეკოვის; მეორეს მოსდევს მესამე კუბო, სადაც განისვენებს ნეშთი მოგილევსკისა და უკანასკნელად სასახლის, მღვიმესავით შავი დარბაზიდან მაღალ კუბოებით გამოასვენებენ ნეშთს იმ გმირთა, რომელთაც გაიზიარეს ტრაგიკული ბედი თავდადებულ სამი რევოლიუციონერისა.

როგორც აკვანი ისე მოირწევა,—ერთი მეორის მოყოლებით ჩაწკრივებული ხუთი კუბო.

კუბოებს თან მოსდევენ აცრემლებული ჭირისუფლები—მოხუცებული დედები და აქვითინებული ცოლშვილი. გული იკუმშება უსაზღვრო ნაღველით და თვალის უპეებში გუბდება ცრემლი.

სევდისაგან ტანში ჟრუანტელი გივლის და თმა გებურძგლება, როცა უყურებ ამხანაგებს, რომელნიც მძიმე ნაბიჯით მიასვენებენ რევოლიუციის სისხლს და ხორცს—თავის სულთან შეზრდილს უძვირფასეს მეგობარ-ამხანაგებს.

მათ გაფითრებულ ფერ დაკარგულ სახეებზე აღბეჭდილია უმძიმესი განცდა, ტანჯვა და დარდი.

დინჯათ, აკანკალებული ხელებით, კრძალვით და სიყვარულით შეაქვთ კუბოები ამაღლებულ სასაფლაოზე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ეროვნული გალერეის წინ მწვანე თავდახრილ ხეებს ქვეშ ერთი ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივდებიან იმ გმირთა კუბოები, რომელთაც სწამდათ და მოსწონდათ ერთი მეორის გვერდით ერთად ბრძოლა ერთს დიად მიზნისთვის.

კუბოების წინ მიდებულ სურათებიდან გამოიყურებიან მეტყველი სახეები, რომელიც ამ წუთში იზიდავს მრავალი ათასის ადამიანის თვალსა და გულს.

გონებას არ სურს დაიჯეროს, რომ ისინი გაქრენ, აღარ არიან.

მიცვალებულთა ახლოს ადგილს იკავებენ ჭირისუფლები. იქვე დადვრემილი ზის საყვარელი მოხუცი ალამალი-ოღლი, რომლის კეთილშობილი სახე გამოხატავს მთელი ჩვენი რესპუბლიკის მწუხარე გრძნობას.

საფლავზე პირველ საპატიო ყარაულს აყენებს კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალი ამხ. კორკი.

მიცვალებულებთან პირველ საპატიო ყარაულებათ დგებიან ამხ. ამხ სერგო, მამია, კიროვი, შალვა ელიავა და კორკი.

უკანასკნელი გამოსალმება

უკვე გაისმის მუსიკის მწუხარე მოთქმანი და ინტერნაციონალის მძლავრი გუგუნი.

სხვადასხვა ქუჩებიდან რუსთველის პროსპექტისაკენ გამოიმართენ მუშამოსამსახურეთა, კომკავშირელთა და პიონერთა რაზმები.

ყველაზე პირველ მიცვალებულთ გვერდს გაუვლიან ნორჩი პიონერები.

ხელებს აწვდილნი მისასალმებლად, ცოცხალი მეტყველი სახეებით ნელა დახრიან წითელ დროშებს და უხმოდ გამოესალმებიან მათ, რომელთაგან ან ვეღარ გაიგონებენ მოწოდებას: იყავით მზად!

პიონერებს სცვლიან რკინისგზელები, რომელთაც უკანასკნელად მოაქვთ [illegible] თავიანთი გარდაცვლილ ბელადებისათვის ყვავილებიდან მოწნული საბჭოთა ღერბი და მრავალი გვირგვინები.

აქ მუშებს სიტყვით მიმართავს ა|კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი.

— დღეს—ამბობს იგი უკანასკნელ „მშვიდობით“-ს ვეუბნებით ჩვენს ძვირფას ამხანაგებს, არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლებს, რადგან საქმე, რომელსაც მათ შესწირეს თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღეები, არის საერთო საქმე მთელი ქვეყნის მშრომელთა.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელნი დღეს არ ღვრიან სასოწარკვეთილების ცრემლებს, ისინი გლოვობენ მხოლოდ, მაგრამ ეს გლოვა არ არის ჩვეულებრივი.

ეს გრანდიოზული ტრაური იმის მაჩვენებელი არის, რომ ის იდეალები, რომლისათვისაც იბრძოდენ დაღუპული რევოლიუციონერები, ფესვებ გადგმულია ამ აუარებელ მშრომელთა გულში.

გლოვასთან ერთად ჩვენი მშრომელის გული სავსეა სიყვარულის და სიამაყის გრძნობით, იმის გამო, რომ მათ შესძლეს თავის წიაღიდან რევოლიუციისათვის მიეცათ ასეთი თავდადებული გმირები.

სამარადისო ხსენება ჩვენს უბადლო მებრძოლებს,—ათავებს სიტყვას ამხ. ამბარცუმიანი.

„თქვენი სახელი შეინახება წმინდათა წმინდაო.“—სევდიანი კილოთი მღერის ქართველ მომღერალთა გუნდი.

მუშათა რაზმებს სცვლიან მხედართა რაზმები, ამ უკანასკნელს კომკავშირელნი, კომკავშირელთა სტუდენტები, სტუდენტებს მოსამსახურეები, შემდეგ პიონერები, გლეხები და სხვა.

პროცესიის შემადგენელ ნაწილების ცვლასთან ერთად იცვლება აგრეთვე სამარესთან მდგარ საპატიო ყარაულის შემადგენლობაც.

ერთი მეორის შეცვლით ყარაულებად დგებიან პიონერები, მეთამბაქოე ქალები, რკინისგზელები, კომკავშირელნი, გლეხები და წითელარმიელები.

საპატიო ყარაულები გამოჰყავთ მიმავალ პროცესიისგან, დააყენებენ რამოდენიმე წუთს და შემდეგ მათ შესცვლის ახალი ყარაულები მორიგ რაზმიდან.

[illegible] კუბოსთან დრო-გამოშვებით საპატიო ყარაულებად [illegible] გერმანიის საკონსულოს წარმომადგენელნი, რომელნიც რამოდენიმე გვირგვინით ამკობენ მიცვალებულს.

პროცესიის მსვლელობა გრძელდება ნაშუადღევის ორი საათიდან საღამოს 6 ნახ. საათამდე.

დასაფლავება.

უკანასკნელად გამოემშვიდობა ამხანაგებს უკანასკნელი რაზმი მუშებისა და მოახლოვდა საშინელი წუთი დასაფლავების.

გალერეის ახლოს გამოჩნდება შავი ბალდახინი, რომელიც მოდის ავიატორ შპილის ნეშთის წასაღებად.

ჭირისუფალთა სურვილის თანახმად მას სამშობლო ქვეყანაში (გერმანიაში) წაასვენებენ.

უკანასკნელ გამოსათხოვარს სიტყვას ამბობს ამხ. კიროვი.

— გაივლის კიდევ რამოდენიმე წუთი—აღელვებით იწყებს ამხ. კიროვი—და ცივი მიწა თავის წიაღში ჩაიკრავს ჩვენს ძვირფას ამხანაგებს.

თუ ქვეყნად არის ტრაღედია, ყველაზე დიდი ტრაღედია წილად ხვედრიათ ამ ამხანაგებს, რომელნიც ბევრჯერ ბრძოლის დროს პირისპირ მდგარან სიკვდილისა და მარადისობის უფსკრულის წინაშე, ბევრჯერ გადაუტანიათ მრავალი ჭირი და განსაცდელი და მედგრად გამოუტანიათ სამშვიდობოზე დროშა, რომელიც დღეს ლაღად ფრიალებს დედამიწის ერთს მეექვსედზე.

და ამ მრავალ უბედურება-განსაცდელში გამოვლილ ამხანაგთა დასაღუპავად საკმაო შეიქნა სულ პატარა უმნიშვნელო ცოცხალი იმ ქარცეცხლთან შედარებით, რომლიდანაც მათ არა ერთხელ დაუღწევიათ თავი გმირულად. ეს არის უდიდესი ტრაღედია ჩვენი დაღუპულ ამხანაგების.

რამდენი იმედი, სიხარული, გატაცება და ენტუზიაზმი არის მათ თვალებში და ერთს წუთს შემდეგ მათ შთანთქავს ცივი სამარე, მაგრამ მაინც მტკიცეა ჩვენი რწმენა ერთი საქმე, რომელსაც მათ შესწირეს თავი, ცოცხალია და მისი დაღუპვა არ იქნება. ამის თავდებია მრავალი ათასი მოხუცი და ახალგაზრდა, დღეს რომ თავი დახარეს ამ საფლავების წინაშე.

— დეე თუ ვისმეს ეჭვი შეეპაროთ გამარჯვებაში და საბრძოლველი ძალღონე მოგიდუნდეთ, მოდით აქ—ამ წმინდა საფლავებთან და მათგან მიიღეთ რწმენა, ჰნეობა და გატაცება მომავალი ბრძოლებისათვის!

დადგა უკანასკნელი წუთი გამომშვიდობებისა.

ასწიეს პირველი კუბო ამხ. შპილის და მიასვენებენ ბალდახინამდე.

გაისმა ზარბაზნების გრიალი, სალიუტი.

აყვირდენ ქარხნის საყვირები.

საყვირების მოთქმას შეუერთდა მუსიკის მწუხარე ჰანგები და მოთქმა მშრომელთა, მწარე ოხვრა ზღვა ხალხისა.

მთელი ქალაქი თავისი ქარხნებით, სახლებით, ქუჩებით, ხალხით დასტირის, უკანასკნელათ ეთხოვება დაღუპულ გმირებს.

ნ. —ელი.

წერილები უცხოეთიდან

წერილი გერმანიიდან

ებერტი

დამწუხრებულ ოჯახით და უმაღლეს მოხელეებით გარშემორტყმულმა ებერტმა მშვიდათ განუტევა სული. უეჭველია, მოციქულმა პეტრემ „ძველ გერმანულ ღმერთის“ სამოთხეში უკვე წინდაწინ განუმზადა მას საპატიო ადგილი ჰუგო სტინესის მდაბლა, დაახლოვებით ბისმარკის საფეხურთან.

იმას დაიგლოვებს მთელი ქვეყნის დემოკრატია. ეს ძველი მუშა მეუნაგირე, ეს ძველი სოციალ-დემოკრატი, თითქმის, ოც და ათი წლის განმავლობაში მტკიცეთ იდგა იმ გარღვეულ კედელზე, საიდანაც მუშათა კლასში შეიჭრა სხვადასხვა ბურჟუაზიული სიყალბენი. ეს პრეზიდენტი, რომელიც ნამდვილი მემკვიდრე არის ვილჰელმ მეორისა, ბედის რაღაცა უკუღმართობით სწორეთ მაშინ ამთავრებს თავის სიცოცხლის დღეებს, როცა მისი პარტიის პოლიტიკასაც სამარცხვინოთ ეგება ანდერძი და აღწევს თავისი კოტრობის უმაღლეს წერტილს.

ებერტს აღარ ეყოლება მოადგილე. მისგან განსახიერებულ პოლიტიკის ხანა უკვე დასამარდა გერმანიის სოციალიზმისთვის. ყოველი ის „ბედნიერება“, რაც კი მუშათა კლასს შეეძლო მიეღო მისი მიზნების უარყოფიდან, მის ბელადების მუშათა კლასის ღალატიდან, სოციალ-დემოკრატ ბელადების შეთანხმებიდან მის კლასიურ მოწინააღმდეგეებთან, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობიდან—ყველაფერი ეს უკვე ამოწურულია.

პროლეტარიატის პარტიის ამ გვარი ღალატიდან კარზე მომდგარ რევოლიუციის წინაშე ისარგებლა გერმანიის მრეწველობამ და ფინანსისტებმა. რაც მოხდა მოხდა. ეხლა გერმანიის კაპიტალიზმი უკვე საკმაო ძლიერათა გრძნობს თავის თავს და თამამად შეუძლია გვერდი აუხვიოს სოციალისტების თანამშრომლობას. ებერტმა მეტი იცოცხლა რამდენიმე თვით თავის პოლიტიკაზე.

ის სწორეთ ეპოქის შვილი იყო. უბრალო პროლეტარი გადაიქცა ბელადათ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსი და ისიც როგორი სახელმწიფოსი, ან ისტორიის რომელ ხანაში? მაშინ, როდესაც ხელმძღვანელ კლასის უდიდესი და საუკეთესო ადამიანები, მარქსი და ლენინი, სულითა და ხორცით ეკუთვნიან პროლეტარიატს—ამ დროს გადაგვარებული ბურჟუაზია, რომელიც ახერხებს იოლათ წავიღეს სოციალიზმის გათახსირებით, ოქროზე ყიდულობს მუშათა კლასის გამოჩენილ ბელადებს. ებერტის სრულყოფაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მან გაჰყიდა თავისი თავიც და თავისი პარტიაც. ის გახდა გერმანიის პრეზიდენტი, თუმცა ფორმალურად ხელი არ აუღია სოციალიზმზე. სამაგიეროთ მთელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოქმედებით სრულიად უარყოფილია სოციალიზმი. ამასთანავე მოღალატეებს ახასიათებს ან ერთგვარი ბრიანისებური მოკრძალება, ან ცინიზმის მსგავსად მუსოლინისა. სიკვდილამდის ებერტი იყო ერთგული თავის თავისა, ერთგული თავის პარტიისა. ამ მუშა-სოციალისტმა, რომელიც თავისებურად შეიძლება გულწრფელიც იყო თავის რწმენაში, მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მუშათა კლასის ღალატს, თანაც განსაცვიფრებელი მოხერხებით.

ებერტი არჩეულ იქნა რეიხსტაგში 1912 წელს, როცა ბალკანეთში ცეცხლი ინთებოდა. იენის კონგრესმა ის გაჰხადა გერმანიის სოც.-დემოკ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრათ. ის სწორედ იმ დროს გამოჩნდა სახელმწიფო ასპარეზზე, როცა სამხედრო კრედიტების საკითხი სწყდებოდა. ომის დროს მან დაიმსახურა სრული ნდობა იმპერიალისტურ მთავრობისა. 1918 წელში იგი ცხარეთ სტირის დამარცხების გამო, რომელიც მოასწავებდა ჰოჰენცოლერნების დამხობას. ამას წინეთ მაგდებურგში მომხდარ ყრილობაზე იგი ამაყობდა მით, რომ თავის ამხანაგებთან ერთად მან ორი თვით დააგვიანა რევოლიუცია. (ახლა ინგარიშეთ ვილჰელმის ჩამოგდების ორი თვით დაგვიანება რამდენ ათას სიცოცხლეთ დაუჯდა კაცობრიობას!) ის ამაყობდა იმით, რომ არ ეჩქარებოდა ბოლო მოეღო ხალხის ჟლეტა-ხოცვისათვის. და იმპერიის უკანასკნელმა კანცლერმაც—მაქს ბადენმა—მას გადასცა თავისი სახელმწიფო უფლებანი. პირველმა ნაციონალურმა კრებამ კი 1919 წელში ის გაჰხადა რესპუბლიკის პრეზიდენტად. ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალიდან ებერტი ხელმძღვანელობს მუშათა მოძრაობის სისხლისმღვრელ რეპრესიებს, კაპიტალის ეკონომიურ ბრძოლას შრომის წინააღმდეგ, კონტრიბუციის გადახდას და საბოტაჟს, რურის მიერ წინააღმდეგობის გაწევას და რეაქციის ახლად აღდგენას.

როცა 1923 წელს შავ რაზმების შედგენით აღშფოთებული მემარცხენე სოც.-დემოკრატები მოითხოვდენ თავდაცვის მინისტრის გესლერის გადადგომას, ბერლინის უმაღლეს წრეებში აშკარათ იძახდენ: „გესლერი დარჩება. გესლერი ხელშეუხებელია. ებერტი მის ზურგს უკანა სდგასო“. დიაღ, ებერტი შავ რეიხსვერის უკან იდგა.

როცა დამშეულ გერმანიაში, სადაც ყოველდღიურ ამბოხებებს სისხლში ახრჩობენ, აარსებენ სამხედრო დიქტატურას, ებერტი იდგა გენერალ ფონ-სექტას უკანაც.

როცა დოუესის შემდეგ, ფინანსიურ „გაჯანსაღების“ შემდეგ, 7.000 რევოლიუციონერ მუშის დაპატიმრების შემდეგ, რეაქციონერი ბურჟუაზია ფიქრობს, რომ ჩამოჰკრა ზარმა სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ასაღებათ, „სოციალისტი“ ებერტი არის შტრეზემანისა, მარქსისა და ლიუტერის ზურგს უკანაც, როგორც წინეთ იდგა კუნოს ზურგს უკან.

როცა დაიწყო აღმაშფოთებელი სკანდალი, რომელმაც გამოამჟღავნა მთელი სოციალ-დემოკრატიის დამყაყება, მაშინათვე ქვეყანას მოეფინა ცნობა, რომ ბარმატი შინაური კაცი არის პრეზიდენტისა. ებერტი სდგას ბოროტმოქმედთა ზურგს უკან.

ის რესპუბლიკანერი იყო. ის დემოკრატი იყო იმ დროს, როცა დემოკრატია მხოლოდ საფარს წარმოადგენს, რომლის უკანაც გაცხარებით „მოღვაწეობენ“ გენერლებისა, და აფერისტების ჯგუფები.

ამის შემდეგ ოპორტიუნისტულ სოციალიზმს აღარც ერთ ქვეყანაში არ შეუძლიან ისეთი სრული და ყოველმხრივი გამოცდა მიიღოს, როგორც გერმანიაში. ერთ მხრივაც და მეორე მხრივაც, პროლეტარიატშიც და ბურჟუაზიაშიც კლასობრივი შეგნება ძალიან გაიზარდა იმის და მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდენ პირობები. ებერტის ბედის საიდუმლოება აი რაში მდგომარეობს: როცა ის გადაიქცა მუშათა პარტიის ერთ-ერთ ბელადათ გერმანელ იმპერიალისტების ძლიერების ხანაში, ის ყოველთვის უკავშირებდა თავის თავსა და თავის პარტიას ბურჟუაზიულ პარტიებს. ამიტომ მისი პარტიის გაბურჟუებული ნაწილი სამართლიანათ აკავშირებს თავის ბედს იმპერიის ბედთან. სახელმწიფოს კეთილდღეობა დამოკიდებულია კოლონიებისა და ვაჭრობის გაფართოებაზე. ამის შედეგს კი წარმოადგენს მუშათა არისტოკრატიის კეთილდღეობა, იმ არისტოკრატიის, საიდანაც გამოდიან „სოციალიზმის“ უმრავლესი მოღვაწენი.

ებერტი მოკვდა. მასთან ერთად მოკვდა კაიზერის იმპერიალისტურ სახელმწიფოს კეთილდღეობაც. გერმანიის ბურჟუაზია ხელში ჩაიგდეს ამერიკის ფინანსისტებმა და მას აღარ შეუძლიან თავისი კოლონიების შემოსავალი გაუნაწილოს გერმანიის სოც.-დემოკრატიას. გერმანიის ბურჟუაზია გრძნობს ძლიერ მოქიშპეს გავლენას, ამიტომ ის თავის იმედებს ამყარებს ეხლა მხოლოდ მშრომელთა სამუშაო ხელფასზე. [illegible] უფრო მეტი ვიდრე წინათ. სამუშაო კლასებს იგი აყენებს ისეთ პირობებში, რომ სიღარიბიდან არაფრით არ განირჩევა და თანაც ხელს იღებს უბრალო, უმნიშვნელო დემოკრატიულ რეფორმებზეც კი.

თანდათან კვდება კლასთა თანამშრომლობა, რომელზეც ოცნებობდა ებერტი. სოციალ დემოკრატია კიდევ შეეცდება მაინც თანამშრომლოს იმ ბურჟუაზიასთან, რომელსაც უკვე აღარ სჭირდება მისი სამსახური. მას აღარ შეუძლია დიდი იმედები იქონიოს ამ თანამშრომლობის შედეგებზე. ნოსკე აღარ არის საჭირო: როცა საჭირო იქნება, ლიუდენდორფი თვითონაც კარგათ გააკეთებს თავის საქმეს.

სოციალ-დემოკრატია ებერტზე უფრო დღეგრძელი გამოდგა. ის თავის თავზეც დღეგრძელი გამოდგა ე. ი. თავის ისტორიულ სიდიადეზე, თავის სახელზე, გავლენაზე და თუ გნებავთ—თავის კონტრ-რევოლიუციურ მისიაზეც. ის აღარც გაბატონებული პარტიაა და აღარც ოპოზიციური. ის ეხლა აღარაფერს წარმოადგენს გარდა წარსულის სიძლიერისა, ჩამორჩენილ მასების უილაჯობისა და ბურჟუაზიულ გახრწნილობისა მუშათა მასებში.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 7 მარტი.

წერილი ინგლისიდან

დამშეული ირლანდია

(ინგლისის ბურჟუაზიის „საქმიანობიდან“)

ლონდონი. 10 მარტი. პირდაპირ წარმოუდგენელ ხასიათს იღებს შიმშილობა ირლანდიაში. ის უზომოთ მძვინვარებს როგორც ულსტერის, აგრეთვე „თავისუფალ რესპუბლიკის“ მრავალ მხარეში. ირლანდიის მთელი დასავლეთი ნაწილი ჩრდილოეთიდან სამხრეთამდის და ზოგიერთი შინა პროვინციებიც პირდაპირ განადგურებულია შიმშილობით.

იგი მოედო 750.000 სოფლის მუშას, ღარიბ გლეხობას და მეთევზეებს. შარშანდელმა უზომო წვიმებმა და წყალდიდობამ სავსებით მოსპო [illegible] და კარტოფილის მოსავალი, რომელსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ირლანდიისათვის. საქონელიც დიდძალი დაიხოცა.

სათბობ მასალის დიდი ნაკლულევანება. ქვანახშირის უქონლობამ და შეშის ნაკლულევანობამ აიძულა მცხოვრებლები ჭაობის ლერწამი ეხმარათ სათბობათ. მაგრამ ბოლოს ეს უკანასკნელი მასალაც შემოაკლდა ხალხს, რადგან ჭაობებიც წყალდიდობით ამოივსო.

საექსპლოატაციოთ გამოსულმა კაპიტალიზმმა კიდევ ჩაიდინა შემდეგი უდიერობა: ირლანდიის დასავლეთ ნაწილში თევზის ჭერით ლუკმა პურს შოულობდა რამდენიმე ათასი მცხოვრები. ეხლა ეს საშუალება სულ ერთიან მოსპობილია, რადგან იქ დაარსდენ დიდი ტრესტები, რომელთაც მონოპოლიურათ ხელში ჩაიგდეს მთელი თევზის ჭერა და ინდუსტრიალურათ მოაწყეს ეს საქმე.

ეს უბედურობა ყველაზე მძიმეთ აწვება კისერზე სხვადასხვა გადასახადებით დატვირთულ პროლეტარიატს.

ირლანდია სრულიადაც არ არის განთავისუფლებული ინგლისის იმპერიალიზმისაგან. ირლანდიის მუშათა პარტია, რომელიც სისხლი და ხორცია ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებისა, სავსებით ემსახურება ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესებს. ის დიდის გულმოდგინებით ეხმარებოდა „თავისუფალ მთავრობის“ შედგენას, რომელსაც სავსებით უჭერს მხარს.

ეს „თავისუფალი მთავრობა“ კი მხოლოდ იარაღია ინგლისელ კაპიტალისტებისა, რომ ირლანდიის ხალხს სრული ექსპლოატაცია გაუწიონ. საგანგებოთ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თვით ამ „თავისუფალ მთავრობის“ მინისტრები უარჰყოფენ სიმშილის არსებობას.

„მუშათა საერთაშორისო. დახმარება“ იყო პირველი, რომელიც მიეშველა ამ გაჭირვებაში დამშეულ მხარეებს.

ჩვენმა ამხანაგებმა ბობ სტევარტმა და ელენ გრაჰფორდმა, „მუშათა საერთაშორისო დახმარების“ ინგლისის სექციის მდივანმა, სასწრაფოდ მოიარეს გალვეის, სლიგოისა, დონეგალისა და სხვა რაიონები. იქ გამეფებულ გაჭირვების საშინელ სურათებს აღწერენ ისინი.

ჩვენმა ამხანაგებმა მოაწყეს კრებები. და როცა იქ ახსენებდენ რუსეთის სახელს, ამ [illegible] მშრომელი ხალხის სიმპატია ერთბაშათ სცოცხლდება და მისი თვალებიც იწყებენ ცქერას საბჭოთა კავშირისაკენ.

როგორია ნამდვილი მდგომარეობა?

მთელი მოსახლეობა საშინელ [illegible] პირობებში სცხოვრობს აგერ რამდენიმე კვირაა. აღარც პური გააჩნიათ, არც კარტოფილი, არც სათბობი მასალა.

„მუშათა დახმარების“ ინგლისის სექციის მიერ სასწრაფოთ იქნა გამოშვებული მოწოდება—ჰოლანდიისა, გერმანიისა, ამერიკისა, საფრანგეთისა, რუსეთისა და ინგლისის დომინიონების სექციების მიმართ.

ჯიმ ლარკინმა თავის მხრივ გამოუშვა საკუთარი მოწოდება მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მიმართ, რომ იგი თავგამოდებით დაეხმაროს ირლანდიის დამშეულ მოსახლეობას, რომელიც მსხვერპლათ ეწირება ინგლისის იმპერიალიზმს.

ჰოლანდიამ გამოგზავნა ერთი პატარა გემი კარტოფილი, რუსეთმა—[illegible]. საქსონიის მაღაროს მუშებმა გამოგზავნეს 60 გირ. სტერლინგი, როგორც პირველი დახმარება.

დუბლინში მოწყობილ იქნა ირლანდიის „მუშათა დახმარების“ კომიტეტი. ამ კომიტეტში შედიან მუშათა მოძრაობის ყველა წარმომადგენლები და აგრეთვე ირლანდიის რევოლიუციონერი ნაციონალისტები.

„მუშათა დახმარების“ მოღვაწეობის ცენტრს წარმოადგენს დონეგალი. დახმარების მისაღები ნავთსადგური კი არის კილლიბეგი.

დაუყონებლივ საჭიროებას წარმოადგენს გაჭირვებული ხალხისათვის კარტოფილი, ტანისამოსი, ქვა-ნახშირი, შეშა, სათევზაო ბადეები და საქონლის საკვები.

ქ. დავიდ.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმ.-ცნობ.-განყოფილების [illegible]
ეროვნული

დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას

ამხ. მოგილევსკის ხსოვნას

22 მარტს 12 საათზე და 10 წუთზე, რესპუბლიკების კავშირის გლოვის დღეს, ჩვენ დავკარგეთ კიდევ ერთი შესანიშნავი ამხანაგი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ძველ პარტიულ მუშაკის ამხ. მოგილევსკის სახით.

სოლომონ გრიგორის ძე ჩამოვიდა აქ და დაიწყო მუშაობა 1922 წელს. არც ისე დიდი ხანი გასულა, რომ საგანგებო კომისიის ყველა თანამშრომლებმა დაინახეს მასში დადებითი, მიმზიდველ მხარეები და გამოჰყვალენ მისადმი, როგორც კარგ ამხანაგის და უფროს პარტიულ ხელმძღვანელისადმი, პატივისცემით.

პირადათ მე დავუახლოვდი ამხ. მოგილევსკის არა სამსახურში, არამედ შინაურ პირად ცხოვრებაში.

მაგონდება ხანგრძლივი საუბარი სხვადასხვა თემაზე, სრულიად თავისუფალ ამხანაგურ პირობებში.

ასეთ მომენტებში, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო ამხ. მოგილევსკში—ეს იყო მისი სიმარტივე და კეთილი გული. უსათუოდ მართალია ის დებულება, რომ ეს სიმარტივე პირად დამოკიდებულებაში სავსებით შეეფერებოდა მის ცხოვრებას, რომელიც ბევრისათვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს.

მისი მეორე დამახასიათებელი თვისება იყო—სიმხიარულე. მახსოვს ერთად მგზავრობა კავკავში, რომლის დროს, ალბათ, ჩვენს წინ გადაშლილ ბუნების სილამაზის შთაბეჭდილების ქვეშ, მკაფიოთ გამოიხატა მისი სიხალისე-სიმხიარულე.

მართალია, რამოდენიმეთ უფრო თავშეკავებულათ, მაგრამ მაინც ძლიერათ სჩანდა მისი ეს თვისება სახლში, მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

და ამავე დროს ბოლშევიკური სიმტკიცე, ბოლშევიკური მოუდრეკელი სული.

ჩემი უკანასკნელი შეხვედრა მასთან იყო რაღაც შემთხვევითი და მეტად უბრალო თავისი შინაარსით. მე უცქეროდი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების მე-8 პოლკის წითელარმიელ - ფეხბურთელების თამაშს, როდესაც სოლომონ გრიგოლის ძე მოვიდა ჩემთან და დამიწყო გამოკითხვა, თუ რომელი გუნდია ეს, რატომ არ აქვთ მათ სპეციალური ფეხსაცმელები და სხვა.

საუბრის დასასრულს ის შეპირდა მთელს კომანდას ბუცების მიცემას და წავიდა.

ეს იყო ა | წ. 21 მარტს, შემდეგ მე იმას აღარ შევხვედრივარ.

ზედმეტი სიტყვების გარეშე გასაგებია ყველასათვის, რომ ამხ. მოგილევსკის სიკვდილი, ისიც ასეთ პირობებში, მეტად მკაცრი ირონიაა ჩვენთვის, ჩეკისტებისათვის, რომლებიც შევეჩვიეთ კომუნისტური იდეალისათვის ბრძოლის ყოველგვარ საშინელ მომენტებს.

არა აშკარა ბრძოლამ, არა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებამ გადასჭრა ამ ამხანაგების ბედი, რაც კიდევ უფრო მძიმეთ აწვება თვითეული ჩვენთაგანის შეგნებას და მასთან ერთად გვაიძულებს ჩვენ ვიყოთ უფრო სასტიკი და დაუნდობელნი, რაც საშუალებას მოგვცემს განვაგრძოთ ბრძოლა და დავიცვათ სოციალისტური მშენებლობის მშვიდობიანობა. ამ მუშაობას ყოველთვის განვაგრძობთ და ჩვენ თვალწინ იქნება სოლომონ გრიგოლისძის ნათელი სახე, რომელიც მორალურად გვამხნევებდა ჩვენ.

ა. ერშოვი.

ამხ. მოგილევსკის ხსოვნას

ჩვენ გვახსოვს თეთრგვარდიელთა ერთი საზღვარგარეთელი გაზეთი, რომელშიაც ჩვენ შემთხვევით წავიკითხეთ ამხ. მოგილევსკის სახელთან დაკავშირებული ერთი წერილი.

ძნელია იმ შხამიანი ცილისწამების გადმოცემა, რომლითაც იხსენიებდა თეთრგვარდიელი მწერალი ეხლა უკვე დაღუპულ ამხანაგს.

და აი, აღარ არის უკვე სოლომონ გრიგოლის ძე... ჩვენთვის ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ როგორ სიხარულს ეძლევა ამ ჟამად ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუცია.

ამხ. მოგილევსკი საუცხოვოთ ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის მუშაობას, და ჩვენი მტრები კმაყოფილი დარჩებიან იმ ფაქტით, რომ სოლომონ გრიგოლის ძე აღარ არის.

მით უფრო მეტია მწუხარება ჩვენი საგანგებო კომისიის თანამშრომლების, რომლებიც ყოველდღე ხვდებოდით ამხ. მოგილევსკის და რომლებმაც ამიტომ იციან მისი ფასი, როგორც ჩეკისტის და სახელმწიფო მოღვაწის.

ის იყო უეჭველათ სახელმწიფო მოღვაწე, დიდის ერუდიციით და დიდი რევოლიუციონური გამოცდილებით.

მაგრამ ჩვენ გვინდა ეხლა არა ამ წმინდა ოფიციალური მხრიდან მოვიგონოთ თბილი სიტყვით სოლომონ გრიგოლის ძე. მისი ხსოვნა არ ამოიშლება ჩვენი გულიდან, რადგან ის იყო საუცხოვო მეგობარი, ამხანაგი და ადამიანი. სოლომონ გრიგოლის ძე პირდაპირ მომჯადოებელი იყო და ის, ვისაც მასთან ჰქონია საქმე, უნებურათ ღრმა სიმპატიით და პატივისცემით იმსჭვალებოდა მის მიმართ. მასში იყო რაღაც განსაკუთრებული უბრალოება და გულწრფელობა, რომელიც იზიდავდა ყველას. ამხ. მოგილევსკი შორს იდგა იმ ხარისხის „სახელმწიფო მოღვაწეებიდან“, რომლებიც თავისი პოსტის სიმაღლიდან ერთხელაც არ დაეშვებიან უბრალო თანამშრომლების მასამდი, მათ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებამდი. სოლომონ გრიგოლის ძე არა მარტო ხელმძღვანელობას გვიწევდა ჩვენ, არამედ თავისუფალ დროს ჩვენთან ატარებდა.

აი საგანგებო კომისიის თანამშრომლებს თავი მოუყრიათ კლუბში, სადაც გაცხოველებული დისპუტია მარქსიზმის თეორიის საკითხების შესახებ, სოლომონ გრიგოლის ძე ზის კუთხეში და წიგნებით გარშემორტყმული ეძებს არგუმენტებს, რომ გააბათილოს ახალგაზრდა, მაგრამ გატაცებული მოწინააღმდეგის დებულებები. ყველგან: კლუბში, უჯრედში, პარტიულ სკოლაში ამხ. მოგილევსკი გამოდის, როგორც კარგი, უფროსი ამხანაგი და ასეთით დარჩება ის მუდამ ჩვენს მეხსიერებაში.

და ეს საუცხოვო ადამიანი, ძველი რევოლიუციონერი და კონტრ-რევოლიუციის შეურიგებელი მტერი აღარ არის...

ბრმა შემთხვევამ ჩვენი რიგებიდან მოგვტაცა სოლომონ გრიგოლის ძე. ვიცით, რომ კონტრ-რევოლიუცია გახარებულია, და მით უფრო ვწუხვართ ჩვენ, მაგრამ ფიცსა ვსდებთ, რომ მომავალშიაც მტკიცეთ ვიდგომებით ჩვენს სადარაჯოზე და ვივლით იმ სახელოვანი გზით, რომლითაც მიდიოდი შენ, ძვირფასო ამხანაგო.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლები: შტეპა, პოდოლსკი.

სახალხო კავშირი მგლოვიარეა

თავის დიდი წინამძღოლის, კავშირის უშუალო ხელმძღვანელის ამხ. ათარბეკოვის ტრაგიკული სიკვდილი და ამხ. მიასნიკოვისა და მოგილევსკის დაღუპვის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ტელეგრაფის მავთულებს, იმ მავთულებს, რომელთა აღდგენაში ერთი მთავარი როლი ითამაშა ამხ. გიორგიმ.

დაეთუთქა გული ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთ, აღარა გვყავს წინამძღოლი, რომელიც ასე ახლო უდგა ყველა მშრომელის გაჭირვებას, რომელიც ასე სათუთად ცოცხალი ყურადღებით ეკიდებოდა კავშირის ყველა მუშაკს.

მისი დაკარგვა მძიმე ლოდით დააწვა გულზე სახალხო კავშირის მშრომელთ, მაგრამ ამ ენით გამოუთქმელმა მწუხარებამ აგრძნობინა კავშირის ყველა მშრომელთ, რომ მისი მოვალეობა კავშირის ამ სახელმწიფო უდიდესი ძარღვის, გამაგრების წინაშე ერთი ათად უფრო გაიზარდა. კავშირი—ეს კულტურული ძარღვია სოფლის და ქალაქის შეერთებისა-დაახლოვებისა. დიახ, ძნელია ამ ამოცანის შესრულება, მას დიდი ენერგია შესწირა ამხ. ათარბეკოვმა და ამხ ათარბეკოვის დაკარგვა გვავალებს მის მიერ დაწყებულ საქმის ბოლომდე მიყვანას.

კავშირის მუშაკნო, გლოვაში, მწუხარებაში მჭიდროთ გავაერთიანოთ ჩვენი რიგები, მოვიყაროთ თავი დაუვიწყარ ამხ. ათარბეკოვის ნეშტის წინაშე და მივცეთ კოლექტიური ფიცი, რომ იმ საქმეს, რომელსაც უძღოდა ამხ. ათარბეკოვი, მივიყვანთ ბოლომდის.

გ. ოსეპჩუკი.

სომხეთის კომპარტიის მოწოდება

ერევანი. 23 მარტი. სომხეთის კომპარტიის ცეკამ და ერევანის კომიტეტმა გამოუშვეს შემდეგი მოწოდება სომხეთის მუშებისა და გლეხებისადმი:

„ჩაგრულ ხალხთა და გაყვლეფილ მუშების უკეთესი მერმისისათვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა ჩვენი პარტიის 3 ხელმძღვანელი—მიასნიკოვი, მოგილევსკი და ათარბეკოვი. ისინი იყვნენ ძველი რევოლიუციონერები—ბოლშევიკები, რომლებიც ებრძოდენ მემამულეების და ბურჟუაზიის [illegible]; სამივე მიჰყვებოდა ლენინის გზას, ანხორციელებდენ ლენინის ანდერძს, იყვნენ მისი მოწაფეები, კომუნისტური [illegible] აღმშენებლები. მუშების და გლეხების ახალი ცხოვრების შემქმნელები.

ხარხარებენ მუშების და გლეხების უბოროტესი მტრები—მცირდებიან კომპარტიის რკინისებურ ხელმძღვანელთა რიგები, აღარა გვყავს მოგილევსკი, ათარბეკოვი და მიასნიკოვი.

მოკვდა მოგილევსკი—ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც საფლავს უთხრიდა, თავზარს სცემდა მუშების და გლეხების მტრებს, რომელიც ამჟღავნებდა ამ მტრების და კონტრ-რევოლიუციონერ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბნელ საქმეებს.

აღარ გვყავს ათარბეკოვი, რომელიც ეჯავრებოდათ მეფის მემამულეებს, გენერლებს, ბურჟუაზიას და მის ლაქიებს. რევოლიუციის მტრები წყევლა-კრულვით იგონებენ ათარბეკოვს, წყევლა-კრულვით იგონებენ ათარბეკოვს ჩრდილოეთ-კავკასიის, ასტრახანის, აზერბეიჯანის და სომხეთის ხალხის სისხლის მსმელი კონტრ-რევოლიუციონერები— რადგა ის იყო მუშების და გლეხების ერთგული და უანგარო დამცველი. მუშები, გლეხები და მშრომელი ხალხის მეგობრები დიდი სიყვარულით იგონებენ მის სახელს, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე სახელია. რევოლიუციის უაღრესად საშინელ წუთებში ის ეწეოდა მძიმე საპასუხისმგებლო მუშაობას ბრძოლის უაღრესად საშიშარ პოზიციებზე, როგორც უშიშარო ჯარისკაცი. ჩვენი ახალგაზრდობა და წითელი არმია თავიანთ გულში სამარადისოდ შეინახავენ ამ სახელს, რევოლიუციის წითელ სახელს.

ჩვენთან აღარ არის ალიოშა, ალექსანდრე თედორეს ძე, აღარ არის ამხ. მიასნიკოვი. მას ყველა იცნობს. ეს ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ძველი წევრია. მას იცნობენ არა მარტო სომხეთში, ამიერ-კავკასიაში და დიდ კავშირში, მას იცნობენ უცხოეთშიაც. ის მებრძოლი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, წითელი არმიის ხელმძღვანელი აღმოსავლეთის ფრონტზე ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და წითელი არმიის შემქნელი სომხეთში და ამიერ-კავკასიაში. მიასნიკოვი იყო დიდი სახელმწიფო კაცი და დიდი პარტიული მუშაკი. ის იყო ერთი იმ პირველთაგანი, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს საბჭოთა აღმშენებლობას ბელორუსიაში და სომხეთში. ყოველგან, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, მწერალი, ძველი გამოცდილი მარქსისტი და გაბედული გულცივი მეომარი, ის იყო მუშების და გლეხების მეგობარი, მათი მასწავლებელი და ლენინის გვარდიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი.

მაგრამ არსად ეს დანაკლისი იმზომ საგრძნობი არ იქნება, როგორც სომხეთის მუშების და გლეხების გულში.

ვის არ ახსოვს დაშნაკელებისაგან მემკვიდრეობათ დატოვებული სომხეთი 1921 წელს.

მიასნიკოვის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დაიწყო სომხეთის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღორძინება.

ვის არ ახსოვს შეტაკებები მენშევიკებს, დაშნაკელებსა და მუსავატელებს შორის. მიასნიკოვი იყო პარტიის ერთ-ერთი იმ ხელმძღვანელთაგანი, რომლებმაც ბოლო მოუღეს შუღლს ერთა შორის და საძირკველი ჩაუყარეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს—ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

ამხანაგებო! აღარ გვყავს მიასნიკოვი, ათარბეკოვი და მოგილევსკი, მაგრამ დაგვრჩა მათი საქმე, რომელიც ცოცხლობს და იზრდება, გვყავს მათი პარტია, რომელიც ფართოვდება და მტკიცდება, გვყავს მუშები და გლეხები, რომლებიც აღრმავებენ რევოლიუციონურ დიად საქმეს და აგებენ კომუნიზმის დიდ შენობას.

შემოვკრბეთ კომპარტიის გარშემო, გავსწიოთ იმ გზით, რომელიც დაუსახა პროლეტარიატს ლენინის კომპარტიამ. მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის ახალ საფლავების წინაშე ფიცი დავსდოთ, რომ მუდამ მაღლა გვეჭირება კომპარტიის წითელი დროშა.

საუკუნო ხსოვნა მათ“.

ხუთნი!

— „ხუთნივე ცეცხლმა იმსხვერპლა,
ბენზინით გამოწვეულმა“!..
ვაი, ეს ამ ბრმა შემთხვევამ
რა მოგვიხერხა, წყეულმა!

ხუთი!.. ეს მთელი ხელია,
მისი მომქმედი თითები!
განა, კვლავაც ბევრი გვსმენია
ასეთი მაგალითები?!.

თავზარ-დამცემი სურათი!
დაღუპვა გაუგონარი!
ვერც სიტყვა შესძლებს ასახვას,
ვერც კინო-ფილმის ზონარი...

ულონოთ სდგანან ფერები
და მხატვარს გული ელევა,
რომ საღებავებს მის ხელში
თვით ეს სიცხადე ერევა!

სიცხადე: ხუთი ვაჟკაცი,
ყველა საღი და რჩეული,
ხუთი წუთის წინ ცოცხლები,
აწ ნაცარ-ტუტად ქცეული...

აგერ, აქ—მიასნიკოვი,
იქით—პილოტი-შპილია,
ეს ხალარაძის გვამი ძევს,
აგერ რომ ვხედავთ სილიანს!

ეს ორი?—ათარბეკოვი,
და მოგილევსკი—მეორე.
ვინ შეესწარით ამ ამბავს?
შენ?! აბა, გაიმეორე!..

და იწყებს ამბავს პატარა,
საქმეში დიდიც ერევა,
სწრაფად განაგრძობს მეორე,
პირველს რომ სიტყვა ელევა...

ხორცთა უფორმო ნაფლეთებს
იქვე კვლავ ცეცხლი ჰბუგავდა.
ხუთი უსულო სხეული
გალეულ მორგვებს თუ ჰგავდა:

არც—თვალი, არც—სახე-ბაგე,
ადრე სიცოცხლის ნიშანი!
ამხანაგები იყვნენ და...
ვერც ერთი ვეღარ ვიცანი!

კაცს სტეხდა, ტაცს მოჟონავდა
ცრემლი, ეს გულის მისანი,
ქვებიც კი ცოდვით იწოდენ,
იხოშებოდენ ქვიშანი!

ნ. ზომლეთელი.

ხუთთა ხსოვნისთვის

ჰაეროვანნი თვით ჰაერმა
გულში ჩაიკრა,
რომ ყველა მხარეს მიმოჰფანტოს
ფერფლი აზიზი.
ხუთი სიცოცხლე წმინდა საქმის
გზაზე დაიწვა
და გადაევლო ელთა ტალღას
აზრი ფაქიზი.
აზრი, რომელიც თან მისდევდათ
საკაცობრიო
ძმობა-ერთობის მღაღადებელთ
უშიშარ გმირებს
ბედმა მუხთალმა, მოღალატემ,
მარადის კრულმა
ჩაგრულთ მფარველნი მოგვაშორა
შრომისა შვილებს.
თუმცა დიდია მწუხარება
მოზღვავებული,
მაგრამ მშრომელი ცრემლებით არ
გამოიტირებს.
ის უცრემლოა უძლეველი,
გაკაჟებული,
მისი წიაღი ათასობით
წარმოშობს გმირებს

მუშა შაქრო ნავთლუღელი
1925 წ. 23 მარტი.

სამძიმრის დეპეშები

22 მარტს ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების გამო მიღებულია სამძიმრის დეპეშები შემდეგი ორგანიზაციებიდან:

ონის პარტკომი და აღმასკომი, ლეჩხუმის მაზრის პარტორგანიზაცია, რემედასის საქართველოს ცეკას პრეზიდიუმი, დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები, მცხეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები, ცხენოსანთა ლეგიონის კოლექტივი, სუფსის რაიკომი, სენაკის მუშათა და გლეხთა საბჭოს პრეზიდიუმი, ოზურგეთის მთლიანი კოოპერატივი და ადგილკომი, სომხეთის ცაკი, შორაპნის სამაზრო პროფბიურო, საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სომხეთის საგანგებო კომისია, ქუთაისის სამაზრო პარტორგანიზაცია, აზერბეიჯანის კომპარტიის საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაცია ყაზახის შეერთებული ორგანიზაციები, საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა, ბაქოს გაზ. „კომუნისტი“, ამიერკავკასიის სათვისტომოს გამგეობა, ერევნის საბაჟოს მოსამსახურენი, საბჭოთა კავშირის ცაკი, ქალაქ ერივანის და მისი მაზრის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აზერბეიჯანის ლენინური კომკავშირი, ქუთაისის სამაზრო აღმასკომი—, სიღნაღის სამაზრო კომიტეტი, ახალბაიაზეთის სამაზრო კომიტეტი და აღმასკომი, სომხეთის ტრანსპორტზე მომუშავეთა მეოთხე ყრილობა, დილიჯანის სამაზრო კომიტეტი, აღმასკომი და პროფბიურო, სომხეთის კომუნალური ბანკის კომუჯრედი, ბაქოს სომხეთის დამხმარე კომიტეტი, ზანგეზურის საგუბერნიო პარტკომი, რ. კ. პ. ა | კ. საოლქო კომიტეტის, კომკავშირის და ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის საგანგებო კომისია, გროზნის მუშფაკი, მოსკოვში არსებული ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები, სომხეთის კომუნალური ბანკის მოსამსახურენი, ბაიაზეთის პარტორგანიზაცია და პროფკავშირი, აბდალარის პროფკავშირი, ერევნის სამაზრო აღმასკომი, მთიან კარაბახის პოლიტბიურო, ქუთაისის სამაზრო აღმასკომი, ნახიჩევანის პარტორგანიზაცია, ოზურგეთის საბჭოს პრეზიდიუმი, აზერბეიჯანის ლენინური კომკავშირი, ერევნის ლენინური კომკავშირი, ერევნის საბაჟო, ერევნის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს პრეზიდიუმი, ლენინგრადის ამ. | კავკ. სათვისტომო, ტაგანროგის ორგანიზაცია, ლენინაკანის კოოპერატივის კომუჯრედი, თბილისის სომხური დრამა, ქიათურის პარტკომი და აღმასკომი, სომხეთის დამხმარე ფერგანის საოლქო კომიტეტი, ამიერკავკასიის კოოპერაციის დელეგაცია და ცენტროკავშირი, ვლადიმირსკის ქალაქის საბჭოს პლენუმი, ცვილის აღმასკომი, ხოტიმსკის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, იასლავლის პროფკავშირი, სტავროპოლის პროფკავშირები, მაშტაგენის რაიაღმასკომი, გარე-კახეთის პარტკომი და აღმასკომი, შულავერის საბჭოს პრეზიდიუმი, ერევნის საბჭოს პრეზიდიუმი, ველის-ციხის საბჭოთა მუშაკების ადგილკომი, მუღანლოს ელექტრო-სადგურის მუშაკნი, ნახიჩევანის რესპუბლიკის ცაკი, სახკომისართა საბჭო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, სართიჭალის რაიპარტკომი, ლენქორანის სამაზრო კომიტეტი, ალავერდის ქარხნის მუშათა ორგანიზაცია, კუბის პარტორგანიზაცია, სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი, მოსკოვიდან—რეინგოლდი, ერევნიდან—კოსტანიანი და ქეთივიანი, ტაგანროგიდან—სერებროვსკი, მიხეილ ვარსიმაშვილი, ცაგერიდან—შამშე ლეჟავა და სხვ.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ბრძანება

№ 80

1925 წ. 24 მარტი. ქალ. თბილისი

22 მარტს, დღის 12 საათზე და 10 წუთზე, სამსახურის გამო აფხაზეთის რესპუბლიკაში გაფრენის დროს, დაიღუპა ჰაეროპლანის ჩამოვარდნის მიზეზით დიდუბის აეროდრომის მახლობლად, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე და ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშინაო და სანაპირო ჯარების სარდალი ამხ. სოლომონ გრიგორის ძე მოგილევსკი.

ამხ. ს. გ. მოგილევსკისთან ერთად დაიღუპენ იმავე ჰაეროპლანით გაფრენილი საბჭოთა კავშირის და კავკასიის წითელდროშოვან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ ალექსანდრე თედორეს-ძე მიასნიკოვი და ამიერ-კავკასიის ფედერაციის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე, წინად საგანგებო კომისიის ერთი პირველი ხელმძღვანელთაგანი, ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე ათარბეკოვი.

სამ ძველ ბოლშევიკის, საბჭოთა აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების სამი ხელმძღვანელის, მუშათა და გლეხთა ბატონობისათვის სამი მებრძოლის მოულოდნელ—ტრაგიკულ დაღუპვას უდიდესი და ულრმესი მწუხარებით შეხვდენ მშრომელი მასები და კომუნისტური პარტია.

არა ნაკლები მწუხარებით შეხვდებიან ამიერ-კავკასიის საშინაო და სანაპირო ჯარები ცნობას მათი სარდლის ს. გ. მოგილევსკის მოულოდნელ გარდაცვალების შესახებ.

საგანგებო კომისიის ნაწილების ძველმა და ახალგაზრდა კომანდირებმა, რომელთაც ამ ნაწილებში სამსახურის დროს შეიგნეს ლენინიზმის და ოქტომბრის რევოლიუციის იდეები, დაჰკარგეს ამხ. მოგილევსკის სახით იშვიათი ხელმძღვანელი თავისი პოლიტიკური მომზადებით და რევოლიუციონური აღტკინებით.

ეს მომზადება და ეს სიმტკიცე მისცა მას ბოლშევიკურმა პარტიამ, რომლის რიგებში 20 წელზე მეტი სწავლობდა ის და შეისწავლა ბრძოლა მუშათა და გლეხთა კლასის გამარჯვებისათვის.

თავის რევოლიუციონურ, ბოლშევიკურ ცოდნას ამხ. მოგილევსკი იძენდა 20 წლის განმავლობაში ეკატერინოსლავის, ბრიანსკის, დებალცევის, ლენინგრადის მუშათა წრეებში, მეფის ციხეში, საზღვარ-გარეთ განდევნის დროს, ლენინთან და პარტიის სხვა ლიდერებთან ურთაერთობით, პარტიის არალეგალურ კომიტეტებში, მრავალრიცხოვან მასებს შორის ფრონტზე იმპერიალისტურ ომის დროს, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, საგანგებო კომისიის ორგანოებში.

ამ სწავლის შემდეგ თავის გარდაცვალების ჟამს, ამხ. მოგილევსკი იყო დასრულებული, მტკიცე ლენინელი, გამოცდილი პოლიტიკოსი, დახელოვნებული „ჩეკისტი“, რომელსაც შეეძლო მტერზე თავდასხმის გაზომვა და გაბედულად შეტევა მის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიას და მის საშინაო და სანაპირო ჯარებს, რომელთაც ამხ. მოგილევსკი მეთაურობდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის მუშურ-გლეხურ მთავრობის სურვილით, ჰყავდათ მისი სახით სწორეთ შესაფერისი სარდალი.

არა ნაკლები ღირსებები ჰქონდა ამხ. მოგილევსკის, როგორც კომუნისტს, თავის კლასის მიმართ და როგორც ამხანაგს თავის თანამებრძოლ ამხანაგებისადმი.

მასისათვის ყურის დაგდება მუშაობაში და ცხოვრებაში, გულწრფელი და უმაღლო დემოკრატიზმი, გულკეთილობა, ყოველ მშრომელისათვის დახმარების გაწევის სურვილი, ზრუნვა ამხანაგებზე, მათ საჭიროებათა და სულისკვეთებათა გაგება—ასეთია მისი თვისებები. ამ თვისებებით ის ემსახურებოდა როგორც მშრომელთა კლასს და ჯარებს, ისე ამ კლასის ნაწილს. ის იყო ამ ჯარებისათვის არა მარტო უფროსი, არამედ მზრუნველიც.

სანაპირო სადარაჯოების წითელარმიელები, აფხაზეთის ნაპირებზე, აჭარისტანის მწვერვალებზე, სომხეთისა და ნახიჩევანის დაბლობზე, აზერბეიჯანის ველებსა და მთებში არ ყოფილან მარტონი, თავს გრძობდენ დამშვიდებულათ.

მათი უფროსი სულით და გულით მათთან იყო, იზიარებდა მათ გაჭირვებას და დაუღალავი ენერგიით სცდილობდა დაეკმაყოფილებია მათი მოთხოვნილება და ალტაცებაში მოდიოდა, როდესაც ის ამას ახერხებდა.

ამხ. ს. გ. მოგილევსკი არა მარტო ზრუნავდა ამ ნაწილებზე, არამედ ღრმად იყო დარწმუნებული მათ ახალგაზრდა ძალებში. სწორედ ამიტომ ის მუდამ სცდილობდა დაეწინაურებია წითელარმიელთა მასიდან ყველა ცოტად-თუ ბევრად აქტიური და ნიჭიერი ელემენტი. და ამიტომ ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ჯარების აღზრდას და გაწვრთნას. ეს ყველაზე უკეთესათ გამოიხატებოდა მის დამოკიდებულებაში ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების საოლქო სანაპირო სკოლისადმი, რომელმაც ჩარიცხა ის თავის საპატიო კურსანტად.

ის ზედმიწევნით იხილავდა სკოლის პროგრამას, მასში სწავლის მეთოდებს და, განსაკუთრებით, საკითხს მისი ეროვნული შემადგენლობის შესახებ.

ამხ. მოგილევსკი არა მარტო ანხორციელებდა წმინდა ლენინურ პოლიტიკას ეროვნულ საკითხში, არამედ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში უნერგავდა მას თვითეულ კურსანტს, თვითეულ წითელარმიელს, თვითეულ კომანდირს.

რამდენიმე ხნის წინად თავის დაღუპვამდე მან მიიღო მთელი რიგი ზომებისა ნაწილების და, პირველ ყოვლისა, სკოლის ეროვნულ შემადგენლობის გაადიდებლად.

ამავე დროს ჯარის ნაწილების წინაშე ამხ. მოგილევსკის არასოდეს არ დაუჭერია თავი, როგორც კომანდირს. ალლუმები, ცერემონია და სხვა დაძველებული სამხედრო ფორმალობა უცხო და არასასიამოვნო იყო მისთვის, რომელიც თავს სთვლიდა მუშურ-გლეხურ კლასის უბრალო მსახურად. ის მიდიოდა ნაწილებთან, როგორც უფროსი ამხანაგი, უბრალოდ და თავაზიანად, ყოველთვის თითქმის ნახევრად ოფიციალურად.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის საოლქო სკოლას და მე-8 პოლკს კარგად ახსოვთ ეს.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის საშინაო და სანაპირო ჯარებმა კარგად უნდა იცოდენ მოგილევსკის ეს თვისება, რათა მით უფრო მწვავედ, საკავშირო რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად, შეიგნონ ამ დანაკლისის მთელი აზრი და სიმძიმე.

მათი სახელოვანი უფროსის სიკვდილმა უნდა აიძულოს თვითეული წითელარმიელი და კომანდირი, კურსანტი და მეზღვაური, სანაპირო ჯარის კაცი გაიმსჭვალონ ულრმესი პატივისცემით ს. გ. მოგილევსკის ცხოვრებისადმი და მხად იყონ მოიხადონ თავიანთი რევოლიუციონური მოვალეობა საქმით, შემდეგ ბრძოლაში, სწავლაში და გაჰყვენ მას ყოველთვის და ყველგან.

თვითეულმა მათგანმა და ყველამ ერთად უნდა შეამჭიდროონ რიგები და მთელი თავისი გულისყური მიმართონ იმ პარტიისაკენ, რომელმაც თავის ძალების დაუშრეტელ წყაროში აღზარდა და წამოაყენა და კვლავაც აღზრდის და წამოაყენებს ისეთ კომანდირებს, როგორიც იყო ს. გ. მოგილევსკი.

საუკუნო ხსოვნა, გამოსათხოვარი სალიუტი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ს. გ. მოგილევსკის.

ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა დივიზიონებში, საოლქო სკოლაში, სანაპირო რაზმების სამმართველოებში კომენდატურებში, კასპიის და შავი ზღვის სანაპირო ფლოტილიის ყველა სადარაჯოებზე და გემებზე.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—
კვანტალიანი.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის სანაპირო რაზმის უფროსი და ჯარების უფროსი ინსპექტორი—
ისაკოვი.

მუშა-მოსამსახურეთა სამგლოვიარო კრებები

„მწყემსი“-სა და „ქართლი“-ს მუშა-მოსამსახურეთა კრება

მარტის 23 შესდგა საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „მწყემსი“-ს და „ქართლის“ მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო ყრილობა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. გრ. ლასკარი, მდივანი გრ. პოჭუა.

ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მოსე ცინცაძემ, რის შემდეგ კრების მიერ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა „მწყემსი“-ს და „ქართლის“ მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა ამხ. მოსე ცინცაძის მოხსენება იმ უბედური შემთხვევის ირგვლივ, რომელიც თავს დაატყდა საერთაშორისო მუშათა კლასს და განსაკუთრებით კი ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსებს ამხ. მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის ტრაგიკულად დაღუპვით, კრება გამოსთქვამს ულრმეს მწუხარებას და იმედოვნებს, რომ ბრძოლის რიგიდან ისეთი თავდადებული ამხანაგების გამოკლება, როგორიც იყვნენ ამხ. მიასნიკოვი, ათარბეკოვი და მოგილევსკი ჩვენი საერთო საქმის მსვლელობას არ შეაჩერებს და კომუნისტური პარტია შეამჭიდროებს თავის რიგებს კომუნიზმის და ლენინიზმის დროშის ქვეშ და შემჭიდროებული განმტკიცებული რიგებით გასწევს წინ მუშათა კლასის დახმარებით და კომუნისტური პარტიის უშუალო იდეური ხელმძღვანელობით სოციალიზმის და კომუნიზმის იდეების განსახორციელებლად.

ა | წ. 1 აპრილს საქ. კომპარტიის ცეკას შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 22) შესდგება

საქ. კომპარტიის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის

გაფართოებული პლენუმი.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ც. კ. სამდივნოს ბიუროს გამგე ბერძენიშვილი

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა მესამე ყრილობა

დანიშნულია 1925 წ. აპრილის 10-ს

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2. 1925—1926 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
3. წითელი არმიის შესახებ.
4. ა. ფ. ს. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ
5. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.
6. საბჭოთა საერთო-საკავშირო ყრილობის დელეგატების არჩევა.
7. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. შავერდოვი.

1925 წ. მარტის 14
თბილისი—სასახლე

1925 წლის 5 აპრილს შესდგება

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მესამე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ს. ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. მიწათმოქმედების სახკომისარიატის მოხსენება.
3. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
4. მოხსენება ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ.
5. მოხსენება საბჭოთა ქვედა აპარატების შესახებ.
6. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება
7. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

საქ. ცაკის მდივანი სილ. თოდრია

დღეს, 26 მარტს, საღამოს 7 ს. შესდგება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ცაკის მდივანი ს. თოდრია

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ურალის მშრომელები არიან საბჭოთა ბურჯები

სვერდლოვსკი, 24 მარტი. ურალის ოლქის საბჭოთა ყრილობამ, ამხ. ლეჟავას მოხსენების შემდეგ მთავრობის მოქმედების შესახებ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ყრილობა სიამოვნებით ესალმება მთავრობის დადგენილებას—ურალის გლეხობიდან სათესლე ვალზე სარგებლის მოხსნას და ურალზე ორი მილიონი მანეთის კრედიტის მიცემას მუშათა ბინების მოწყობისათვის.

ყრილობა სთხოვს ამხ. ლეჟავას—გადასცეს მთავრობას, რომ ურალის მუშები და გლეხები შემდეგშიაც ყოველთვის საიმედო ბურჯათ იქნებიან საბჭოთა ხელისუფლებისა და ერთგულათ დაიცავენ საბჭოთა კავშირის ღირსებასა და ხელშეუხებლობას.

უკრაინა

დონის ბასსეინის სამთო-მადნო მუშების ყრილობა

არტემოვსკი, 24 მარტი. გაიხსნა დონის ბასსეინის მუშათა საგუბერნიო ყრილობა, სადაც მონაწილეობას იღებს 300 დელეგატი. კავშირის საგუბერნიო განყოფილების საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ კავშირი აერთიანებს 101.500 მუშას. მუშები დაკმაყოფილებული ვერ არიან ბინებით. მუშავდება გეგმა მსუბუქ სახლების ასაშენებლათ, როგორც ამერიკაში. მომავალი წლისთვის დიდი იმედებია, რომ ძალიან გაუმჯობესდება მუშათა ცხოვრების პირობები.

შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში დიდი მუშაობაა შესრულებული. მაგალითად გამჭედავებმა უკვე მიაღწიეს ომამდის არსებულ ნორმას, სხვა მუშები კი ასრულებენ 70 პროცენტს ომის წინანდელ ნორმისას.

ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს პლენუმი

მოსკოვი. 25 მარტი. შესდგა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონიუნქტურო საბჭოს პლენუმი.

მოსმენილ იქნა კისელევის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა სახალხო მეურნეობის მდგომარეობას თებერვალში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგაზაფხულო ნათესებისათვის სესხად 16 მილ. ფუთი თესლის გაცემა, რაც გათვალისწინებული იყო გეგმაში,—შესრულებულ იქნა 15 მარტს. საზამთრო ნათესების ხელახლად დასათესად 15 მარტამდე დაგზავნილია 3,335,000 ფუთი—გეგმის 95 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობა ძალიან ეტანება თესვის გაუმჯობესებულ ფორმას.

შემდეგ მომხსენებელი მიუთითებს წარმოების გაფართოებაზე. საერთო პროდუქციამ მიაღწია სარეკორდო ციფრს 193 მილ. მანეთს ომის წინანდელი ფასებით. საერთო საკავშირო საბითუმო ინდექსმა თებერვალში მოგვცა მომატება 3 პროცენტით, საწვრიმალო ინდექსმა 1,25 პროცენტით. ფულის მასა გაიზარდა თითქმის 20 მილიონი მანეთით იანვართან შედარებით და 1 მარტისათვის აღწევს 730 მილ. მანეთს.

მომხსენებლის საერთო დასკვნები ასეთია:

მოსავლიან და მომხმარებელ რაიონების მეტ ნაწილში გლეხობა კვლავ სწუხს საზამთრო ნათესების მდგომარეობაზე, თუმცაღა თებერვალში ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

მრეწველობაში ადგილი აქვს როგორც საერთო პროდუქციის, ისე საშუალო დღიური ნამუშევარის მომატებას შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად.

კერძო ვაჭრობაში კვლავ ემჩნევა დასუსტების ნიშნები.

ფულის მასა, რომელიც გაფართოვდა თებერვალში, მაინც ჩამორჩება დეკემბრის დონეს, მანეთის სყიდვითი ძალამ უცხოეთის ვალიუტასთან შედარებით შეინარჩუნა თავისი სიმტკიცე.

მუშების სიცოცხლის დაზღვევა

სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი. 25 მარტი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, მოისმინა რა ცნობა იმ მეთოდების შესახებ, რომლებსაც მიმართავს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო მუშების სიცოცხლის დაზღვევის დროს, დაადგინა სრულიად მიუღებლათ სცნოს მუშების და მოსამსახურეების სიცოცხლის დაზღვევა წარმოებებში ჯგუფური კოლექტიური წესით შრომის ხელფასის ნაწილის დაკავებით დაზღვევის გადასახადის შესატანათ; ამ უკანასკნელს მუშა-მოსამსახურეებს შრომის ხელფასიდან ურიცხავს ქარხნის მმართველობა. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა არავითარი ვალდებულებები არ უნდა იკისრონ მუშების და მოსამსახურეების სიცოცხლის დაზღვევის ჩასატარებლად. სიცოცხლის დაზღვევა ცალკე მუშა-მოსამსახურეების მიერ მათ კერძო საქმეთ არის მიჩნეული და, ამიტომ, დაზღვევის გადასახადების შეგროვება და დაზღვეულთა შორის უნდა ხდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ ინდივიდუალურათ და ნებაყოფლობით ჩვეულებრივი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი“ მიიღება ხელის მოწერა აპრილისათვის

საბჭოთა სამაზრო ყრილობები

სენაკის მაზრის მე-3 საბჭოთა ყრილობა

პირველი სხდომა

18 მარტს, პარიზის კომუნის დღეს, საღამოს 7 საათზე, საბჭოთა თეატრში ამხ. ფ. მახარაძისა და მ. კახიანის თანდასწრებით სენაკის სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ნოდიამ გახსნა სენაკის საბჭოთა მე-3 მოწვევის ყრილობა.

ყრილობის გახსნის დროს დაესწრო 139 დელეგატი 153 დელეგატიდან.

თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით. უადგილობის გამო გარედ კიდევ ბევრია დარჩენილი.

ყრილობა ირჩევს 11 კაცის შემადგენლობით პრეზიდიუმსა და სამი კაცისაგან სამდივნოსა და სამანდატო კომისიას.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ ამორჩეულ იქნენ: მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე, კახიანი. ყრილობის დღის წესრიგი: მოხსენება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე—ამხ. ფ. მახარაძის, სამაზრო ალმასკომის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ—ამხ. კ. მელიქაძესი, მოხსენება ტერდივიზიის შესახებ—მარკაროვისა, არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

მოხსენებას აკეთებს ამხ. **ფ. მახარაძე**, რომლის გამოჩენას ტაშის გრიალით და ოვაციით ხდება მთელი დარბაზი.

ამხ. მახარაძე ვრცლად ჩერდება ჩვენს შინაურ მდგომარეობაზე, ეხება დღიურ საკითხებს, როგორიც არის ეკლესიის, სამეურნეო გადასახადის, აბრეშუმის და სხვ.

ის გარკვევით ამბობს, რომ მთავრობა სრულიად არ ზღუდავს რწმენის თავისუფლებას, რომ საშუალებას აძლევს თუნდ სულ უმნიშვნელო ნაწილს მცხოვრებლებისას იქონიონ ეკლესია და ილოცონ, არავითარ ძალდატანებას აქ ადგილი არ ექნება და არ უნდა ექნეს.

სამეურნეო გადასახადის რაოდენობა შემცირებულია 30—35 პროც. და გაწერაც მინდობილია თვით სათემო საბჭოზე.

აბრეშუმის მონოპოლია მოისპო, სდგება მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომელსაც მთავრობა ეხმარება. გლეხები მიიღებენ პარკის საფასურს.

აგრეთვე ილაპარაკა საქალაქო ნაწარმოების საქონლის სიძვირეზე და სასოფლო საქონლის სიაფეზე მან სთქვა, რო უკვე არის ტენდენცია საქალაქო ფასების დაწევის და სასოფლო ფასების აწევისა და ეს ტენდენცია მომავალშიც უფრო გაძლიერდება.

ადგილობრივ ხელისუფლება ხელიხელგაყრილი უნდა მიდიოდეს ღარიბ და საშუალო გლეხობასთან. „საჭიროა ხელისუფლებამ ნაკლები ილაპარაკოს და მეტი ისმინოს“, სთქვა სიტყვა სიტყვით ამხ. ფილიპემ, რაც გულში მოხვდა დამსწრე უპარტიო დელეგატ გლეხებს.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა.

მოხსენების შემდეგ დელეგატებმა მისცეს ამხ. მახარაძეს შეკითხვები, რომლებზედაც გასცა ამომწურავი პასუხი.

მოხსენების გამო რეზოლიუციის შემუშავება მიენდო პრეზიდიუმს, და პირველი საღამოს სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე, რომლის შემდეგ დელეგატებს უჩვენეს უფასო კინო.

მეორე სხდომა

19 მარტი დილა

სამაზრო ალმასკომის 1924 წლის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კ. მელიქაძე. ის ეხება ალმასკომის ყოველი დარგის მუშაობას და აღნიშნავს, თუ რომელ ნაწილში რა არის გაკეთებული.

დადებითი მხარეების აღნიშვნასთან ერთად ამხ. მელიქძე არა ნაკლებ ყურადღებით ურკვევს ყრილობას იმ ნაკლს, რომელიც თან ახლდა სამაზრო ალმასკომის მუშაობას.

სხვა ნაკლულევანებებთან ერთად ამხ. მელიქაძე აღნიშნავს, რომ თანხების განაწილების დროს არ იყო დაცული პროპორციონალობა, ე. ი. ზოგიერთ დარგებში, მაგალითად, როგორც აგრონომიულია, სულ მცირე თანხა იქნა დახარჯული.

ასევე აღნიშნავს შეცდომას, დაშვებულს ეკლესიის საკითხის ირგვლივ.

შემდეგ ამხ. მელიქაძე ეხება მომავალ მუშაობის გეგმას.

ყრილობის დიდი უმრავლესობა მრავალ შეკითხვებს აძლევს მომხსენებელს, რაზედაც მან გასცა სათანადო პასუხის.

იხსნება კამათი მოხსენების ირგვლივ.

კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ.: ი. გვასალია, ივ. ნადარაია, ნ. შამათავა, მ. კაჭარავა, ტ. სიჭინავა, ს. თურქია, კაპ. ჯლანჯლავა და სხვა.

კამათის შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. კ. მელიქაძე, რომელმაც პასუხი გასცა ოპონენტებს.

არჩეულ იქნა 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო შემუშავება რეზოლიუციისა სამაზრო ალმასკომის მუშაობის შესახებ და შედგენა მომავალი მუშაობის „ნაკაზი“-სა ახალი ალმასკომისათვის.

კომისიის არჩევის შემდეგ ამხ. ერ. შალამბერიძე რიგს გარეშე განცხადებას აკეთებს, რომლითაც აცნობს ყრილობას, რომ დღეს 20 მარტს პოლონელი ბურჟუაზია დაიწყებს „სახელმწიფო ღალატისათვის“ სეიმის დეპუტატის ამხ. ლანცუცკის გასამართლებას, მას მოელის სიკვდილით დასჯა.

შალამბერიძის წინადადებით ყრილობის მიერ ერთხმად მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა ცეკას.

სხდომა დაიხურა დღის 3 საათზე.

უკანასკნელი სხდომა

კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია სამაზრო ალმასკომის მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად. რეზოლიუცია აღნიშნავს რა ალმასკომის მუშაობაში მრავალ დეფექტებს, საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნობს მის მუშაობას.

საკითხი ტერნაწილების მნიშვნელობის შესახებ მომხსენებლის არ გამოცხადების გამო მოიხსნა დღის წესრიგიდან.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ვარ. ნადარეიშვილმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყრილობას უნდა დასწრებოდა 153 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, ხოლო ფაქტიურად დაესწრო 147 დელეგატი, მათგან 11 ქალი. პარტიული დამართულებით: კომუნისტი 67, კანდიდატი 5, კომკავშირელი 11, უპარტიო 64; სოციალური მდგომარეობის მიხედვით: გლეხი 72, მუშა 7, მოსამსახურე 68; განათლების მიხედვით: შინაური 34, დაბალი 74, საშუალო 27, უმაღლ. 6. უცოდინარი 6; პროფესიის მიხედვით: მასწავლებელი 31, ექიმი 1, აგრონომი 1, ტეხნიკოსი 1. სამანდატო კომისიის მოხსენება ყრილობამ დაამტკიცა.

სამაზრო ალმასკომში არჩეულ იქნა 29 კაცი, ხოლო საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატებათ 17 კაცი.

ამის შემდეგ გარჩეულ იქნა მორიგი საკითხები.

სხვათა შორის უპარტიო გლეხობა მოითხოვდა საკრედიტო ამხანაგობათა თანხის გადიდებას, რომ მშრომელმა გლეხმა მიიღოს სესხი, და პარკის საფასურით დაკმაყოფილებას.

ყრილობა ინტერნაციონალის სიმღერით საღამოს 5 საათზე დახურულად იქნა გამოცხადებული.

სამაზრო ალმასკომის სხდომა

21 მარტს, დილის 9 საათზე სამაზრო ალმასკომის ბინაზე შესდგა ალმასკომის გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმში 9 კაცი: მიხ. ნოდია (თავმჯდომარე), ან. ლომია (მოადგილე) და ი. გვასალია (მდივანი), წევრებად: ოლ. ოჩიგავა, ა. ოჩიგავა, მ. ბედია, იპ. ჩხეტია, მ. კაჭარავა და ვ. ჭობაცია.

ამავე სხდომაზე მოხდა განყოფილებათა გამგეების არჩევა და დანიშვნა.

ბ. უჩანეიშვილი.

ფოთის რაიონის საბჭოების ყრილობა

ფოთი. 24 მარტი. თავზარდამცემი ცნობა მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის ტრაღიკულათ დაღუპვის შესახებ მიღებული იყო ფოთში რამოდენიმე წუთის წინ რაიონული საბჭოების ყრილობის გახსნამდი.

დეპუტატებმა ფეხზე ადგომით მოისმინეს ყრილობის თავჯდომარის სიტყვა იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ დაღუპული ამხანაგები და რა როლს თამაშობდენ ისინი პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ განსვენებულთა და მათი მოღვაწეობის მოკლე დახასიათებით გამოვიდა ს. პ. კ. ს. პასუხისმგებელი მდივანი ყურულაშვილი.

ყრილობამ სამძიმარის დეპეშები გაუგზავნა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, ა|კ. სახალხო კომისართა საბჭოს, ს. კ. პ. ცეკას და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება რაიონული ალმასკომის მუშაობის შესახებ. შემდეგ მოხდა ახალი რაიონული ალმასკომის არჩევნები. არჩეულია ოთხი დელეგატი საქართველოს საბჭოების ყრილობაზე დასასწრებლათ.

მომავალი მუშაობის გეგმის დამტკიცების შემდეგ ყრილობა დაიხურა. ყრილობას დაესწრო 160 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

თევზების ჭერა.

ბათომი. 23 მარტი. უკანასკნელ დროს ზღვის თევზების ჭერა დღიურად აღწევს 1000 ფუთამდე. სჭარბობს ხამსია, რომელიც იყიდება სამ შაურათ ოყა (სამი გირვანქა).

ექსკურსანტების საყურადღებოთ.

ბათომი. 23 მარტი. საბჭოთა კავშირის მთავარი პოლიტგანის შორეულ ექსკურსიების საქმეთა რწმუნებულმა დასდო მუშკოოპთან ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ბათომში ჩამოსულ ყველა ექსკურსანტებს კმაყოფა მან უნდა მიაწოდოს. ფასი დღიური კმაყოფისათვის განსაზღვრულია 1 მან. 15 კაპეიკით.

უმუშევართა კოლექტივები.

ბათომი. 23 მარტი. პროფკავშირთა საბჭოს სამდივნომ დაავალა შრომის სახ. კომისარიატს დაათვალიეროს ბაზარი და შეიმუშაოს საკითხი უმუშევრებისათვის კოლექტივების მოწყობის შესახებ.

ქინაქინის დარიგება

ბათომი. 24 მარტი. მალიარიის გავრცელების გამო, ადგილობრივი აფთიაქიდან დაიწყო ქინაქინის უფასოთ დარიგება ყველა დაზღვეულთავის.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს ყველა წევრთა საყურადღებოთ

ცხადდება, რომ 26 მარტიდან იწყება დროებითი მანდატების მუდმივი მანდატებზე შეცვლა და საბჭოს სექციებში ჩაწერა.

მანდატების მიღება და სექციებში ჩაწერის წესი, როგორც საბჭოს წევრებისთვის, აგრეთვე საქარხნო საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებისა, ლენინელთა ახალგაზრდა კომკავშირისა საქართველოში, მ|გ. ინსპექციისა, ქალთა განყოფილებისა და სხვა მშრომელთა (იხ. დებულება) წარმომადგენელთათვის შემდეგია:

საბჭოს წევრების და წარმომადგენლებისათვის I რაიონიდან:
26 და 27 მარტს.
მე-II-რე რაიონიდან
29 და 30 მარტს.
მე-III-ე რაიონიდან
31 მარტს და 1 აპრილს.
მე-IV-ე რაიონიდან
2 და 3 აპრილს.

საბჭოს წევრებს მანდატები მიეცემათ ალმასკომის პრეზიდიუმის კანცელარიაში (ოთახი № 4) ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. აქვე სწარმოებს სექციებში ჩაწერა.

სექციებში ჩაწერა საბჭოს ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

3654 3—1. ალმასკომის პრეზიდიუმი.

იბეჭდება
და 31 მარტს
„კომუნისტი“-ს
ხელისმომწერლებს
დაურიგდება უფასო დამატებები

1. „მეცნიერება და ტეხნიკა“ № 6
2. „ჩირაღდანი“ № 6

წერილი კრასნოდარიდან

„ქართული სექცია“ მუშაობა კრასნოდარში.

ა. წ. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში, გაზ. „კომუნისტი“-ს ერთ-ერთ №-ში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ კრასნოდარის „ინტერნაციონალურ მუშათა განმანათლებელ კლუბთან“ დაარსდა ქართული სექცია, ქართველ მუშა-მოსამსახურეთაგან.

მას შემდეგ უკვე სამი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სექციამ ცოტა რამეს გაკეთება შესძლო.

დაარსებულია ბიბლიოთეკა, სკოლა მოზრდილთათვის—წერა-კითხვის უცოდინარეობის მოსასპობად.

თვითმპყრობელობის დროს აქ არსებობდა ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც აწიოკებული იქნა დენიკინის ბატონობის დროს. მხოლოდ ნაწილი გადარჩა, რაც სექციამ ჩაიბარა.

ბიბლიოთეკის დაარსებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს განათლების კომისარიატმა, რომელიც გამოეხმაურა სექციის მიმართვას და არ დაიშურა თავისი წვლილი. რამოდენიმე ასეული ქართული წიგნი როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშვებისათვის გადასცა სამკითხველოს ყველა ეს უფასოდ.

სამკითხველოს ამჟამად მოსდის ქართული გაზეთები: „კომუნისტი“ და „მუშა“. ახლო მომავალში სექცია შესძლებს გამოიწეროს პერიოდული ქართული გამოცემები, ჟურნალი და სხვა.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ქართულმა სკოლამ უკვე დაიწყო მეცადინეობა, ჰყავს თავისი ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

კვირაში ერთხელ კლუბში იმართება საზოგადო ლექციები თანამედროვე კითხვებზე, რომლებითაც მეტად დაინტერესებულია აქაური ქართველი მუშა-მოსამსახურენი.

მარტის პირველ რიცხვებში მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივით დაარსებული იქნა დრამატიული წრე. წრეში მეცადინეობა უკვე სწარმოებს. იკითხება ლექცია-საუბარი „დრამატიული წრისა და სცენის მნიშვნელობის შესახებ და მზადდება რევოლიუციონური პიესა ახლო მომავალში დასადგმელად რომელიმე მუშათა კლუბში. წრეს მიზნად აქვს დასახული სისტემატიურად წაიყვანოს ქართული წარმოდგენები სექციის ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც აუცილებელია კულტურული მუშაობის გაცხოველებისათვის.

ბავშვებისათვის სკოლის გახსნა მიმდინარე წელში შეუძლებელი შეიქნა. უკვე გვიან იყო. მომავალი სასწავლო წლიდან კი საერთო წესით, როგორც სხვა სექციების სკოლები, შეტანილ იქნება საერთო ხარჯში ქართული სკოლაც მთელი თავისი სამოსწავლო პერსონალით.

პირველ ხანებში საერთო კრებებში და საზოგადოდ სექციის მუშაობაში ქართველი ქალები ძალიან ნაკლებად თუ იღებდნენ მონაწილეობას, ეხლა კი უკვე საკმაო ნაწილი ესწრობა ლექციებს და სექციის ყოველივე მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ.

კლუბის საერთო მუშაობა. კლუბი აერთიანებს 8 სხვადასხვა სექციას. მთელი დარბაზი დაკავებულია რევოლიუციონური ლოზუნგების წარწერებით, თითქმის ყველა სექციის მიერ თავთავიანთ ენაზე. იქვეა სურათები კომუნისტური პარტიის ბელადებისა და სხვადასხვა სახალხო პოეტების. ერთ კუთხეში ამართულია „ლენინის კუთხე“, გარშემორტყმული ყველა ენით დაწერილი წარწერებით და აუარებელი წიგნებით ლენინის შესახებ. კედლის გაზეთი აჭრელებულია სხვადასხვა შრიფტით, ნამეტნავად განსხვავდება თათრული თავისი გრძელი დაკლაკნილი ხაზებით.

კლუბს აქვს რამოდენიმე ოთახი ყველა სექციებისათვის, სადაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქვეა ყოველივე კულტურული გასართობი კლუბის წევრთათვის.

კლუბის საერთო მუშაობაში საინტერესოა უმთავრესად ის, რომ თვეში ერთხელ, სისტემატიურად, იმართება კლუბის წევრთა საერთო კრებები ყველა ცალკე სექციების ერთმანეთთან უფრო დასაახლოებლად. ყველა სექციის წარმომადგენელი თავის ენაზე ესალმება კრებას, გამოსთქვამს კმაყოფილებას ყველა ამ პატარა ერის წარმომადგენელთა გაერთიანებისათვის. დარბაზი ყველას მისალმებას მხურვალე ტაშისცემით ეგებება, ნამეტნავად როდესაც კრებას მიესალმება წითელარმიელი ნაციონალურ ნაწილებიდან.

ბოლოს იმართება თითქმის ყველა ენებზე წარმოდგენები, საკონცერტო განყოფილება, ცოცხალი სურათები და სხვა.

ვალ. ცინცაბაძე.

ქ. კრასნოდარი
19 მარტი, 1925 წ.

პარტიული ცხოვრება

პირველი რაიკომის პლენუმის შედეგები

პლენუმი უმთავრესად შეჩერდა ამხ. ქავთარაძის მოხსენებაზე იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნა მიღებული რაიკომის მიერ პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობის გასაღრმავებლად.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, პარტიაში ახლად მიღებულების პოლიტიკურად გათვითცნობიერებისათვის და ბოლშევიკურად აღზრდისათვის რაიკომმა დააარსა 27 პოლიტსკოლა, სადაც მსმენელთა რიცხვი აღწევს 746 კ. ამასთანავე საორგანიზაციო განყოფილების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, რათა კომუჯრედებთან არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაში აქტიურად ჩაებათ პარტიაში ახლად მიღებულები.

ამ საანგარიშო თვის განმავლობაში კანდიდატობიდან პარტიის ნამდვილ წევრებად გადარიცხულია 161 კაცი, ამათში 130 კაცი ლენინის გაწვევას ეკუთვნის.

ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედების მუშაობის გასაძლიერებლად მიმაგრებული იქნა საკმაოდ მომზადებული პარტიული ამხანაგები, რომელთა მუშაობას რაიკომი თვალყურს ადევნებს. კომკავშირის პირველი რაიონის ორგანიზაციიდან პარტიაში საერთო წესით გადაყვანილ იქნა 33 ამხანაგი, ნამდვილ წევრებად კი 11.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ კომუჯრედების და ადგილკომების ფრაქციებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ასეთივე დამოკიდებულებაა თავის მხრივ რაიკომსა და უბნის კავშირს შორის.

რაც შეეხება რაიონის მასშტაბით „დობროხიმის“ კომისიების მუშაობას, უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა მათ დიდიხნის არსებობის ისტორია არა აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომისიების მუშაობა მეტად სასურველ დონეზე სდგას. „დობროხიმი“ ამჟამად თავის რიგებში აერთიანებს 6000 წევრს.

მომხსენებელმა ილაპარაკა საშეფო კომისიების მუშაობის შესახებაც. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მომავლისათვის მათი მუშაობის გასაღრმავებლად აუცილებლად საჭიროა თვით რაიკომში საშეფო კომისიის შექმნა, რომელიც სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევს კომუჯრედებთან არსებულ საშეფო კომისიების საერთო მუშაობას.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების („ზაკტპოს“) მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. აკიმოვი აღნიშნავს, თუ რა ზომები იყო მიღებული მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის როგორც მოკლე ვადიან, ისე გრძელვადიან სესხად გაცემის სფეროში.

მოხსენების გამო პლენუმმა გამოიტანა დადგენილება, რათა შუამდგომლობა აღძრას „ზაკტპო“-ს საშუალებით უმაღლეს ეკონომიურ ორგანოების წინაშე ავანსის მიღების შესახებ, რომ მით შესაძლებელი გახდეს მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

საერთოდ და მთლიანად კი რაიკომის მუშაობა პლენუმმა ჩასთვალა სრულიად დამაკმაყოფილებლად.

პარტკორი **გ. ლორთქიფანიძე.**

სამხედრო კომისარიატის სტამბის პირველი კომუჯრედი

ზემოხსენებული კომუჯრედი მოწყობილია სამხედრო კომისარიატის სტამბაში. სტამბა შეიცავს 5 საწარმოო ცეხს, სადაც სულ მუშაობს 112 მუშა-მოსამსახურე, რომელთაგან კვალიფიციური მუშაკია—70 და დამხმარე—30.

უჯრედის შემადგენლობა

უჯრედში ითვლება პარტიის 24 წევრი და 20 კანდიდატი, ამათში 8 მიღებული იქნა პარტიაში 1924 წ. უჯრედიდან ფიზიკურ შრომას ეწევა 35 კაცი, გონებრივს—19. უჯრედის საერთო შემადგენლობიდან 3 ამხანაგი იმავე დროს ითვლება კომკავშირის წევრად.

ბიუროს მუშაობა

ბიუროში შედის 7 წევრი და 2 კანდიდატი. საანგარიშო თვის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა 16 სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა 80 საკითხი. ბიურო თავის სხდომებზე რიგრიგობით იწვევდა უჯრედის წევრებს, რომ ამით საშუალება მიეცა მათ გასცნობოდენ ბიუროს მუშაობას; უჯრედის ბიუროს სხდომებზე რეგულიარულათ მოხსენებებს აკეთებენ უჯრედის ყველა კომისიები.

უჯრედის მუშაობა

უჯრედის ბიუროს ძირითადი ამოცანა უკანასკნელი თვის განმავლობაში გამოიხატებოდა იმაში, რომ მას გამოეცხოველებია და უფრო მეტად გაეღრმავებია უჯრედთან არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობა. ამ მხრივ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ საგრძნობ მიღწევებთან გვაქვს საქმე. უჯრედის წევრების დიდი უმრავლესობა ჩაბმულია როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

უჯრედთან მუშაობს აგიტ-პროპის კომისია, რომელიც განაგებს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას.

უჯრედის ყველა წევრები, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, მეცადინეობენ როგორც ადგილობრივ სკოლებში, ისე რაიონულ სკოლებში. მარქსისტულ წრეში რუსული ენაზე მეცადინეობს 8 ამხ. რაიონული პარტიული სკოლაში 9 ამხ. პოლიტწრეებში 13 ამხანაგი, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლებში ჩაბმულია 18 კაცი.

უპარტიო მუშებს შორის

კომუჯრედს უპარტიო მუშებში სათანადო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში 16 სხდომიდან 12 ღია იყო. უპარტიო ამხანაგები დიდ აქტივობას იჩენენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გარჩევაში.

მუშაობა ქალთა შორის

უჯრედს გამოყოფილი ჰყავს ქალთა ორგანიზატორი; ქალთა ორგანიზატორის ძირითადი მუშაობა ქარხანაში არ მიმდინარეობს, რადგანაც აქ მხოლოდ სულ 3 ქალი მუშაობს მაგრამ მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია დიასახლისებს შორის. ამ უკანასკნელ ხანებში ქალთა ორგანიზატორის მიერ მოწყობილი იქნა 2 კრება, რომელსაც დაესწრო 22 ქალი. ამას გარდა აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალები სისტემატიურად ესწრებოდენ კომუჯრედის ღია სხდომებსაც.

დამოკიდებულება ა. ლ. კ. კ. უჯრედთან

სამხედრო კომისარიატის სტამბაში დაარსებულა აგრეთვე ა. ლ. კ. კ. უჯრედი № 7, რომელიც აერთიანებს 40 კომკავშირელ ამხანაგს. ურთიერთ დამოკიდებულება კომუჯრედსა და კომკავშირის უჯრედს შორის მჭიდროა. თვეში 4-ჯერ იმართება გაერთიანებული სხდომები. ამასთანავე სამხედრო კომისარიატის სტამბის ყველა ორგანიზაციებში არჩეული არიან კომკავშირის წარმომადგენლებიც.

დ. წერეთელი.

ცეკავშირის სტამბის კომუჯრედში

ა|წ. 20 მარტს შესდგა კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრო ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა უპარტიო ამხანაგების საგრძნობი ნაწილი. კომუჯრედის დავალებით მოხსენება გააკეთა ამხ. მ. გოგუაძემ, რომელმაც კრებას გააცნო გერმანიაში მივლინების დროს მიღებული შთაბეჭდილებანი, კერძოთ კი მომხსენებელი ვრცლად შეეხო გერმანიის ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და მუშების იმ გაჭირვებულ პირობებს, რომლებშიაც მათ უხდებათ ცხოვრება.

დასასრულ ამხანაგმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ ჩვენი სტამბის და საერთოდ ყველა დარგში მომუშავე მუშები უკეთეს პირობებში იმყოფებიან, ვინემ გერმანიის მუშები.

კ. გოგუ.

საქართველოს ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს კომუჯრედი № 32

ამასწინად შესდგა ზემოხსენებულ კომუჯრედის მორიგი ღია სხდომა, რომელსაც დაესწრო 17 პარტიული და 70 უპარტიო ამხანაგი.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: მოხსენება საბიუჯეტო განყოფილების და საფინანსო-საკონტროლო განყოფილების მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „№ 32 კომუჯრედის ღია სხდომა, უპარტიო ამხანაგებთან ერთად, მოისმინა რა მოხსენებები საბიუჯეტო და საფინანსო-საკონტროლო განყოფილებების შესახებ, სცნობს მათ მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად და მომავლისათვის იმედოვნებს, რომ ზემოხსენებულ ორგანოში სავსებით აღმოფხვრიან. მათ გარშემო აღმოცენებულ ყოველგვარ დეფექტებს და მით ხელს შეუწყობენ ჩვენი უდეფიციტო ბიუჯეტის კიდევ უფრო გამაგრებას—რაიც აუცილებელ წინაპირობას შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის“.

პარტკორი მიჯა.

კოოპერაცია

დუშეთის კოოპერატივი

ამა წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში შეიკრიბა კოოპერატივის სარევიზიო კომისია ადგილობრივ პარტკომის წარმომადგენლის და ცეკავშირის ინსტრუქტორის თანდასწრებით. კომისიამ გამოარკვია შემდეგი:

დუშეთის კოოპერატივში ახალი გამგეობა არჩეულია საერთო კრების მიერ გასული წ. 21 ნოემბერს; გამგეობა ამ დღიდანვე შესდგომია მუშაობას, პირველ სხდომაზედვე გაუნაწილებიათ ფუნქციები, მაგრამ ეს განაწილება საერთოდ ვერ არის სწორი და ცხოვრებაშიც ვერ არის შესაფერისად გატარებული: გამგეობის წევრი ამხ. გ. გვარამაძე არის შინა-ვაჭრობის გამგე,—ნამდვილათ კი პასუხისმგებელი ნოქარი; გამგეობის წევრი ს. ნამორაძე აურჩევიათ მეთვალყურეთ და საერთო საქმის მოსაწყობათ.—ნამდვილათ კი ასრულებს მაღაზიის მოლარის თანამდებობას.

გამგეობას კოოპერატივის ჩაბარების დროს მიუღია გაშვებული ნისია მუშა-მოსამსახურეებზე 7742 მან. 36 კაპ. ამ ნისიების აკრეფა დაუდ[illegible] თვით მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებას, მაგრამ ეს დღესაც არ არის შესრულებული, პირიქით—ყველა დაწესებულების გამგეებს თანამშრომლებითურთ განუვრძიათ ახალ-ახალი ნისიები და ამჟამად ნისიის რაოდენობა აღწევს 10.072 მან. 10 კაპ. რის გამოც კოოპერატივი უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას დაუვალებია გამგეობისათვის პროცენტების დაკლება წევრებისათვის, რათა ამით გაძლიერებულიყო კოოპერატივში წევრების ჩაწერა; გამგეობასაც გადაუწყვეტია 2 პროცენტის დათმობა, მაგრამ დღემდის ესეც არ არის გატარებული. გარდა ამისა სოფელს ვერ აკმაყოფილებს კოოპერატივი, რადგან გლეხის ნაწარმოებს არ იღებენ.

ბუხჰალტერიის დავთრების გადათვალიერების დროს ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, რომელიც მეორდება რამდენჯერმე. მაღაზიაში ვაჭრობის დროს სალაროში აღმოჩნდა ზედმეტი 6, 9 მან. და უფრო მეტიც; საკვირველია აქ, სადაც მოლარე და ჩეკური სისტემა არსებობს, სალაროში ზედმეტი ან ნაკლები რად უნდა აღმოჩნდეს, ეს დიდ ეჭვებს ჰბადებს, რატომ აღმოჩნდა 6 მან. ან 9 მან. და არა 40 მან. და 100 მან., ვინ არის ამის პასუხისმგებელი.

გამგეობას ცუდათ აქვს შემუშავებული შტატები,—ყველგან ზედმეტია, შერჩევაც ცუდია, თვით გამგეობის წევრები ლაპარაკობენ, რომ ერთ-ერთი განყოფილების გამგე ცრუ ცნობებს გვირდგენს, ამის შესახებ გამოსასწორებელი ზომები ვერ მიუღიათ.

გამგეობა როდესაც მაღაზიიდან აძლევს რომელიმე პირს საქონელს ნისიად, ჯერ მონისიავეს აძლევენ სალაროდან ფულს და შემდეგ ის ყიდულობს ნაღდზედ საქონელს მაღაზიიდან, თანახმად გამგეობის წევრის გ. გვარამაძის მოთხოვნისა. დუშეთის კოოპერატივს აქვს საკუთარი სასადილო და ფურნე. აქ მდგომარეობა არანორმალურია: ვაჭრობა ორთავეში უმთავრესად სწარმოებს ნისიად, თვითეულს აქვს ორასზე (200) მეტი პირადი ანგარიში და ესეც არ არის წესიერად ნაწარმოები, რადგან რამდენიმე მონისიავემ შემოიტანა პირადი განცხადება, რომ ერთი ორად მოუწერიათ ჩემთვის ვალიო.

სასადილოში ყოველ დღე მოსადილეთა რიცხვი უდრის 40—60 და შიგ კი მსახურებს ათი კაცი, ე. ი. ერთი თანამშრომელი ემსახურება 4—6 კაცს. სასადილო ოპერაციას ამთავრებს ზარალით, რის მიზეზია შტატის სიდიდე. ფურნე თუმცა მომგებიანია, მაგრამ ბრუნვაში მაინც აკლდება 148 მანეთი.

საერთოდ კოოპერატივის მუშაობა არა დამაკმაყოფილებელია.

ამისათვის გამგეობა ვალდებულია კატეგორიულად განსაზღვროს და განაწილოს თავიანთ შორის მოვალეობანი, მიაქციოს მეტი ყურადღება წევრების მიზიდვის საქმეს, რისთვისაც გაატაროს ცხოვრებაში დათმობის დადგენილება საქონელზე და გააძლიეროს ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით კოოპერატიული პროპაგანდა; აღკვეცოს ნისიების გაცემა და მიიღოს ენერგიული ზომები ნისიების ასაკრეფად, რიზედაც მიმართოს ცენტრალურ დაწესებულებებს დახმარებისათვის; მიიღოს ყოველივე ზომები, რათა ადგილობრივ ნაწარმოებიც უსაღდებოდეთ გლეხობას და გადათვალიერებულ იქნას ყველა განყოფილებებში თანამშრომელთა შტატები.

დუშელი თვალი.

ეკონომიური ცხოვრება

— **სოფ. მაიხის საკრ. ამ—ბას** გაეხსნა კრედიტი სამეურნეო ბანკში, საკვები მასალის შესაძენად.

— **ლიუქსემბურგის საკრ. ამ—ბას** მიეცა 1.000 მან. სესხად ბოლნის-ხაჩინის საზოგადო წისქვილის დასამთავრებლად.

— **იმერეთის მევენახეთა კოოპერატიულ ამ-ბას „იმერეთს“** გაეხსნა გრძელვადიანი სესხი სამეურნეო ბანკში, 3000 მან. რაოდენობით.

— **დუშეთის საკრ. ამხ-ბას** მიეცა სესხად 3000 მ. სამეურნეო ბანკიდან, საკვები მასალის შესაძენად.

— **მუშათა მთლიან კოოპერატივს** მიეცად სესხად სამეურნეო ბანკიდან 10.000 მან., შვეიცარიულ ყველის ქარხნის მოსაწყობად.

— **გომის საკრ. ამხ-ბას** მიეცა სესხად სამეურნეო ბანკიდან 5.000 მან., საკვები მასალის შესაძენად, იმ პირობით, რომ 2.000 მან. ამ თანხიდან მოხმარდეს სურამის რაიონს იმავე საჭიროებისათვის.

— **კოოპერ. ამ-ბას „მდელოსი“-ს** მიეცა სესხად სამეურნეო ბანკიდან 8.000 მან. საკვები მასალის შესაძენად.

— **თბილისის მაზრაში** დამატებით გაიხსნა კიდევ ოთხი საკრედიტო ამხანაგობა.

— **მანგლისის საკრ. ამ-ბას** მიეცა სესხად სამეურნეო ბანკიდან 2.000 მან. საქონლის საკვების შესაძენად.

— **სამეურნეო ბანკმა** შესაძლებლად სცნო მიეცეს ბოლდადის მევენახეთა და მეღვინეთა ამ-ბას „ბოლდად“-ს 10.000 მან. ღვინის გირავნობის ქვეშ.

— **კოოპერ. საზ-ბას კახეთს** გაეხსნა კრედიტი სამეურნეო ბანკში 30.000 მან. რაოდენობით.

— **„მუხრანი“-ს სახ. მამულის** კულტურულ მოთხოვნილებისათვის სახ. უნივერსიტეტმა გამოითხოვა სამეურნეო ბანკიდან სესხი.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** გამოითხოვა ს.-სამეურნეო ბანკიდან 30.000 მან. ამერიკული ვაზის სანერგეების გაშენების საჭიროებისათვის.

— **ლანჩხუთის საკრ. ამხ—ბას** მიეცა სესხად 10.000 მ., მუშა საქონლის შესაძენად, სამეურნეო ბანკიდან.

— **მუხრანის საკრ. ამხ—ბას** მიეცა სესხად 2500 მან., სამეურნეო ბანკიდან მუშა-საქონლის და საკვები მასალის შესაძენად.

— **ახალგორის საკრ. ამხ—ბას** სამეურნეო ბანკიდან მიეცა სესხად 5000 მან., მუშა-საქონლის და საკვების მასალის შესაძენად.

პროფკავშირებში

კავშირების ხარჯ-აღრიცხვის შესახებ

ცირკულიარი № 21

ყველა კავშირების ცენტრ. გამგ. პროფსაბჭოებს და სამაზრო და საქალაქო პროფბიუროებს, ასლი სარევიზიო კომისიებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ მე-14 № ცირკულიარით დირექტივები გქონდათ მოცემული, თუ როგორ ან რომელ ვადაში უნდა შეგედგინათ და წარმოგედგინათ უმაღლეს ორგანოებში კავშირების შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვები.

მიუხედავად ამისა, მიმდინარე საოპერაციო წლის მეორე კვარტალის ხარჯთ-აღრიცხვები კავშირების ცენტრალურ გამგეობების უმეტესმა ნაწილმა წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვის პერიოდის ბოლო რიცხვებში, ხოლო უმეტესმა პროფსაბჭოებმა და სამაზრო პროფბიუროებმა ხარჯთ-აღრიცხვები სრულიად არ წარმოუდგინეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს.

ასეთი დამოკიდებულება ფინანსიურ საკითხებისადმი, რომლებიც ითვლებიან დანარჩენ მუშაობის ბაზად, არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად.

ამიტომ ს. პ. კ. ს. ამით წინადადებას გაძლევთ თავის დროზე არა უგვიანეს, 1-ლ აპრილისა, წარმოადგინოთ დასამტკიცებლად აპრილ-ივნისის საკვარტალო ხარჯთ-აღრიცხვა.

ს. პ. კ. ს. აუცილებლად სცნობს მიგითითოთ, რომ ამ დირექტივის შეუსრულებლობა განხილული იქნება, როგორც კავშირების გეგმიურ მუშაობის განზრახ დარღვევა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ხარჯთ-აღრიცხვები წინასწარ უნდა იქნეს დამტკიცებული თქვენი სარევიზიო კომისიების მიერ და გადმოგზავნოს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში ორ ცალად.

ს. პ. კ. ს. პ|მგ. მდივანი **ყურულაშვილი.**

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **ათოევა.**

ს. პ. კ. ს. საორგინიზაციო განყოფილების მდივანი: **ლვინეფაძე.**

საინფორმ. ციო-განყოფილების
კომუნისტი

მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „აბრეშუმი"

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმათ ჩამოყალიბებულია მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „აბრეშუმი"-ს საორგანიზაციო ბიურო, რომელიც დღიდან მისი დაარსებისა შეუდგა მუშაობას. საქართველოს ცენტრალურ კომიტეტისა და ბიუროს დადგენილებით ამხანაგობის საორგანიზაციო ბიურო მოთავსდება ქალ. ქუთაისში სააბრეშუმო სადგურის შენობაში. ზემოაღნიშნული ბიუროს პირველ ნაბიჯს შეადგენს სალ აბრეშუმის ჭიის თესლის გამოძებნა და მისი განაწილება მეაბრეშუმეებზე. აგრეთვე ის აწარმოებს ამ თავიდანვე მოლაპარაკებას იმ კოოპერატივებთან, რომელთაც აქვთ თავისი თანხით აშენებული ფარდულები და პარკის სახრჩობები და სდებს მათთან შეთანხმებას პარკის დასამზადებლათ და დასამუშავებლათ, ხოლო სადაც ასეთი შეთანხმება არ მოხდება „ეპო"-ებთან, იქ ბიურო დაიწყებს ახალ ფარდულების და პარკის სახრჩობების აშენებას. საორგანიზაციო ბიურო ამ თავიდგან აწარმოებს მუშაობას, რათა სულ მოკლე დროში მოიწვიოს სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობის ყრილობა, რომელზედაც იქნება ამორჩეული სრულუფლებიანი გამგეობა.

ქ.

ჯაგარის და ბეწვეულის დამზადება

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ იმ მიზნით, რომ დაიპყროს ფართე ბაზარი, ჯაგარის და ბეწვეულის და აბრეშუმის პროდუქტების დამზადებას თავის კანტორებისა და ორგანოების გარდა, აწარმოებს კოოპერაციის, სახელმწიფო ორგანოების და აგრეთვე კონტრაგენტების საშუალებით.

ზემოხსენებულ საქონლის ჯაგრის, ბეწვეულის და აბრეშუმის პროდუქტებს ტფილისში არსებულ ცენტრალურ დამამზადებელს პუნქტს გარდა, ამზადებენ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის კანტორები და განყოფილებანი ბაქოში, ერევანში, სოხუმში და ლენინაკანში და საგენტოები ყარაბაღში, ნუხაში, განჯაში, ქუთაისში, ახალციხესა და ახალქალაქში. კოოპერაციამ, სიღნაღის მეღორეთა საზოგადოების გამოკლებით, მატყლის დამზადებაზე უარი განაცხადა. ამის გამო ა.-კ. საგარეო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა იძულებული გახდა თავის აპარატის გარდა, მიემართა კერძო შემსყიდველებისათვის რომ ამ საშუალებით უზრუნველეყო თავისი სახელოსნოები, რომელნიც სწმენდენ და ახარისხებენ ჯაგარს. სახელოსნოს ყოველთვიურად ესაჭიროება მინიმუმი 130 ფუთი ნედლი საქონელი. ერთერთი დაბრკოლება ჯაგარის დამზადების საქმეში არის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სავაჭრო ორგანოების მიერ ჯაგარის შესყიდვა, რომელსაც ისინი აწარმოებენ შინაური ბაზრის დასაკმაყოფილებლად.

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა საქართველოში

1925 წ. თებერვალი

(საქარ. ცენტრალური სტატისტ. სამმართველოს მასალებიდან)

ცნობები სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მიღებულია რესპუბლიკის 14 მაზრიდან (სულ მაზრის 16) და სამი ავტონომიურ რესპუბლიკებიდან. ასე რომ მთლიანობის და სისრულის მხრივ ისინი სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დასახასიათებლად.

მიმოხილვა შეეხება სოფლის მეურნეობის შემდეგ დარგებს: 1. ამინდის დახასიათებას, 2. შემოდგომის ნათესებს, 3. ბაღ-ვენახების მდგომარეობას და საქონლის შენახვის პირობებს.

1. ამინდის დახასიათება.

თებერვლის განმავლობაში ამინდი სოფლის მეურნეობისათვის იყო სრულიად ხელშემწყობი. თითქმის მთელ რესპუბლიკაში იდგა თბილი ამინდი. შედარებითი სიცივეებს გვიჩვენებენ—ახალციხის, ზემო-სვანეთის, რაჭის და სენაკის მაზრები. თოვლის მოსვლა საანგარიშო თვეში არსად არ ყოფილა. წვიმების მხრივ ჰაერი იყო ზედმიწევნით მშრალი. ქარი არსად არ ყოფილა, გარდა თბილისის და სენაკის მაზრებისა, სადაც თვის შუა რიცხვებში ქროდა არა ხანგრძლივი აღმოსავლეთის ქარი. თოვლის დნობა იყო საყოველადგილო, მაგრამ ნელი და ნათესებისათვის სრულიად უვნებელი. თოვლისაგან ნიადაგი განთავისუფლდა ნაწილობრივ—ახალქალაქის, დუშეთის, თბილისის, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ოზურგეთის მაზრებში; განთავისუფლდა სრულიად ზუგდიდის, სენაკის, მაზრებში და აჭარისტანში; დანარჩენ მაზრებში მინდვრები არ განთავისუფლებულან თოვლისაგან, თუმცა იყო თოვლის დნობის პროცესი.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თებერვლის ამინდი სოფლის მეურნეობისათვის საერთოდ და ნათესებისათვის კერძოდ იყო ძლიერ ხელშემწყობი.

2. შემოდგომის ნათესები

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია. გამონაკლისს შეადგენენ ბორჩალოს და სიღნაღის მაზრები, სადაც შემოდგომის ნათესები ძლიერ დაზიანებულია: ბორჩალოს მაზრაში 25 პროც. ნათესების სრულიად დაღუპულია, რაც შეადგენს 5,4 ათას დესეტინას, დანარჩენი დაღუპვისაგან გადარჩენილი სივრცეც 70—80 პროცენტამდე ძლიერ დაზიანებულია; დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სიღნაღის მაზრაშიც, აქ ძლიერ დაზიანებულია 10.000 დეს., რაც შეადგენს მთელი შემოდგომის ნათესების 30,0 პროც. დანარჩენ მაზრებში სურათი დამაკმაყოფილებელია ნათესების მდგომარეობის შესახებ. ნიშნებით ცალკე მაზრებში შემდეგია: ახალციხის—4, ბორჩალოს—1, გორის—4, დუშეთის—5, სიღნაღის—2,4, თბილისის—3, საშუალო აღმოსავლეთ საქართველოსთვის—3,9, (ცნობები არ არიც თელავის და ახალქალაქის მაზრებიდან); ლეჩხუმის—5, რაჭის—3, სენაკის—5, ქუთაისის—5, შორაპნის—4, საშუალო დასავლეთ-საქართველოსთვის—4,2, სამხრეთ-ოსეთში—3 და საშუალო მთელი რესპუბლიკისთვის—3,0.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათესების ცუდი მდგომარეობა ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში არის მემკვიდრეობა დეკემბრის და იანვრის უამინდობის, თებერვალს კი არავითარი ცუდი გავლენა არ მოუხდენია. ნათესების ხელმეორედ გადათესვას საამომხილვო თვეში ადგილი არ ჰქონდა.

3. ბაღ-ვენახების მდგომარეობა

ვენახების მდგომარეობა საანგარიშო პერიოდში არ იყო დამაკმაყოფილებელი. ყველა მაზრებიდან იმას გვატყობინებენ, რომ ბაღების და ვენახების მდგომარეობა, არის ცუდი (ნიშანი 1). ეს ცუდი მდგომარეობა, როგორც გვაცნობებენ, არის გამოწვეული გასული სუსხიანი ზამთრის ზეგავლენით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბაღ-ვენახებისათვის მიყენებული ზიანის საბოლოოდ გამორკვევა ჯერ კიდევ შეუძლებელია. განსაკუთრებით დაზიანებულია ის ვენახები, რომელიც იყო გასხლული შემოდგომაზე (ჩვენება გორის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებიდან) აჭარისტანში, აფხაზეთში და ოზურგეთის მაზრაში ძლიერ დაზიანებულია მანდარინა, ფორთოხალი და ლიმონი.

საქონლის მდგომარეობა

საქონლის მდგომარეობა თებერვლის განმავლობაში, რესპუბლიკის სხვადასხვა ნაწილებში იყო სხვადასხვაგვარი. აღმოსავლეთ საქართველოში საქონლის მდგომარეობა იყო საშუალოზე მდარე, დასავლეთ საქართველოში—საშუალოზე კარგი. მთელ რესპუბლიკაში—საერთოდ საშუალო. საქონლის ცუდ მდგომარეობას აღმოსავლეთ საქართველოში ხსნიან საკვების უქონლობით (ახალციხის, გორის, თბილისის, სიღნაღის და დუშეთის მაზრებში) და ნაწილობრივ ეპიზოოტიითაც (თბილისის—გარე-კახეთის რაიონი და სიღნაღის მაზრები). საკვების უქონლობას ჰქონია ადგილი დასავლეთ საქართველოშიაც (რაჭის, შორაპნის და ქუთაისის მაზრები), მაგრამ აქ ის არ იყო იმდენად საგრძნობი, რამდენადაც აღმოსავლეთ საქართველოში და ზიანიც მისგან მიყენებული შედარებით აღმოსავლეთ საქროველოსთან არის მცირე. ეპიზოოტია დასავლეთ საქართველოში არ ყოფილა. საქონლის მასიური გაყიდვა საერთოდ არ ყოფილა, არის ჩვენება მხოლოდ ბორჩალოს მაზრიდან, რომ იქ გლეხობა ძალიან იაფ ფასებში ჰყიდის საქონელს, რადგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იმდენად დიდია, რომ გლეხს არ ძალუძს სხვა მხრივ მისი გასტუმრება.

საქონლის დაღუპვა და მასიური გაწყვეტა თებერვალში არ ყოფილა, მხოლოდ ახალქალაქის მაზრიდან გვატყობინებენ, რომ იქ მთელი ზამთრის განმავლობაში ყინვებისაგან გაწყვეტილ ყველა საქონლის რიცხვი უდრის 2,400 თავს.

საერთოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ თებერვლის ცნობების მიხედვით საქონლის მდგომარეობა არ ჩაითვლება მაინც და მაინც უნუგეშოდ, მაგრამ ჩვენ ისევ ვიმეორებთ, რომ წრევანდელი მკაცრი ზამთრის გავლენის საბოლოო შედეგების გამორკვევა თებერვლის ცნობების მიხედვით შეუძლებელია. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მარტის და აპრილის კონიუნქტურულ მიმოხილვეში.

ია.

წყალდიდობის მსხვერპლნი

19 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე წღვერიდან სოფ. მზეთამზეში მიდიოდენ მინადორა, ოქროას ასული გოგოლაძე (17 წ.) და ნინა იოსების ასული ხაჩიძე (14 წ.), როცა ისინი შედიოდნენ წღვერის ახალ მდ. ჩართის წყალზე გადებულ საცალფეხო ხიდზე, ხიდს დაეჯახა ერთბაშად ადიდებული მდინარის ტალღები და ზემოხსენებული მგზავრებიც თან გადაიყოლია. იმავე დღეს ერთი ვერსის დაშორებით ნახული იქნა მათი გვამები.

საჭიროა ადგილობრივ ხელისუფლების წინასწარი ზომები, რათა ასეთი ხიდები, რომლებიც გზის შესამოკლებლათ არიან გადებული, გამაგრებულნი და ან სრულიათ მოშლილი იქნეს, ამგვარ უბედურების თავიდან ასაცდენათ.

X.

ქრონიკა

— **დახმარება ქვრივ-ობლებს.** თებერვლის განმავლობაში დამზღვევ კასამ ქვრივ-ობლებს დახმარების სახით მისცა 5.251 მ. 48 კ.

— **დასამარხი ფული.** დამზღვევ კასამ თებერვლის განმავლობაში გარდაცვლილ დამზღვევ კასის წევრებისათვის დასამარხ ფულად გაიღო 2,125 მან.

— **დასახიჩრებულთა კოოპერატივი.** ომისა და შრომის ინვალიდების კოოპერატივმა განაახლა თავისი მუშაობა.

— **ადგილკომებისაგან** უმუშევრებისათვის მიცემულ მოწმობებში აღნიშნული უნდა იყოს: დათხოვის დრო, სტაჟი, დათხოვის მიზეზი, კვალიფიკაცია და რამდენ ჯამაგირს ღებულობდა უკანასკნელათ.

— **პროფესიონალურ** მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა გააფართოოს სასოფლო-სამეურნეო სკოლათა ქსელი საქართველოს მასშტაბით.

— **ფასების დაკლება წამლეულობაზე.** 1 აპრილიდან შემოღებული იქნება წამლეულობაზე ახალი ნიხრი, რომლის მიხედვით წამლეულობა გაიაფებულია საშუალოთ 15 პროცენტით.

— **საექიმო ფონდის განმანაწილებელმა თათბირმა** დაადგინა ყოველთვიურათ მაზრაში მოსიარულე კბილის საექიმო რაზმის საჭიროებისათვის გადასდოს 240 მან.

— **ხალხის ჯანმრთელობისათვის.** ჯანსახკომმა აღძრა შუამდგომლობა სოფლად მუშაობის გამაუმჯობესებელ კომისიის წინაშე, რათა ყველა ადგილობრივ საბჭოებთან დაარსებული იქნას ჯანმრთელობის დამცველი სექციები.

— **ოთახების რიცხვი.** საქართველოს ქალაქებში ამჟამად ირიცხება 487,419 ოთახი, მათ შორის თბილისში 222,538 ოთახი.

— **თბილისში ამჟამად** ირიცხება 10,623 ოთახი სათანადოთ მოწყობილი.

შემთხვევები

— ქურდების შეპყრობა. 17 მარტს გაქურდული იქნა იაკოფ აზარაშვილის ბინა საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები. მიღებულ ზომებით ბოროტ-მოქმედნი შეპყრობილი იქნენ ნაქურდალი ნივთებით.

— შერემეტიევის ქ. № 46, სარდაფში აღმოჩენილი იქნა ქურდების ორგანიზაცია რიცხვით 8 კაცი. მათთან ერთად იქნა ნაპოვნი სხვადასხვა გასაღებები და საოჯახო ნივთები.

— ქურდობა. 23 მარტს, ღამის 1 საათზე, მორგებულ გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა ივანე შუატბაიას სახელოსნო, მდებარე ვერის დაღმართზე № 7. წაღებულია 350 მან. ნივთები.

— 23 მარტს, ღამით კომუნალურ ქ. № 78, გაქურდული იქნა ბაგირ აბილანოვის ბინა. წაღებულია 116 მან. ნივთები.

— 25 მარტს, კალისტრატე ჯაფარიძემ მცხ. ლენინის ქ. № 77, განაცხადა, რომ მისმა ამხანაგმა დავით ჩადრაგანიძემ მოპარა მას ყუთიდან ფული და მიიმალა.

ხელოვნება

ნინა ვალაცცის კონცერტი

ნინა ვალაცცი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მომღერალია, მაგრამ მისი პირველი გამოსვლა სახელმწიფო კონსერვატორიაში დამოუკიდებელ კონცერტზე ამტკიცებს, რომ ეს მომღერალი ერთერთ პირველ ადგილს დაიჭერს თანამედროვე საქვეყნოთ ცნობილ მომღერალთა შორის.

მძლავრი ლამაზი ტემბრის ხმა (ლირიულ-დრამატიული სოპრანო), საუცხოვო სკოლა, ტემპერამენტი და მუსიკალობა უზრუნველყოფენ ახალგაზრდა მომღერალის ბრწყინვალე მომავალს.

კონცერტის პირველ განყოფილებაში მომღერალმა ქალმა, გასაგები მღელვარების გამო უცნობი აუდიტორიის წინაშე, ვერ შესძლო თავისი ვოკალური ნიჭის მთლიანად გაშლა, მაგრამ მეორე განყოფილებაში უკვე მომღერალმა დასძლია მღელვარება და მისმა მხატვრულმა შესრულებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე.

კარგათ შეასრულა ნინა ვალაცციმ არია პუჩინის ოპერიდან—„ქ-ნი პატერფლეი", რომელშიაც ბევრი გრძნობა და ტემპერამენტი ჩააქსოვა, შემდეგ მასკანის სერენადა და კიდევ უფრო უკეთესათ შეასრულა თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორის ტირინდელის „მისტიური სიმღერა". როიალის, ვიოლინოს და ფისგარმონიის აკომპანიმენტის ქვეშ კარგათ იყო შესრულებული არია ოპერა—„ბოგემა"-დან.

პროგრამაში შეტანილი იყო იტალიელი კომპოზიტორების მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ყოფილა შესრულებული თბილისში. მაგალითად: ტირინდელის, კატალანის, მასკანის (ოპერა „იზაბელა") და პუჩინის (არია ოპერიდან „ჯიანა ჩიკკი") ნაწარმოებები.

მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ მხურვალე ოვაციები გაუმართა ახალგაზრდა მომღერალს. დასასრულ ნინა ვალაცციმ ქართულ ენაზე შეასრულა არია ოპერა „დაისი"-დან და დ. არაყიშვილის რომანსები.

როგორც ყოველთვის, კეთილშობლური ოსტატობით შეასრულა ვიოლინოს ლიტერატურის მთელი რიგი ნაწარმოებები პროფ. ცოვიანოვმა.

აკომპანიმენტს ასრულებდენ გრიქუროვა და ცოვიანოვა.

პ. გ.

ვ. ვიქტოროვის მე-3 „გასტროლი"

„გუგენოტები"

როგორც ვოკალურმა ძალამ—გასტროლიორმა ვიქტოროვმა თავისი ნიჭი გამოიჩინა პირველ ორ წარმოდგენაში („ურიის ქალი" და „აიდა"). არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმ შესახებ, რომ ვიქტოროვს არაჩვეულებრივ მძლავრი და ლამაზი ბარიტონალური ტემბრის დრამატიული ტენორი აქვს და იმ ადგილებში, სადაც საჭიროა მხოლოდ ვოკალური მხარის გამოჩენა,—იქ ვიქტოროვი ამოცანის სიმაღლეზე სდგას.

მაგრამ რაულის პარტიაში („გუგენოტები") მუსიკაში მკაფიოთ გამოხატულია ის დრამა, რომელსაც განიცდის ოპერის გმირი ამიტომ ამ პარტიის წარმატებით შესრულება მოითხოვს, როგორც ვოკალური, ისე სცენიური მხარის მოფიქრებით გადმოცემას. აქ მრავალია პათეტიური და ლირიული ადგილები, ყველაფერი ეს გამოყოფილი უნდა იქნეს.

გასტროლიორის შესრულებაში სუსტათ იყო გადმოცემული დინამიური მხარე. აკე, მაგალითად, პირველი შესავალი ფრაზა, პირველი აქტის რომანსი, დიალოგი მარსელთან მესამე აქტში და ფინალის საუცხოვო ვცენა (დუეტი ვალენტინასთან)—შესრულების მკრთალი ადგილებია, მაგრამ პათეტიური ადგილები გრძნობით და ტემპერამენტით იყო შესრულებული.

სცენიური გადმოცემის მხრივ გასტროლიორი არ სცილდება ჩვეულებრივ საოპერო ტრაფარეტს. მოხდენილი ვერ არის გრიმი. ვიქტოროვი გარეგნობით არ ჰგავს შეყვარებულ ახალგაზრდას.

ვალენტინას პარტიას მღეროდა სედენკო მან შესძლო ამ მეტათ ძნელი პარტიის დაძლევა როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ. ლირიულ ადგილებში საუცხოვოთ ჟღერდა მომღერალ ქალის ხმა.

მუსიკოსი

კინო

საქართველოს კინო-მრეწველობაში

„წარსულის კოშმარები"

საქართველოს კინო-მრეწველობის ახალი სურათი „წარსულის კოშმარები" დღეიდან, 26 მარტიდან, ნაჩვენები იქნება სამ კინო-თეატრში: „არფასტო", „სოლეი" და „აპოლო"-ში.

მთავარ როლებს ასრულებენ: ვერიკო ანჯაფარიძე, ბარხუდაროვი, აკაკი ხორავა და მამულაიშვილი. სურათი დადგმულია რეჟისორ ბარსკის მიერ. ოპერატორი ს. ზაბოზლაევი.

23 მარტს მოსკოვში, კავშირების სახლში, მოხდა „წარსულის კოშმარები"-ს საზოგადოებრივი გასინჯვა, რომელსაც დაესწრენ ორი ათასზე მეტი პასუხისმგებელი ამხანაგები და პრესის, სხვადასხვა კინო-ორგანიზაციების, ფაბრიკების და ქარხნების წარმომადგენლები. სურათმა აღტაცება გამოიწვია მაყურებლებში და ის სამი თვის განმავლობაში წავა მოსკოვის ყველა კინო-თეატრებში.

„ქარიშხალის წინ".

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სურათი „ქარიშხალის წინ" გადაეცა საქართველოს კინო-მრეწველობას ხელახალი მონტაჟისა და ლაბორატორული დამუშავებისათვის. აღნიშნული მუშაობა უკვე შესრულებულია და ახლო მომავალში სურათი ნაჩვენები იქნება თბილისში ახალი სახელწოდებით: „ქარიშხალის მაუწყებელნი". სურათს თითქმის არაფერი საერთო არ აქვს პირველ გამოცემასთან.

„მამის მკვლელი" ბერლინში

ამჟამათ ბერლინში მყოფ საქართველოს კინო-მრეწველობის დირექტორის გერ. გოგიტიძის მონაწილეობით ბერლინის ერთ-ერთ დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოთა საქართველოს საპატივცემლო საღამო, რომელზედაც ნაჩვენები იყო სურათი „მამის მკვლელი".

საღამოს დაესწრენ ქართული კოლონიის წევრები, სავაჭრო წარმომადგენლობის მოსამსახურეები და გერმანიის სხვადასხვა ფირმების და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„შრომის ფრონტზე"

თბილისში დაბრუნდა საქართველოს კინო-მრეწველობის დასი რეჟისორ პერესტიანის მეთაურობით, რომელიც „წითელი ეშმაკუნების" გაგრძელების — სურათ „შრომის ფრონტზე"-ს სცენებს იღებდა საქართველოს სამხედრო გზის უღელტეხილზე. სურათების გადაღება ხდებოდა ღრმა თოვლში 8.000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

„დაჰკრა საათმა".

საქართველოს კინო-მრეწველობის შემდეგი ახალი სურათი იქნება „დაჰკრა საათმა" ციკლიდან—„რკინის რაზმი". დადგმა რეჟისორ ბარსკის. ოპერატორი ზაბოზლაევი. მთავარ როლებს ასრულებენ მიშა ჭიაურელი და კლეოპატრა ჯაში.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

კვირას, 22 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ს. ორჯონიკიძის და ს. ქავთარაძის სახელობის (სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი პირველი ჯგუფი) გუნდების შეჯიბრება.

უნდა ითქვას, რომ ეს ორი გუნდი საუკეთესო გუნდებათ ითვლება თბილისში. წარსულ საშემოდგომო სეზონში პირველობა მათ შორის გაუთამაშებელი დარჩა, რადგან ორ შეჯიბრებას არავითარი რეალური ნაყოფი არ გამოუღია.

მიმდინარე საგაზაფხულო სეზონში ისინი პირველათ შეხვდენ ერთმანეთს. პირველი შეჯიბრების შემდეგ უკვე შეიძლება შევაფასოთ ორივე მოწინააღმდეგე მხარის ღირსება და ნაკლულოვანებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ორჯონიკიძის სახელობის გუნდი შესამჩნევათ შესუსტებულა. გუნდს გამოკლებია რამოდენიმე კარგი მოთამაშე. მართალია მათ მომატებია ერთი ლენინგრადელი მოთამაშე, მაგრამ მის თამაშში არ არის არაფერი ისეთი, რასაც შეუძლია თვალსაჩინო გავლენა მოახდინოს გუნდის საერთო სიძლიერეზე. თამაშის ტექნიკა სუსტია. მოთამაშეები ვერ არიან ერთმანეთთან შეწყობილი, არ ეხერხებათ ბურთის კოლექტიურათ გატანა, რასაც ფეხბურთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სამაგიეროთ თვალსაჩინოდ გაძლიერებულა ს. ქავთარაძის სახელობის გუნდი. უპირატესობა თამაშის დაწყებისთანავე ამ უკანასკნელის მხარეზე იყო. თამაშის კლასის მხრივ ეს გუნდი გაცილებით სჯობს პირველ გუნდს.

ბრძოლის ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდო ქავთარაძის სახელობის გუნდმა. ორჯონიკიძის სახელობის გუნდი იძულებული იყო თავდაცვა ეწარმოებია. ბურთი მეტწილად მის ჰიშკართან ტრიალებდა. პირველი ხავტაიმის ბოლოს ქავთარაძის სახელობის გუნდმა გასტეხა მოპირდაპირის წინააღმდეგობა და ერთი ბურთი შეუგდო მას ჰიშკარში.

მეორე ხავტაიმში თამაში აღარ გაგრძელებულა, რადგან მოედანზე მიღებული იქნა ცნობა მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოღილევსკის დაღუპვის შესახებ. მატჩი ხელახლა გათამაშებული იქნება.

მუშათა ცხოვრება

მოგვეცით, რაც გვერგება

(შრომის ინსპექტორის და რკ.-გზის პროფკავშირის საყურადღებოდ).

ქალაქ თბილისის დეპოს მუშები აუტანელ მდგომარეობას განიცდიან სპეც-ტანისამოსის მიუღებლობის გამო. მასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც სამუშაო ხელფასით ვართ კმაყოფილი, რადგანაც ის ძალიან მცირეა. დეპოს ადმინისტრაცია არ იმორჩილება შრომის კანონებს; გვამუშავებს კვირა და უქმე დღეებში და ამის გასამრჯელოს კი არ გვაძლევს. იმედია, რომ ამას მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას შრომის ინსპექტორი და დაიცავს მტკიცედ ჩვენს ინტერესებს.

მეტი ყურადღება ქალაქის ქუჩებს

(სანიტ. განყ. საყურადღებოდ).

სანიტარულ კომისიას ალბად არ უნდა ჰქონდეს ნახული ქალაქის განაპირა უბნები, თორემ ასეთ სიბინძურეს აქ ადგილი არ ექნებოდა. განსაკუთრებით ვორონცოვის ქუჩა თავიდან ბოლომდის გაბინძურებულია.

საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება და მიღებული იქნეს სათანადო ზომები.

მუშკორი **ჯ. ბარნაკი.**

მოსთხოვეთ პასუხი

(მე-9-რაიონის მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

ოსიპოვის შესახვევში—სახლი—№ 11-ის ქუჩის მხრივ ფიცრის ღობე ჰქონდა შემორტყმული და სადღაც გაფრინდა ეს ღობე. სახლის პატრონებს—ნიკო და სანდრო სულხანიშვილებს უნდა მოეთხოვოს პასუხი აღნიშნული ღობის აღებისათვის, ვინაიდან მდგმურებს მოგველის გაქურდვა.

მუშა **კალამი.**

მიეცით პასუხისგებაში.

(ქ. აღმასკომის კომუნალურ-წყალსადენის საყურადღებოდ).

მე-9 მილიციის უბანში ოსიპოვის შესახვევი № 11, სახლის პატრონი **ალექსანდრე სულხანიშვილი** წყლის ფულს მდგმურებს პროფკავშირის წევრებს ახდევინებს როგორც კერძო ვაჭრებს. კომუნალურ წყალსადენის სალაროში კი შეაქვს, როგორც პროფკავშირის და უმუშევართა წევრებისაგან მიღებული ფული, დანარჩენი ფული კი გადადის მისი ჯიბის სასარგებლოდ.

არ შეიძლება ეს მატყუარა ვაჟბატონი პასუხისგებაში იქნეს მიცემული მშრომელი ხალხის ფულის ჩაჯიბებისთვის.

მუშა **ვ—ა—მი.**

მოგვეცით ტელეფონი!

(რკ. გზების წევის დარგის უფროსის საყურადღებოდ).

მთავარ სახელოსნოების საიარაღო საამქროს საგამცემლო განყოფილებაში არ აქვთ ტელეფონი,—რის გამო იქაურ თანამშრომლებს უხდებათ საამქროებში სირბილი სხვადასხვა ცნობების მისაღებად. ასეთ მდგომარეობით აღნიშნულნი თანამშრომლები შორდებიან თავიანთ სამუშაოს და მუშებს უცდებათ დრო მათ მოლოდინში, ხშირად კი უსიამოვნებასაც აქვს ადგილი მუშებსა და მოსამსახურეთა შორის. ტელეფონის დადგმას არ სჭირდება დიდი თანხა და ნუ თუ რამოდენიმე მანეთის გულისთვის უნდა შეფერხდეს საქმე ისეთ ადგილას, როგორიც არის სახელოსნოების საიარაღო ცენტრ. საწყობი?

მუშკორი **ზიხელ.**

დამიცავით მოძალადეებისაგან

(ქალ. მილიციის და ოლქის სასამართლოს საყურადღებოდ).

შრომის სასამართლოში მაქვს საჩივარი აღძრული პრიუტის ქ. № 8 სახლის მეპატრონე ელენე ფხაკაძეზე სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის და ჯამაგირის მოუცემლობის შესახებ. ამ გარემოებით ჩემზე ერთობ გაანჩხლებულია სახლის პატრონის სიძე **რუბენ აბულოვი (ოლქის სასამართლოს მდივანი)**, რომელიც მეჩხუბება და მლანძღავს უშვერი სიტყვებით, თან მემუქრება სახლიდან გამოსახლებით. რამოდენიმე დღის წინეთ მოვიწვიეთ მედიატორები საქმის გამოსარკვევად ჩემი და აბულოვის შორის და როცა მედიატორები საქმეს არჩევდენ, მხარეების დაკითხვის შემდეგ, შევარდნენ ოთახში მედიატორებთან **რუბენ აბულოვი** და მისი ძმა **ლევან აბულოვი** და დიდი აყალ-მაყალით დაშალეს მედიატორების სხდომა. მათ არ ისურვეს ამ საქმეზე მოწმეების დაკითხვა.

ვთხოვ მილიციას დამიცვას მოძალადეებისაგან.

მუშა-ქალი **ბარბალე გაწერელია.**

როგორ ესმით ზოგიერთებს წესი და კანონი?

(შრომის კომისარიატის და ჯანსახკომის საყურადღებოდ).

4 მარტს ნაშუადღევის პირველ საათზე მუშაობის დროს რკინის გზის ორთქლმავალთა საყუდში ორთქლმავალზე მომუშავე ზეინკალმა ამხ. კობახიძემ გაიფუჭა ხელის თითები და რადგანაც საყუდს არა ჰყავს არც ექიმი და არც მისი თანაშემწე, უცაბედი შემთხვევისათვის, კობახიძეს ხელი შეუხვიეს სახელდახელოთ ამხანაგებმა სისხლის შეწყვეტის მიზნით.

ამის შემდეგ კობახიძემ მიმართა დახმარების აღმოსაჩენად რკინის გზის საავადმყოფოს მორიგე ექიმს. მაგრამ, ვაი, უბედურებავ! ექიმი ეუბნება ავადმყოფს: პირველი საათია, კანონით კი სამ საათზედ უნდა მივიღო ავადმყოფები. მანამდისინ კი დაჯექი მანდ და ხელი მაღლა ასწიე სისხლი ნაკლები დაგეღვრებაო. როდესაც ავადმყოფმა მიუგო, რომ მას ნახევარ საათზედ მეტია, რაც ხელი მაღლა უკავია და მაინც სისხლის დენა არ შეჩერებულა და პერანგიც კი მთლად სველი აქვს სისხლისაგან, ექიმი უპასუხებს: მე რა შუაში ვარ, წესი ასეთი გაქვთ თქვენაო. განა, ექიმის ავადმყოფ მუშისათვის ასეთი მოპყრობა დასაშვებია?

საჭიროა ასეთ ექიმს მოახვედროთ წითელი ცოცხი.

მუშკორი **შხამი.**

ალაგმეთ ეს სახლის პატრონი.

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ლენინის უბანში ბრიგადირის ქ. № 27-ის სახლის პატრონი სიმონ გოზალაშვილი მოსვენებას არ აძლევს მდგმურებს. ის ხშირად უვარდება მდგმურებს საკუთარ ბინაში საცემრად, მის თარეშს ხელს უწყობენ მისი ცოლი და მისი ქალიშვილი მარო, რომელმაც კიდეც სცემა მდგმურს, რის შესახებ მე-11 უბნის უფროსმა შეადგინა ოქმი და გადაგზავნა სასამართლოში.

ამ ოჯახიდან ქუჩაზე გამვლელებსაც არა აქვთ მოსვენება.

მუშკორი **შ—მი.**

ჩიბათის თემის გლეხკომის ქარხანა •

(სატყეო ტრესტის საყურადღებოდ).

ფოთში არსებობს ხე-ტყის სახერხი ქარხანა ჩიბათის თემის „გლეხკომისა", რომელსაც ჰყავს ამხანაგებად შეყვანილი კერძო პირები, სპეკულიანტები. ამ უკანასკნელთა გავლენით აქ აქვს ადგილი შემდეგ არასასურველ მოვლენას: როცა მოეხასიათებათ, ქარხანას დახურავენ და, როცა მოეხასიათებათ გახსნიან. ამას წინად, სამი თვის თუ ოთხი თვის უკან, გახსნეს და ამუშავეს ქარხანა იანვრის ბოლო რიცხვებამდე და შემდეგ გამოაცხადეს: ქარხანას ვხურავთ, რაც მოიყვანეს სისრულეში; ასეთი მაგალითები მათ მიერ ხშირია და მათი შემყურე ხე-ტყის დამამუშავებელთა კავშირის წევრები—მუშები ვარდებიან ამის გამო უკიდურეს მდგომარეობაში. ამისათვის საჭიროა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ-არს და თუ ქარხანას ისევ გახსნიან კერძო პირები გლეხკომის სახელით ნუ სარგებლობენ და ამით მუშებს ნუ ათამაშებენ, ან თუ შესაძლებელი იქნება, ეს ქარხანა აიღოს თვით სატყეო მრეწველობის ტრესტმა და აამუშაოს.

მუშკორი **ფა—ლი.**

კანტორაა თუ საწყობი

(მთავარ სახელოსნ. ადგილკომის საყურადღებოდ).

რკინ. გზის მთავარ სახელოსნოებში ძალთა განწყობილების კანტორა მოთავსებულია ძალიან პატარა ოთახში. ამ პატარა ოთახში სდგას ოთხი დიდი მაგიდა, რისთვისაც აქ მომუშავეები განიცდიან საშინელ სივიწროვეს.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ეს კანტორა გადაქცეულია საწყობადაც. აქ დაწყობილი არის აუარებელი მანქანის ღვედები და სხვადასხვა მასალა. ამის შესახებ რამოდენიმეჯერ მისწერა ადმინისტრაციას ძალთა განყოფილების გამგებ მეტეხელმა, რომელიც მოითხოვდა ცალკე საწყობს. მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს, აქ ამ პირობებში მუშაობა შეუძლებელია.

მუშა—**სიონელი**

უნდა დაგვიცვათ ექსპლოატაციისაგან

(პროფსაბჭოს ოზურგეთის განყოფილების საყურადღებოდ).

ქ. ოზურგეთში არსებობს ინვალიდთა არტელის და სამაზრო და სარაიონო გლეხკომის სავაჭროები, აღნიშნული სავაჭროების თანამშრომლებისათვის არ არსებობს არავითარი კვირა - უქმე დღე და დასვენება. ხსენებული სავაჭროები იღება დილით ადრე და ვაჭრობა სწარმოებს საღამომდის არ არის დაცული შრომის სხვა პირობებიც.

ასეთ მოვლენას არ აქცევენ ყურადღებას მათი ადგილკომები, ამისათვის საჭიროა სამაზრო პროფკავშირმა მიაქციოს ყურადღება ასეთ არანორმალურ მოვლენას და შეიმუშაოს საერთოდ ერთგვარი წესი ასეთი სავაჭროებში მომუშავე თანამშრომლებისათვის თუ როდის გაიღოს ესა თუ ის საბჭოთა სავაჭრო და როდის დაიკეტოს და მიღებული იქნეს ზომები, რომ დაცული იქნეს შრომის კანონთა კოდექსი.

ინფ. **პუპისშვილი.**

დანაშაული [illegible] არ [illegible]

„კომუნისტი"-ს მე-32 ნომერში სათაურით: **„ასე შველიან მუშებს"** მოთავსებულ წერილის შესახებ სანეპიდ. განყ. გამგემ გვაცნობა, რომ მუშა ბაჯიაშვილისათვის გამოწერილი **რეცეპტი აფთიაქში** მიუტანიათ არა 5 საათზე, არამედ საღამოს 8 საათზე 4 თებერვალს, და რადგანაც დიდი მუშაობა ყოფილა აფთიაქში და იმ დღეს 9 საათამდე ვერ მოუსწრიათ გაკეთება (9 საათზე აფთიაქი იკეტება) გადაუდვიათ მეორე დღისათვის და დამზადებული წამალი აფთიაქიდან გაუციათ მეორე დღეს 10 საათზე; რეცეპტი ყოფილა ჩვეულებრივი, არა სასწრაფო და ვინც აფთიაქის მუშაობის სპეციფიურ პირობებს იცნობს, ის ადვილად მიხვდება, რომ არ არის არავითარი საშუალება აფთიაქში წამლები დამზადებულ იქნეს რეცეპტის მიტანისთანავე.

ამ გარემოებას უნდა გაუწიონ ანგარიში ამხ. ბაჯიაშვილმა და სხვა მუშებმაც.

აღმასკომის ინფ. **ვარდასანიძე**

პასუხი მუშკორ ელპეროვს

„კომუნისტი"-ს მე-63 ნომერში მოთავსებულ შენიშვნის სათაურით **„რაშია საქმე"** პასუხად უნდა გაცნობოთ რომ, მე-2 ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის ექიმად მე არ ვითვლები ა. წ. 15 იანვრიდან. ქალ. თბილისის ჯან. განყოფილება, სადაც მე ამჟამად ვმუშაობ, ემსახურება მხოლოდ ქალაქის განათლების განყოფილების სასწავლებლებს. შენიშვნაში ნაჩვენებ მე 2-ე ინდისტრიალური ტეხნიკუმი კი ეკუთვნის განათლების კომისარიატს.

ექიმი **ხოჯაევა.**

რკინისგზეზე

ახლო ხანში მოეწყობა სალიანდაგო დარგის მე-7 უბნის საწარმოო თათბირი. მიმდინარე წლის მაისში გაიმართება ა.-კ. რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა საგაზო ყრილობა.

— აპრილის შუა რიცხვებში შესდგება ა.-კ. რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის პლენუმი.

— **ხელ-ახალი აღრიცხვა.** ახლო ხანში დაიწყება და მალე დამთავრდება ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის წევრთა საერთო აღრიცხვა.

— **საწარმოო თათბირებზე.** რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციამ დაადგინა გამოჰყოს საწარმოო თათბირებზე თავისი წარმომადგენელი.

— **ბიბლიოთეკა - სამკითხველო.** რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციამ დაადგინა გახსნას ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის შენობაში ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

— **ტეხნიკური წიგნთსაცავი.** რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციამ მიმართა რკ. გზ. სამმართველოს აღადგინოს სამმართველოსთან არსებული ტეხნიკური წიგნთსაცავი.

— **გამოფენა.** რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციამ დაადგინა მოაწყოს არქიტექტურულ-საამშენებლო გამოფენა.

— **საბარათო სისტემით.** ახლო ხანში რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექცია დაიწყებს წევრთა აღრიცხვას საბარათო სისტემით.

ინფ. **ა—ძე.**

წერილები პროვინციიდან

ტრაქტორები სოფლად

18 მარტს მეტეხის სადგური არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა; იქ თავი მოეყარა სოფ. მეტეხის გლეხებს. რაღაცის მოლოდინში მხიარულად ბაასობდენ. სადგურის ერთ ნახევარ ვერსის მოშორებით, იქ, სადაც მტკვარზე დიდი ხიდი კეთდება, თავმოყრილი მოსჩანდნენ აუარებელი გლეხი, ქალი და ბავშვი. მათ თავზე დაჰფრიალებს რამდენიმე წითელი დროშა. ხიდის ახლოს მოსჩანს აგრეთვე ხალიჩებით და მწვანეულობით შემკული ტრიბუნა.

რამ გამოიწვია სოფ. მეტეხის მშრომელთა ასეთი არაჩვეულებრივი თავის მოყრა?

ამ დღეს გლეხები განიცდიდენ ორ დიდ მისწრაფებას და სიამოვნებას—ერთი ის, რომ ამ დღეს განზრახული იყო მეტეხის ჭალებში გაეშვათ სამუშაოთ ორი ახლად ჩამოტანილი ფორდზონი და მეორე—ამ ფორდზონების გაშვებაში დასასწრებლად ტფილისიდან მოელოდენ ძვირფას სტუმრებს ამხ. **სერგო ორჯონიკიძეს,** მიწათ-მოქმედების კომისარს ამხ. **საშა გეგეჭკორს** და ამხ. **ალ. მიასნიკოვს** და ამ.-კავკ. სახალხო სამეურნეო ბანკის თავმჯდომარეს ამხ. **კ. ჩხენკელს.**

11 საათზე მოვიდნენ სტუმრები და მათი შეხვედრის რამდენიმე წამის შემდეგ დასახნავ მინდორში გაუშვეს ორი კოხტა და ლამაზი ტრაქტორი—თითო ორ-ორ პირიანი გუთანით.

იმის მაგიერ, რომ გუთანში გაებათ რვა უღელი ხარ-კამეჩი და მათი სატარებლათ გაყოლოდა რვა კაცი —ტრაქტორზე ზის ერთი მექანიკი, რომელიც მას იქით აქნევინებს პირს საითაც სურს. მიწას ხნავს იმავე სიღრმით, როგორც ჩვეულებრივი გუთანი.

გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი მხიარულათ მისდევდენ „მაშინას" და სტკბებოდენ იმ სანახაობით, თუ როგორ ირლათ მიეზიდებოდა ის ორ გუთანს, რომლებიც სიღრმიდან მიწას და ფხვნილს ჰყრიდა. მათ ეხლა დაინახეს—თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ცოდნას და ტეხნიკას, თუ როგორ შენაძლება გაუმჯობესებულ იარაღებს და ტეხნიკას გლეხის შრომის გაადვილება.

სტუმრები გაიმართნენ ხალხის სანახავათ. მათ წინ შემოეგება აღტაცებით დიდ-ძალი ხალხი დაფა-ზურნით, ვაშის ძახილით და ტაშის კვრით. ამხ. ორჯონიკიძეს ირგვლივ შემოეხვია აუარება ხალხი, უმთავრესად სოფლის ქალები და დაუწყეს სოფლის ჭირ-ვარამზე ბაასი. მეტად სასიამოვნო სანახავია ეს ნამდვილი სოფლის სურათი. როცა ყველა სტუმრებს ჯგუფ-ჯგუფად გარს შემოხვეოდა სოფლის მუშა-ხალხი და გლეხების კითხვებსა და საქმეებზე ბაასობდენ, ასეთ ამხანაგურმა და ტკბილმა ბაასმა გასტანა თითქმის ოთხი საათი, რის შემდეგ სტუმრები დაბრუნდნენ სადგურზე. თავშეყრილმა ხალხმა ისინი მიაცილა სადგურამდის გლეხობამ დიდი მადლობა გადაუხადა მოსულებს და იმ ზრუნვისათვის, რომელსაც ხელისუფლება უწევს გლეხობას. დიდი მადლობა გადაუხადეს გლეხებმა აგრეთვე ამხ. კ. ჩხენკელს, რომლის მეცადინეობით მათ მიიღეს ტრაქტორები და რომელმაც აღუთქვა მათ ტრაქტორების გარდა სხვა მანქანების მიწოდებაც, როგორც მაგალითად—სალეწი მანქანები, გუთნები და სხვა, და ყველა ეს შეღავათიან პირობებში და სამი წლის განმავლობაში ფასის გადახდით.

ამნაირად შეიჭრა ტეხნიკა სოფელში, და გლეხობა ამას აღტაცებით ეგებება.

დამსწრე.

ორი დიდი საქმე თელავში

ერთი დიდი საქმე უკვე თავდება თელავში, მეორე-კი—ეხლა იწყება. ეს არის სახალხო სახლი, ე. ი. თეატრი, და მეორე ახალი ბაღი.

სახალხო სახლი დიდი ხნის ოცნებას შეადგენდა თელავისათვის, მასზე ფიქრობდნენ ამ 20—30 წლის წინედ, აწყობდნენ გეგმებს, აგდენდენ ფონდებს. ამ 30 წელში ერთი თაობა მეორეს სცვლიდა და ეს სახალხო სახლის სურვილიც გადმოდიოდა. საჭიროება-კი დიდი იყო; თელავში არა თუ თეატრი, არამედ ისეთი დიდი დარბაზიც-კი არ მოიპოვებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფართო კრებების მოწვევა. რაც შეეხება პირველს, ე. ი. თეატრს, იმაზე ლაპარაკი მეტია: მსახიობებს უხდებოდათ სრულებით შეუფერებელ სცენაზე გამოსვლა და ამისთვის არც გვეტანებოდნენ.

ყველა ეს ეხლა თავიდან აცილებულია. ეს ორი წელიწადია ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასწყვიტა სახალხო სახლის აგება და შეასრულა კიდეც. ეხლა ეს სახლი ე. ი. თეატრი უკვე მოთავებულია. სადურგლო და საკალატოზო მუშაობა გათავებულია სულ, სკამები მზად არის და მარტო შეღებვა ღა უნდა. იმედია 1 მაისს მოხდება მისი გახსნა.

მეორე საქმე ეხლა იწყება, ესეც დიდი და მნიშვნელოვანია—ქალაქის შუაგულში ვეებერთელა ბაღის გაშენება, 5—6 დესეტინა იქნება, ადგილი მოუწყობელია, გასწორება და გასუფთავება უნდა. ჯერ ერთი იმდენი ფული არ არის და მეორე, ფულის გარდა, დროც ცოტაა, რომ მოესწროს ხეების დარგვა. ამისათვის ადგილობრივ ხელისუფლების გამოძახილმა ჰპოვა პროფკავშირების წევრთა და მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის ისეთი თანაგრძნობა, რომ კვირას, 15 მარტს მოედნენ ახალ ბაღს თოხებით, ნიჩბებით, წერაქვებით და დაიწყეს მუშაობა იმ ადგილის გასამშვენიერებლად, სადაც თვითვე მუშაობის შემდეგ დაისვენებენ, გაგრილდებიან, ისიამოვნებენ, მაგრამ ამ დღეს წვიმამ ხელი შეუშალა და მალე შესწყვიტეს მუშაობა. საქმე-კი ბევრი დარჩა.

ამისთვის თვით მუშა-მოსამსახურეთა სურვილით ამ დღეებში კიდევ ეწყობა სამუშაოზე გასვლა, რომ დაწყებული საქმე გაათავონ და როგორც მითხრეს არა მარტო ადგილის გასწორებაში, არამედ ხეების დარგვა. შიაც-კი სურთ მიიღონ მონაწილეობა, როგორც პროფკავშირის წევრებმა, ისე მასწავლებელ-მოსწავლეთ. სწორედ ამაზე ითქმის, ერთი პირის ჭირიმე და ბევრი ხელისაო და თუ ეს ასეა, როგორც სახალხო სახლი მომთავრდა მალე, ისე ბაღსაც ავაშენებთო.

ბაღის გაშენებას ხელმძღვანელობენ პარტკომი და აღმასკომი.

ვან—ლი.

სახალხო ქონება ლპება

ნაგვაზაოს თემი (სენაკის მაზრა)

(თემ აღმასკომის საყურადღებოდ)

ბევრჯერ შეეცადა ნაგვაზოვოს თემის გლეხობა შვიდწლედი სასწავლებელი გაეხსნა. საბჭოთა ხელისუფლებამ ყურად იღო გლეხობის სურვილი და გაუხსნა შვიდწლედი სკოლა. პირველ ხანებში შენობა საკმარისი იყო, მაგრამ შემდეგ მოწაფეთა რიცხვი ემეტად გაიზარდა. გლეხები იძულებული გახდენ სკოლის შენობა აეშენებიათ. გლეხებს კი იმდენი შეძლება არ ჰქონდათ, რომ თავისი ხარჯით ახალი შენობა აეგოთ.

ნაგვაზოვოს თემში იყო ხის ეკლესია, რომელიც იქნა დარღვეული 1924 წ. თებერვალს და მასალები ამ ეკლესიისა იქნა მოტანილი სკოლის ეზოში. თითქმის წელიწადზე მეტია ეს მასალა მინდორში ყრია, არავინ ყურადღებას არ აქცევს, თოვლისაგან და წვიმისაგან ლპება მასალები, ზოგიც იკარგება, თითქმის ნახევარი დაიფანტა, მრავალჯერ გამოიტანეს დადგენილება ადგილობრივმა საბჭომ და გლეხების საზოგადო კრებამ, რომ დარღვეული ეკლესია გაეკეთებიათ სკოლათ, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. როდის მიაქცევენ ყურადღებას?

ე. ნაგვაზოველი.

პროვინციის ქრონიკა

— ქუთაისში 22 მარტს გაიხსნა გლეხკომების სამაზრო ყრილობა.

— **ხიდის აგება.** რაჭის სამ. აღმასკომმა გადასცა გლეხების არტელს იჯარით სოფ. ამბროლაურთან მდ. კრიხულაზე ხიდის აგების საქმე.

— **სანიმუშო სამკითხველოები.** რაჭის აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას სანიმუშო სამკითხველოები ონში, ამბროლაურში, ბუგეულში, ნიკორწმინდაში, პატარა ონში და ღებში.

— **ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა** გამოსცა სავალდებულო დადგენილება შინაური საქონლის ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

— **საფონდო ვენახები.** თელავის აღმასკომმა გადასდო 1000 მან. საფონდო ვენახების დასამუშავებლად.

— **ამინდის გამომრკვევი სადგური რაჭაში.** ქ. ონში არსებული ამინდის გამომრკვევი სადგურის გამგეთ სამაზრო აღმასკომმა დაადგინა დაიქირაოს სპეციალური კაცი.

— **გლეხები ხიდს აგებენ.** სოფ. ღვარდიის გლეხებმა (ქვემო-რაჭა) გადაწყვიტეს ააგონ მდინარე შარეულაზე ხიდი.

— თანახმად გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, სოფ. ცემი განთავისუფლებულია საკასო გადასახადისაგან, რადგანაც მცხოვრებლებმა თავის ხარჯზე ააშენეს სკოლა და ამ უკანასკნელზე გასწიეს დიდი ხარჯები.

— თანახმად ხაშურის თემის აღმასკომის შუამდგომლობისა და გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ხაშურის თემის მცხოვრები მოქ. გიორგი ლონდაძე აღდგენილია საარჩევნო უფლებებში.

— გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას ქ. თბილისში სახერხაო ქარხნის განყოფილება დახერხილი მასალის გასაღების მიზნით.

იურიდიული რჩევა-დარიგება

კანონიერია სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ასეთი მოქმედება

კითხვა

მე ვარ 48 წლისა და ჩემი ქმარი 55 წლისა, გვყავს ორი მცირე-წლოვანი ვაჟიშვილი. ჩემი ქმარია საბჭოთა მოსამსახურე და პროფკავშირის წევრი, დაზღვეული.

სოფელ უკანა-მხარში (სიღნაღის მაზრა) გვაქვს მამა-პაპეული ქონება: ერთი ძველი დაქცეული ერთ-ოთახიანი ქვიტკირის შენობა, ერთი მეექვსედი დესეტინა ვენახი, ორ ადგილას მდებარე ნახევარ დესეტინამდე სახნავი მიწა. როგორც მცირე მამულის მქონეთ, მთავრობის განკარგულებით 1922 წ. საფონდო მამულებიდან მოგვიზომა ერთი დესეტინა სახნავი მიწა, რომლითაც ვსარგებლობდით. მხოლოდ 1924 წ. სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ჩამოგვართვა ეს მიწა და გადასცა სოფლის „კულაკს“ თავისივე ამხანაგს; მასთან ის გვიკრძალავს ჩვენი ქვიტკირის შენობის შეკეთებას, აგრეთვე გვემუქრება დანარჩენ მამულის ჩამორთმევითაც იმ მოსაზრებით (როგორც სჩანს), რომ ჩემი ქმარი მსახურობს და იღებს ჯამაგირს. მეც ზამთრობით ქალაქში ვარ შვილების გულისათვის, რადგანაც ერთი სწავლობს და მეორე წამლობს. მხოლოდ სოფლად მუშაობა არ გვაწყობს. ყოველთვის ზაფხულობით სამი თვე, ხან მეტაც, ჩემს მამულში ვარ, ყურს ვუგდებ და რაც საჭიროა და სასარგებლოა მამულისათვის ვაკეთებ. აგრეთვე როცა ჩემს ქმარს შვებულებას აძლევენ, მოდის და მამულს უვლის.

ამისათვის გთხოვთ რჩევა-განმარტებას, ჰქონდა თუ არა ნება საბჭოს თავმჯდომარეს მამულის ჩამორთმევისა, ანუ აკრძალა მამულის დამუშავება და სახლის შეკეთება.

მშრომელი ქალი თინათინი.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 21—23-სა მიწის მოსარგებლეებს უფლება აქვს: ა) გამოიყენოს და ისარგებლოს მიწით ისე, როგორც თვითონ დაინახავს საჭიროდ და ბ) ააგოს შენობები, მოაწყოს ნაგებობანი და გამოიყენოს მეურნეობისა და საბინაო საჭიროებისათვის. ნორმაში დატოვებული მიწის გაუმჯობესება არ გამოიწვევს მიწის ნორმის შემცირებას. ყველა ნაგებობა, შენობა, ნათესი და საერთოდ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მუშის სარგებლობაშია, ეკუთვნის მას.

მიწის სარგებლობის უფლება სასოფლო მეურნეობის საწარმოებლად მიწის კოდექსით დაწესებულ ნორმებში აქვს საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს (ამ შემთხვევაში თქვენც), ვინც მოისურვებს მიწის დამუშავებას საკუთარის შრომით. (იხ. იქვე მუხ 9).

ამიტომ სოფ. საბჭოს თავმჯდომარის თქვენ მიმართ მოქმედება უნდა ჩაითვალოს სრულიად უკანონოდ. თქვენ გაქვთ უფლება მიწის კოდექსის მუხ. 24-ის თანახმად აღძრათ მასზე საჩივარი სახალხო სასამართლოში და მოითხოვოთ თქვენი უფლებების აღდგენა.

უშვილო ქვრივ დედაკაცს აქვს თუ არა მიწით სარგებლობის უფლება

კითხვა

აგვისტოს თვეში გარდაიცვალა ჩემი ძმა, რომელიც თავის ცოლით ცალკე სცხოვრობდა. ძმის სიკვდილის შემდეგ სამმა ძმამ გავიყავით ადგილ-მამული, რომ ის სათეს-სახნავი მიწა შეადგენდა სულ ორ დესეტინას.

ეს მიწა გავინაწილეთ სამთავემ და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, ხოლო ჩვენი გაყოფა არ იყო სავსებით კანონიერად ჩამოყალიბებული (მოვაწყეთ შინაურულად).

ზემოაღნიშნულ ჩემ გარდაცვალებულ ძმას დარჩა ცოლი ბაბილინა, რომელსაც შვილი არ ჰყავს ჩემი ძმისაგან. ეხლა მას (ბაბილინას) სურს მოიყვანოს მამაჩემის მიწა-წყალზე მეორე ქმარი.

გთხოვთ გვიპასუხოთ, აქვს თუ არა მას უფლება მეორე ქმრის მოყვანისა ჩემი ძმის მამულზე იმ დროს, როდესაც მე და ჩემ ძმას, რომლებიც ვცხოვრობთ სოფელ ჭყვიშში (ლეჩხუმის მაზრა) არ გვაქვს საყოფი მიწა-წყალი და განვიცდით სიღარიბეს

გლეხი ბიქტორ გიორგის-ძე ფრუიძე.

პასუხი

ყველა მიწა, რაც გამოსადეგია სასოფლო-მეურნეობისათვის, შეადგენს ერთიან სახელმწიფო საადგილ მამულო ფონდს, რომელსაც განაგებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი. საბჭ. საქ. მიწა-წყალზე საბოლოოდ მოსპობილია კერძო საკუთრების უფლება, ამიტომ მიწის სარგებლობისათვის მისაღებათ არ შეიძლება დაედვას საფუძვლად არც მემკვიდრეობის უფლება. მიწა დასამუშავებლად ეძლევა საბჭ. საქ. ყველა მოქალაქეს, ვინც თავის საკუთარი შრომით დაამუშავებს მიწას. ამგვარად თქვენი ძმის ქვრივსაც აქვს უფლება მიიღოს მეურნეობის საწარმოებლად მიწა და თუ თვითონ ის მუშა-ძალის შემცირების გამო (ქმრის სიკვდილის გამო) თავის საკუთარ შრომით ვერ დაამუშავებს მიწას, მას, როგორც ქვრივს, აქვს უფლება მის გარდაცვალებულ ქმრისთვის მიზომილი მიწა გასცეს იჯარითაც. **უშვილობა მას სრულებით არ ართმევს უფლებას, რომ მან ისარგებლოს თავისი გარდაცვალებული ქმრის მამულით ისე, როგორც მას მოესურვება მიწის კოდექსში აღნიშნულ დებულებათა ფარგლებში. (იხ. მიწის კოდექსი მუხ. 1, 2, 3, 9, 26, 27 და 21).**

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ჩერქეზიშვილი ქ. სახ. № 16-ში ერთს პატარა ოთახში ზომით 24 კვ. არშინი და ვცხოვრობთ სამი კაცი. პირველ ნოემბრიდან ვიდრე პირველ თებერვლამდის მიცემული მაქვს სახლის პატრონისათვის 36 მანეთი (თვიურად 12 მანეთი). რადგან არ შემიძლია ვიხადო ამდენი ქირა. 10 მარტს მივიღე თებერვლის თვის ჯამაგირი და შევძლიე სახლის პატრონს სამი მანეთი თვიურად, მაგრამ მან არ მიიღო. ვარ პროფკავშირის წევრი (წიგ. № 6001), თვიურად ჯამაგირს ვიღებ ოცდა ათ მანეთს.

გთხოვთ განმიმარტოთ თუ რამდენი უნდა ვიხადო ქირა თვიურად და ვის მოვალეობას შეადგენს მეეზოვისთვის შრომის ხელფასის მიცემა, ნაგვის გადაყრა, ფეხსალაგის გაწმენდა და სხვა. შემიძლიან თუ არა მიცემული 36 მან. შემდეგ თვეების ქირაში გავანაწილო.

მესამე შრ. სკ. მასწავლებელი
ალექს. კახაბერი.

პასუხი

ა. წ. პირველ მარტიდან ბინის ქირის სახით თვიურად გადაგხდებათ ორმოცდა რვა კაპეიკი. პირველ მარტამდის კი ბინის ქირად თვიურად უნდა გეხადათ ოცდა ორი კაპეიკი. ზედმეტად მიცემული ფული შეგიძლიათ გაანაწილოთ მომავალ თვეების ქირაში. მეეზოვის შრომის ხელფასი და სხვა ხარჯები უნდა გაიღოს სახლის პატრონმა.

ჩვენი ფოსტა.

სიღნაღი, ფოსტა ი. ა. ხელაშვილს. დღეიდან გაზეთებს მიიღებთ ახალი მისამართით, მხოლოდ მისამართის გამოცვლით გამოწვეული ხარჯები 40 კ. თქვენ უნდა გადაიხადოთ.

გურჯაანი, სოფ. აჟენი, აფთ. დ. გრიგოლის ძე ბოკერიას. ამ მისამართით გაზეთები უკლებლივ გეგზავნებათ. თუ მისამართი სწორე არ არის, გვაცნობეთ, გამოვცვლით; 40 კ. წარმოადგინეთ მისამართის გამოსაცვლელი ხარჯის დასაფარავად.

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომს. 44 ცალი „კომუნისტი“ რომლის შესახებ თქვენ გვეკითხებით, გეგზავნებათ სახალხო განათლების კომისარიატის ხარჯზე.

პარტიული და საბჭოთა [illegible]

პარტიული

— არსრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს, უმაღლეს გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში რაიკომის [illegible] განყოფილებაში:

ბელიძე-შიშნოვსკაია ლიდია, ასლანიანი მიკირტიჩ, [illegible] მიხეილ და [illegible]კაია ნადეჟდა.

მდივნის მაგიერ [illegible]ლაძე

განცხადებები

გულდამწვარი დედა მარიამ ივანე ერისთავის ასული, და თამარა, ძმა ევგენი (ჟენია) მიქელაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 23 მარტს, საღამოს 6 საათზე გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო სიმონ მიქელაძის ასული
ლაფერაშვილი

გასვენება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დღეს, 26 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, ალექსანდროვის კლინიკიდან კამოს ქუჩა.
745 1—1

ძირად-დამწუხრებული: აპოლონ, გიორგი, ეფროსიმე, აკაკი, ვალერია, ლოლა კილასონიები, და ძმად წოდებული ილარიონ ცომაია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, პირველის დაუვიწყარი მეუღლის, უკანასკნელთა ძვირფასი რძლის მასწავლებელი ქალის

ლუსია ხოფერიას ასული
კილასონიას

ორმოცი დღის პანაშვიდის გადახდას, სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრა) ადგილობრივი წმინდა გიორგის სასაფლაოზე ა. | წ. 28 მარტს, დილით შაბათს, მეოთხე საათზე. 719 1—1

კვირას, 22 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა არამიანცის საავადმყოფოში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკ. დარგის მესამე კურსის სტუდენტი

ანდრია კონსტანტინეს ძე
ფხაკაძე

გადასვენება მოხდება დღეს, 26 მარტს, ქ. ქუთაისში.
ნ. 1016 1—1

ხუთშაბათიდან, 26 მარტიდან
კინო-თეატრებში
„აპოლო“ „არტისტო“
და
„სოლეი“-ში
ნაჩვენები იქნება ახალი სურათი
წარსულის საშინელება
გამოცემა
სახკინომრეწველობისა
რეჟისორი ბარსკი
ოპერატ. ზაბოზლაევი
ნის. 1020. 1—1.

ს. ხელოვნების დრამა
დღეს, 26 მარტს
მხატვარ ირ. გამრეკელის საღამო
უკანასკნელად
შპიგელმენშ
ნ. 1019 1—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 26 მარტს
პირველი გასტროლი ცნობილ ბარიტონის
მიგაის
ევგენი ონეგინი
ნ. 1018 1—1

სამეცნიერო-პოპულარული კრებული
წელიწადი მესამე 1925 წ. **ჩვენი მეცნიერება** წელიწადი მესამე 1925 წ.

1 ნომ. (№ 13 წ. II) გამოდის გაფართოებული პროგრამით

წელიწადში გამოდის 12 ნომერი და ღირს ხელისმომწერთათვის 12 მან. მასწავლ. და სტუდენტ. 8 მან. ხელის მომწერლები იხდიან ნაწილ-ნაწილათ მიღებულ №№-ბის საფასურს მხოლოდ კრებულის მიღების შემდეგ ორი თვის განმავლობაში.

კრებული უმთავრეს მიზნად ისახავს ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებისა და პოპულიარული გამოკვლევების გამოქვეყნებას.

კრებულში—განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა აგრეთვე უცხოეთის მეცნიერებასაც მიმოხილვის სახით.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათ და მრთავსდება წერილები მარქსისტულ მოძღვრებიდან.

კრებულში—იქნება როგორც ორგინალური ნაშრომები, აგრეთვე თარგმანებიც.

კრებულში—წარმოდგენილი იქნება მეცნიერების შემდეგი დარგები:

— ფილოსოფია, ლოღიკა, სოციოლოგია, პოლიტ. ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიური ისტორია (საქართველოს ეკონ. ისტორია), სამართლის თეორია, ქართული სამართლის ისტორია, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი, საფინანსო მეცნიერება, სტატისტიკა და სხვ.

— ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ენათმეცნიერება, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ისტორია, ისტორიის მეთოდოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნება არქეოლოგია და სხვა.

— მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია, გეოლოგია, ბიოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია, სამკურნალო მეცნიერება და სხვა.

— სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა და მექანიკა, მეტყეობა, მებაღეობა, სამთომადნო და საინჟინერო ხელოვნება.

— ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო მიმოხილვა (უცხოეთისა და საქართველოსი) ქრონიკა და სხვა.

კრებული გარდა საქართ. ყავს წლიური ხელისმომწერლები შემდეგ ქალაქ.: **ბაქოში, კავკავში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ძველი ბუხარაში კოგანში (ახ. ბუხ) და სამარკანდში.** კრებული ვრცელდება აგრეთვე **ბერლინში, პარიზში და ლონდონში.**

თანამშრომელთა საყურადღებოდ: ყოველი ავტორი მიიღებს თავისი წერილის ცალკე ამონაბეჭდს (ან ბროშურის სახით) **60 ცალად,** თუ ავტორი მოისურვებს, ნაცვლად ცალკე ამონაბეჭდებისა მიიღებს ჰონორარს, ამიტომ რედაქცია თხოვს ავტორებს, წერილების გადმოგზავნისთანავე აცნობოს მას, ცალკე ამონაბეჭდების მიღება ჰსურს მას, თუ ჰონორარის.

თუ რომელიმე ავტორს ან გამომცემელს სურს, რომ რედაქციამ გამოსთქვას თავისი აზრი გამოცემულ წიგნის შესახებ —უნდა გადმოგზავნოს ასეთი რედაქციაში ორ ცალად.

მასალები უნდა გადმოიგზავნოს ამ მისამართით: რუსთავ. პრ. № 20. ტელეფ. 9—59.

რედაქტორ-გამომცემელი: **ანდრო შილაკაძე.**
8—2 ნის. 1000.

რუსული ელექტრონის
ლამპა
„ე. ტ. ც. რ.“ „Э. Т. Ц. Р.“
გასინჯულია ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ, რომელმაც სცნო, რომ ეს ლამპა უფრო უკეთესია, ვიდრე უცხოეთის ლამპები „ოსრამ“ და „ფერროვატ“
როგორც გამძლეობის ხანგრძლივობით, ისე სინათლის გაშვებით
„ე. ტ. ც. რ.“ იყიდება ბითუმად და ცალობით ლამპები „ე. ტ. ც. რ.“
იყიდება: ცენტრალური რაიონის ელექტრონის ტრესტის განყოფილებაში—რუსთაველის პროს. № 19.
ცენტრალური რაიონის ელექტრონის ტრესტის წარმომადგენლობებში
სოხუმში, ბათომში და ქუთაისში
სოხუმში—მუშკოოპის მაღაზიაში.
ბათომში—ერთიან კოოპერატიულ საზოგადოების და მუშკოოპის მაღაზიებში.
ქუთაისში—ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების („ეპო“) მაღაზიებში.
5—1 ნ. 1014

გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი
ფასი 1 მ. 50 კ.
დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ გაზ. „კომუნისტი“
მთავარ კანტორაში
(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).
678 0—1. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

თბილისის კომუნალური წყალსადენი

აცნობებს ყველა თავის აბონენტებს და მოქალაქეებსაც, რომ თანახმად აღმასკომის დადგენილებისა მიმდინარე პირველ მარტიდან შემოღებულია წყლის ფასის გადახდევინების ახალი სისტემა და ტარიფი.

1. პროფკავშირის წევრები, როგორც მოსამსახურენი, აგრეთვე უმუშევარნი, სამხედრო უწყების მოსამსახურენი, დავრდომილნი, სტუდენტ-სტიპენდიანტები, უმუშევარნი, რომელთაც საშუამავლო ბიუროდან აქვთ სათანადო მოწმობები, სარგებლობენ ერთნაირი შეღავათით და იხდიან თვითეულ ვედრო წყალში 1 | 4 კაპიკს.

2. ყველა დანარჩენი მოქალაქენი, დაწესებულებები, წარმოებები, ორგანიზაციები და სხ. იხდიან თვითეულ ვედრო წყალში 3 | 4 კაპიკს.

სავალდებულო დადგენილება მთლიანად გამოქვეყნებული იქნება ამ მოკლე ხანში.

წყალსადენის დირექტორი ხოჯაევი.
2—1 № 3655 კანც. გამგე ქურთიშვილი.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის
სამუშაოების ცალკე მწარმოებლის ბათომში
არსებული სავაჭრო კომისია
აცხადებს,
რომ კვირას, 5 აპრილს, დილის 10 საათზე, სამუშაოების მწარმოებლის საწყობებში შაუმიანის ქ. № 5
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება აუქციონში სხვადასხვაგვარი ტეხნიკური ნივთები, მათ შორის: ორთქლის ქვაბები ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ლოკომობილების (შუხოვის, ლოშაპელის, ვეიზერის, რეიმმონდის, ანტონ მუტტის, კარპ კრაომეს სისტემის, ბეტონების საკეთებელი მანქანები შეკეთებული და შესაკეთებელი, კომპაუნის და ტანგეს ორთქლის მანქანები, სათადარიგო ნაწილებით), ჰორიზონტალური და ვერტიკალური თუჯის „ბაბები“, ორთქლის „ბაბები“ არცისის სისტემის და მანქანების სხვა ნაწილები
საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა შეაქვთ გირაო ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით. ცნობებისა და ნივთებთან გაცნობისათვის უნდა მიმართოთ სავაჭრო კომისიას „ოქტპროსობ“-ის კანტორაში (ბათომი, რუსთაველის პრ. № 6) სამუშაო საათებში 9-დან 15 საათამდე. იქვე შეიძლება იმ ქონების დათვალიერება, რომელიც მზადდება გასასყიდათ შემდეგისათვის.
ცნობების მიღება გასასყიდი ნივთების შესახებ შეიძლება აგრეთვე ცენტრალური კომისიის რწმუნებულთანაც (თბილისი, ჯორჯიაშვილის ქუჩა № 10).
ნის. 1017. 2—1 კომისიის თავმჯდომარე: ა. ქურჩენკო.

პირველი აბრეშუმის მექანიკური საქსოვი-ქარხანა
საქართველოში
„ცეკავშირი“-სა
ჩერქეზიშვილის ქ. № 22 ტ. 19—83
ამზადებს აბრეშუმის ყოველგვარ ქსოვილებს
რათა გააცნოს მომხმარებელს ახალი ქარხნის ნაწარმოები
ფასი დაკლებულია
საბჭოთა თანამშრომლებს, კოლექტივებს შესაძლებელია მიეცეს ნაწილობრივ კრედიტი
ცეკავშირის საწარმოო განყოფილება
ნ. 993 3—3

ა. წ. 30 მარტს შუადღის 12 საათზე თბილისის ბოტანიკურ ბაღის კანცელარიაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ბაღის მ ბუფეტის იჯარით გაცემაზე
წინასწარ პირობების გაგება შეიძლება ბაღის კანცელარიაში, ყოველ დღე (გარდა კვირა-უქმეებისა) 10—3 საათამდე. 726 3—2

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—8

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—16

ექიმი
ნ. ა. ჭანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 3.
25—7 № 202.

ექიმი
მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 9 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება საღამოს 4—5 საათამდე. საპიორის ქ. № 35. ყოფ. კადეტ. კორპ. უკან. 25—6

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 1 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, ვასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746. 25—16

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—16

ექიმი
დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.
ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
482 25—15.

დავკარგე საბინაო წიგნი სიმონ ქურთაშვილის სახელზე, წიგნის საერთო № 1923 განყოფილების № 290. ჩაითვალოს გაუქმებულად. 746 1—1

დავკარგე საარიცხვო მოწმობა № 1311, ალექსანდრე ივანეს ძე ნუცუბიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 749 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული თბილისის მ | ზ. მილიციის უფროსის მიერ ანდრია ჯარუს ძე კიკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 747 1—1

დავკარგე საბინაო დავთარი 1924 წლის მიღებული მე-9-რე უბანში ნინა ძნელაშვილის სახელზე, მცხოვრები ნორიოს აღმართზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 748 1—1

ტირაჟი—24.954

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საბა წულუკიძის ქ. № 4